

K 220040<sup>0</sup>  
3



გურამ მირიანაშვილი

სამოქალაქო  
შენობების  
ინჟინიერი

გურამ მირიანაშვილი



სამოქალაქო  
შენიშვნების  
ინსტრუქცია



საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ  
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი ტექნიკური  
სასწავლებლების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა "განათლება"

თბილისი - 1993



38.71  
699.85

1. ინტეგრირება  
2) სამოქალაქო ჯნაღბი




სახელმძღვანელოში განხილულია ინტეგრირების არქიტექტურის ისტორია, მოცემულია ქართული ინტეგრირების ისტორიული მაგალითები, სივრცის ორგანიზაციის ტიპები; მათ რიცხვში გამოყოფილია მოცულობით-სივრცითი სტრუქტურები, როგორც ნაგებობათა ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა. მოცემულია სივრცეში სათავსების სისტემების განლაგების შესაძლებელი ვარიანტების დადგენა ფუნქციური მიზანშეწონილობისა და ესთეტიკური მოთხოვნების მიხედვით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის; იგი შეიძლება გამოიყენონ სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებმა და სამშენებლო ტექნიკუმის მსმენელებმაც.

რეცენზენტები: არქიტექტურული გეგმარების კათედრის უფროსი მასწავლებელი გ. გ ე გ ე ლ ი ა  
არქიტექტურული გეგმარების კათედრის უფროსი მასწავლებელი ნ. შ ა ვ ი შ ვ ი ლ ი

M 4902010000 - 571 115 - 93  
M - 602 (08) - 93  
ISBN № 5 - 505 - 01472 - 0

© გ. მირიანაშვილი, 1993



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

არქიტექტურული დაპროექტება ემსახურება ნაგებობის შიგა სივრცისა და გარე მოცულობების შექმნის კომპლექსურ ამოცანას. შიგა სივრცითი გარემოს ხასიათი გავლენას ახდენს საინჟინრო-ტექნიკური და მხატვრული საშუალებების არჩევანსა და განსაკუთრებით შენობის საერთო აგებულებაზე.

ინტერიერი მხედველობით განსაზღვრული, ხელოვნურად შექმნილი გარემოა, რომელიც ადამიანის ცხოვრების პირობებს, ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ინტერიერს ადამიანზე ძლიერი ზემოქმედების უნარი აქვს. ტერმინი "ინტერიერი" ფრანგული სიტყვაა და "შიგნითას" ნიშნავს.

მატერიალური გარემოს შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაგებობის შიგა სივრცის ორგანიზაციას. არქიტექტურაში ინტერიერის ფორმირების პრინციპები არსებული საზოგადოების არსიდან გამომდინარეობს. ინტერიერებში - ორგანიზებულ სივრცეში აისახება ზრუნვა ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის, ბავშვების აღზრდისათვის საჭირო გარემოს შესაქმნელად, ადამიანების საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციისათვის. ადამიანი ცხოვრობს, სწავლობს, მუშაობს არქიტექტორის მიერ მისთვის შექმნილ ინტერიერში. არქიტექტორის ამოცანაა შექმნას ადამიანისათვის შესაფერისი გარემოცვა.

იმის მიხედვით, თუ რა ამოცანა დგას არქიტექტორის წინაშე, ინტერიერმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეაქცია. ადამიანი ეჩვევა სათავსების განსაზღვრულ პროპორციებს და შებოქილად გრძნობს თავს დამახინჯებული პროპორციების მქონე, ჰიპერტროფირებული სიმაღლის ან სიგრძის მქონე სათავსებში. სწორედ ადამიანის ფსიქიკის ამ თავისებურებით სარგებლობდა ყველა ეპოქის არქიტექტორი და განსაკუთრებით საკულტო არქიტექტურა. საკმარისია გავიხსენოთ ეგვიპტური ტაძრების ყრუ კედლებით შემოფარგლული, ჩაკეტილი სივრცე-რომელიც თრგუნავდა და აშინებდა ტაძარში შესულთ. გოტიკური ეკლესიების დინამიკური შიგა სივრცე დამატერიალიზებული კედლით ხელს უწყობდა განწყობილებას-ცხოვრებისაგან მისტიკურ განკერძოებას. არქიტექტორი ითვალისწინებდა ინტერიერის ემოციურ ზეგავლენას და თავის ამოცანად ისახავდა ჯერ კიდევ დაპროექტების პროცესში გაეთვალისწინებინა ადამიანის შესაძლებელი დამოკიდებულება შესაქმნელი ინტერიერისადმი. ემოციური ზეგავლენის გათვალისწინება აუცილებელია ყველა სახის ნაგებობის დაპროექტებისას და განსაკუთრებით სასწავლო თუ საწარმოო შენობების პროექტების შექმნისას. სწავლის ან შრომის დროს ადამიანი ხშირად იძულებულია დიდხანს იყოს ფიქსირებულ წერტილში-სამუშაო ადგილზე ან მერხთან და თავს არიდებდეს ინტერიერის თუნდაც ერთი გაუაზრებელი ელემენტის უარყოფით ზეგავლენას. მნიშვნელობა აქვს სათავსის ზომებსა და პროპორციებს, სამუშაო ადგილის



ნორმალურ განათებას, მოხერხებულ ავეჯს, სწორად შერჩეული ფერების შეხამებას. ყველა ამ ელემენტის წინასწარი, სწორ. განსაზღვრა ბევრად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას, სწავლის, დასვენების ეფექტიანობას.

ინტერიერში ადამიანის შემოქმედების ხასიათს დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერიერის სახეობის გამომჟღავნებასა და მის ფორმირებაში. მუდმივად აღვილზე შრომა ადამიანის საქმიანობის მხოლოდ ნაწილია. ინტერიერში ადამიანის საქმიანობის ფორმები გაცილებით მრავალმხრივია, მოიცავს დაყოვნებასაც და მოძრაობასაც. ეს გარემოება განაპირობებს ინტერიერის თავისებურებას - მის დინამიკურ ხასიათს.

არქიტექტორს უხდება ადამიანის მიერ ინტერიერის აღქმის შესაძლებლობის გათვალისწინება როგორც ფიქსირებული მდგომარეობიდან, ასევე მოძრაობის პროცესში. აქედან გამომდინარე, ინტერიერის წყობის შექმნისას არქიტექტორები ხელმძღვანელობენ ნაგებობათა სტრუქტურის, ფუნქციური და მოცულობით - კომპოზიციური თავისებურებებით მართლაც, საცხოვრებელი სახლის ინტერიერი დამოკიდებულია ბინის დაგეგმარებით სტრუქტურაზე, მის სიდიდეზე, ამასთან, თვით ბინის დაგეგმარება განპირობებულია საცხოვრებელი სახლის სათანადო ტიპით.

ინტერიერის მნიშვნელობა, როგორც ნაგებობის მთლიანი კომპოზიციის ორგანული შემადგენელი ნაწილი, განსაკუთრებით ცხადად გამოიკვეთება საზოგადოებრივი ნაგებობის დაპროექტებისას. არქიტექტურის ამ სფეროში ინტერიერის სივრცით სტრუქტურას განსაზღვრავს მოცულობით, სივრცითი გადაწყვეტები, ფუნქციები და კონსტრუქციები. ამასთან, თვით შიგა სივრცის კომპოზიციური იდეა საგრძნობ გავლენას ახდენს მთლიანად შენობის არქიტექტურულ წყობაზე.

ამგვარად, არქიტექტორის შემოქმედებით მეთოდს შეადგენს ფუნქციური, მოცულობით-სივრცითი, ტექნიკური და მხატვრული ამოცანების ორგანული კომპლექსი. შენობისა და მისი ინტერიერების დაპროექტება ერთიანი შემოქმედებითი პროცესია.

საზოგადოებრივი შენობების ინტერიერების სივრცით სტრუქტურაში აირეკლება როგორც წარსული არქიტექტურის ყველაზე პროგრესული თვისებები, ასევე თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების პროგრესი.

თანამედროვე ინტერიერში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კონსტრუქციებს, როგორც ინტერიერის ფორმირების მატერიალურ საშუალებებს. ზოგიერთ შემთხვევაში კონსტრუქციები მხატვრულ ფორმაში გადაიზარდება და ინტერიერის არქიტექტურულ თემად იქცევა.

საზოგადოებრივ შენობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებრივი და ხელოვნური განათების პრობლემებს. საჭირო განათების რეჟიმის შექმნის გარდა ხუროთმოძღვარი ითვალისწინებს ე. წ. "სინათლის არქიტექტურას". სინათლე ორგანულად ერთვის მთელი შიგა სივრცის კონსტრუქციულ ფორმასა და კომპოზიციას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარემომცველ ბუნებასთან კავშირს, ცოცხალი ბუნების ელემენტების ჩართვას შიგა სივრცეში. გარე

შემზღული კონსტრუქციები, დიდი შემინული სიბრტყეები, ხსნის ხედს ინტერიერიდან ბუნებრივ ლანდშაფტზე და ამით ამლიდრებს შენობის შიგა სივრცის არქიტექტურას.


დასასრულ, ნაგებობათა არცერთ სახეობაში ისე აქტიურად არ გამოიხატება ხელოვნების სინთეზის მნიშვნელობა, როგორც საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურაში. ამასთან, ფერწერა, ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება თვითმიზანი კი არ არის, არამედ ერწყმის ინტერიერს და კომპოზიციის გამოსახვის საშუალებაა: წარმოადგენს.

საცხოვრებელი სახლის შიგა სივრცისათვის დამახასიათებელია თავისი განსაკუთრებული მასშტაბი, რომელიც განსხვავდება საზოგადოებრივი და საწარმოო შენობების შიგა სივრცეების მასშტაბისაგან. გათვალისწინებულია, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ყველაზე მასობრივი სახეობაა და, აქედან გამომდინარე, ბინის კეთილმოწყობა, ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩაშენებული მოწყობილობების მოხერხებული განლაგება, გადასატანი ავეჯის რაციონალურად განთავსების საშუალება აუშკობებს საცხოვრებელი ბინის კომფორტს და სასარგებლო ფართობის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. იმ არქიტექტორების წინაშე, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს აპროექტებენ, მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანებია დასახული ბინების ისეთი ტიპების თვალსაზრისით, სადაც გამოიყენება თავისუფალი ცვალებადი გეგმარება; ტრანსფორმაციის საშუალება დააკმაყოფილებს სხვადასხვა რიცხოვრივი და ასაკობრივი შემადგენლობის ოჯახებს. ეს ამოცანები უნდა გადაწყდეს კომპლექსურად ადამიანის საყოფაცხოვრებო, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.


## 1. ინტერიერის არქიტექტურის განვითარების გზები

ინტერიერის ისტორიას, ისევე როგორც კულტურის სხვა დარგებს, მემკვიდრეობითობა ახასიათებს. განვითარების ყველა ეტაპზე იგი ითვისებდა წინამორბედი ხანის ინტერიერის მახასიათებელ ნიშნებს. ამავე დროს ხუროთმოძღვრები პოულობდნენ შიგა სივრცის ორგანიზების ახალ მხატვრულ ხერხებს, იყენებდნენ ახალ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, მიმართავდნენ ახალ კონსტრუქციებს. ინტერიერის ხასიათი ყოველ ისტორიულ მონაკვეთზე განპირობებული იყო კონკრეტული ისტორიული ფაქტორებით, სოციალური მოთხოვნილებებით.







მოკლედ შევჩერდებით ინტერიერის განვითარების ზოგიერთი ეტაპის დახასიათებაზე, რათა თვალი გავადევნოთ იმას, თუ როგორ იცვლებოდა მისი ემოციური შემოქმედება, რა გავლენას ახდენდა ახალი იდეები სპეციფიკური მხატვრული ხერხების აღმოცენებაზე, როგორ იქმნებოდა ინტერიერის არქიტექტურის მშვენიერი სამყარო.



ნახ.1. პირველი ფილა საცხოვრებელი და შევლითური ნაგებობანი: 2. ქვაბული შეღებვისთვის; 3. მიწური ზის გადახურვით; კომლექსი-სტრუქტურები; 7. დოლომი; 8. დოლომი-სტრუქტურები; 9. მიწის ქვეშ ნაგებობანი.



ნახ. 2. საკულტო ნაგებობათა სტრუქტურა ძველ ეგვიპტეში: 1-ფოსტის პირამიდა; 2-ხეფრების ტაძარი; 3-ვიზის პირამიდათა კომპლექსი; 4-ტაძარი აბიდოსში; 5-ტაძართა კომპლექსი დეირ-ელ-ბახარიში (ა-შენტუზოტე 1-ის ტაძარი; ბ. ზატშეასუტის ტაძარი); 6-დიდი ტაძარი აბუ-სიმბულეში; 7-ამონის ტაძარი ლუქსორში.



აღმადინის საშწინებლო მოღვაწეობა დაკავშირებულია მისი ქმედების ინსტიტუტიდან შეგნებულზე გადასვლასთან. იგი გაცნობიერებულად იკმაყოფილებს ცხოვრებისათვის ყველა აუცილებელ პირობას. თავდაცვას ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან და საზოგადოდ, ექსტრემალურ მოვლენებისაგან.

კლასიკური მეგალითური ნაგებობები შეიძლება განვიხილოთ როგორც პირველი არქიტექტურული ნაწარმოებები, რამდენადაც მათში გამოყვანილია მეტყველი ხერხები, რომლებიც გამიზნულია მნახველის ემოციურ რეაქციაზე. მენჯირის ვერტიკალური მასა, რომელსაც ბუნებრივი სივრცის ნაწილი გადაჰყავს გააზრებულად ორგანიზებულ სივრცეში, დაპირისპირებული მიწის პორიზონტალურ სიბრტყესთან, ხდება გარემოს დომინანტად. ეს კი, პირველ ყოვლისა, არის კომპოზიციაში სივრცითი ფორმის კომპონენტის გამოვლინება.


პირველყოფილთა საცხოვრებელი და მეგალითური ნაგებობანი:

ძველია ზუსტად იმსჯელო მონათმფლობელური წყობის პერიოდის შენობების ინტერიერის შესახებ, რადგან დღემდე მოღწეულია საკულტო, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობების მეტად მკირე რაოდენობა. შემორჩენილი, თუ დროის დინებით დაზარეული და რეკონსტრუირებული შენობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნაგებობებისა და საცხოვრებელი შენობების სივრცითი სქემები უმეტეს შემთხვევაში ერთნაირია.

ძველი სამეფოს პერიოდის (ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) ძველევგვიპტური ტაძრის ცენტრალური ბირთვი სვეტებით გარშემორტყმული შედარებით მკირე ზომის დარბაზია, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით ტაძრის სხვა სათავსების მიმართ ზოგიერთი ეგვიპტური საცხოვრებელი სახლის ეზოებს მოგვაგონებს. ამ პერიოდის ინტერიერებს უკვე გააჩნია მკაფიო სივრცითი და ტექტონიკური კანონზომიერებანი.

ძველი ეგვიპტისათვის დამახასიათებელია ერთ ღერძზე განლაგებული სათავსების თანამიმდევრული დაკავშირება. საზოგადოების მსოფლმხედველობის რელიგიურ-მისტიკური ხასიათი, მისი კლასობრივი სტრუქტურა, ქურუმების ძლიერი და ჩაკეტილი კასტის გამოყოფა, რომლებიც თავისი კულტის უკიდურესი საიდუმლოებით გარემოცვას ცდილობდნენ, გავლენას ახდენდა ინტერიერის ხასიათზეც. ძველევგვიპტური ინტერიერი იქმნებოდა თანდათან შევიწროებული სივრცეების სისტემით, სადაც კლასობრივი ნიშნებით ხდებოდა მლოცველთა მკაცრი დიფერენციაცია. ვიხვას პირამიდების ინტერიერებისათვის (2900-2800 ძვ. წ. აღ.) დამახასიათებელი მზიდი და ასაზიდი კონსტრუქციების განუყოფელი ერთიანობა, თითქოსდა ერთიან მონოლითებად იყოს ამოკვეთილი. ტაძრის დარბაზის ფილიგრანულად გათლილი, მკაფიო და უბრალო სწორკუთხა ბოძები გამოირჩევა ამსოლუტურად სწორი გეომეტრიული ფორმით. კონსტრუქციების ხაზგასმულად მოჩვენებითი მონოლითურობა, ბლოკების ზუსტი შეპირაპირება, ნაკერების დამალვა, დეტალების უარყოფა ქმნის ეგვიპტური ინტერიერების დიდი ზომების შთაბეჭდილებას.

შუა სამეფოს ხანაში (ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო-II ათასწლეულის დასაწყისი) საკულტო შენობების ინტერიერებში საგრძნობი ცვლილებები შეიმჩნევა.



1




2








3

ნახ.3. საცხოვრებლის სტრუქტურა  
 ძველ ეგვიპტეში: 1 - სახლის დარბაზის  
 ინტერიერი (რეკონსტრუქცია); 2- სახლი  
 ტელ-ელ-ამარნეში; 3-დიდგვაროვნის სახ-  
 ლი კახუნეში; 4-ჩრდილოეთის სასახლე  
 ტელ-ელ-ამარნეში.




4




ნახ. 4<sup>ა</sup> ანტიკური ეგვიპტის პერპეტუალის სტრუქტურული განვითარების ევოლუცია; 1-ლიოსკურების ტაძარი რომში; 2-ზევის ტაძარი ოლიმპიაში (გეგმა); 3-აპოლონის ტაძარი ბასსამ (გეგმა და კრილი); 4-ზევის ტაძარი ოლიმპიაში (კრილი); 5-ზევის ტაძარი ბალბეკში; 6-ტროიანის ფორუმი.


→  
ნახ. 4<sup>ბ</sup>




5



6



7



8



ქობოსტილიური დარბაზის სიერცე სამწავიანი აღნაგობის გამო გაცილებით  
დინამიკური ხდება. შუა ნაწიის გამოყოფამ და ტაძრის ნაწილის ბუნებრივმა განა-  
თებამ მკაფიოდ გამოყო სიერციით დერძი და მლოცველებს ორგანიზებულიობა  
შესძინა.

გეგმით

ახალი სამეფო ტაძრების სიერციით სტრუქტურა გაცილებით გართულებუ-  
ლია მანამდე ჩამოყალიბებულ სქემასთან შედარებით. ამ დროს ვაჭრა საცხოვ-  
რებელი შენობებისა და ტაძრის მოცულობით- სიერციით სტრუქტურის თან-  
ხედენა. თუ საცხოვრებელი ნაგებობების დაგვემარება ასიმეტრიული და არა-  
რეგულარულია, ტაძრის გვემა, პირიქით, გამორჩევა სიმეტრიულობით, მკაფი-  
ობით. ამ დროს ტაძრების თავისებურებაა აშკარად გამოვლენილი ცენტრა-  
ლური გრძივი დერძი და მთელი მოცულობის ფორმალური აღნაგობა ინტე-  
რიერის სიერციით სტრუქტურა ორ ძირითად პრინციპს ეყრდნობოდა: მოცუ-  
ლობის თანდათანობით შემცირებასა და სიერცის ასეთსავე ჩაბნელებას შესას-  
ვლელიდან საკერპოსაკენ.




მეტად მრავალფეროვანია გამოყენებული მასალა და დეკორი, ჯოსერის  
სამარხში (ძვ. წ. აღ. 3000 წ.) გამოყენებული იყო შწვანე ფერის ფაიფურის  
შორენკეცი. გიზას ტაძრებში ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა სახის  
საპრიალებელ ქვებს- ალებასტრს, ვარდისფერ გრანიტს, შწვანე დიორიტს.  
აღსანიშნავია დედოფალ ხატ შეპსუტის სამარხის (ძვ. წ. აღ. 1600 წ.) შიგა  
მოპირკეთება იმ დროისათვის ახალი მასალის უხვი გამოყენებითეს პირველ  
ყოველისა ითქმის ლითონებზე (იატაკის მოპირკეთება ოქროსა და ვერცხლის  
ფილებით, კარის ლიობის ბრინჯაოთი ინკრუსტირება).

ძვ. წ. აღ. 2700-2400 წელს ინტერიერებში დაინერგა ფერადი რელიეფები.  
ცნობილია ეგვიპტური რელიეფის ორი სახე: ჩვეულებრივი ბარელიეფი ჩაძირუ-  
ლი ფონით და ეგვიპტისათვის დამახასიათებელი რელიეფი, სადაც ქვაზე  
მხოლოდ კონტურია დატანილი, ხოლო ქვის ხელუხლებელი ზედაპირი ფონს  
წარმოადგენს.

რელიეფური გამოსახულებები მთლიანად ფარავდა სვეტებსა და კედლებს,  
რის შედეგადაც შენიღბული იყო ქვის კონსტრუქციის სტრუქტურა არსებობ-  
და კედლის მხატვრობის ორი ტიპი ძირითადია მშრალი ზედაპირის ტემპრათი  
მოხატვა, ვახვდება ისეთი ნიმუშებით, სადაც იგივე მინერალური საღებავები  
პასტის სახით ჩაზელილია წინასწარ მოშალდებულ ჩაღრმავებებში.


საცხოვრებელი ნაგებობების მოპირკეთების საცესებით ჩამოყალიბებული  
ხერხები არსებობდა იატაკის მოსაწყობად ხმარობდნენ მაღალი ხარისხის ქაშა-  
ნურის ფილებს მათი მეშვეობით აწყობდნენ სხვადასხვა სახის ნახატებს:  
პეიზაჟებს, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებს, კედლის მოსაპირ-  
კეთებელ მასალად იყენებდნენ ხის ძვირფას ჯიშებს, ხშირად იატაკს ფარავდნენ  
ხალიჩებით.

სასახლეთა ინტერიერებში იყენებდნენ მრავალნაირ ავეჯს, ძვირფასი ხის  
მასალის (კალფეხიანი ან ოთხფეხიანი) მაგიდები ინკრუსტირებული იყო ოქრო-  
თი ან სპილოს ძვლით, კარადებსა და ზანღუკებს ასევე ფარავდნენ ინკრუსტა-  
ციით ან მოჭედული ოქროს ფირფიტებით. ხის საწოლების საყრდენ ფეხებს  
ჰქონდა მხეცების თათის ფორმა და ძვლისაგან კეთდებოდა დასაჯლომად  
იყენებდნენ უზურგო დასავეც სკამებს ან ლომისთათებიან სავარძლებს.



ნახ. 5. ანტიკური ტაძრის თა-  
 ლოვანი სტრუქტურა: 1 - ევენვრასა  
 და რომის ტაძარი; 2 - პანთეონის  
 გეგმა, ინტერიერი.





ნახ. 6 ანტიკური საცხოვრებელი სახლის სტრუქტურა: 1 - კომპოზიციური სქემა (ვევმა, კრილი); 2 - სახლის ინტერიერი; 3 - პაპირუსის ვილა; 4 - საცხოვრებელი სახლი; 5 - საცხოვრებელი სახლი.

თვალწარმტაცია ეგვიპტური ინტერიერების ფერადი კოლონები. ლუქსორში კერზე გამოხატული იყო ვარსკვლავები ან ცის სიმბოლო. კედლის ძველ ნაწილში იფარებოდა მცენარეულობის ამსახველი ორნამენტით. კედლებზე დანართნი ნაწილი მონატული იყო ცხოველთა კომპოზიციებით. დღევანდელი ფეხით, რომლებიც ხალიჩისმაგვარად ფარავდა კედლის სიბრტყეებს, კარნიზებს, სვეტებსა და ამავე დროს ხელს არ უშლიდა არქიტექტურული ფორმების მკაფიო აღქმას.

ძველი საბერძნეთის არქიტექტურა გამოირჩეოდა ჰუმანურობით. ბერძნებმა ჩამოაყალიბეს ტაძრის, თეატრის, ბულევტერიონის პრინციპულად ახალი ტიპი, განავითარეს საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობის ტრადიციები. ანტიკური საბერძნეთის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერებისათვის დამახასიათებელია უბრალოება, სივრცითი კომპოზიციის, კონსტრუქციების, მასალებისა და მხატვრული ფორმის ორგანული ერთიანობა. იმ არქიტექტურულ დეტალებზე უარის თქმა, რომელთა არსებობა ფუნქციური აუცილებლობით არ არის გამოწვეული, სრულიადაც არ ნიშნავს ინტერიერის ესთეტიკური არსის უარყოფას ან დეკორის სიმდიდრით სარგებლობის უცოდინარობას. აქ ნათლად ჩანს განსაკუთრებული მიდგომა ფილოსოფიისადმი, სამყაროს განსაკუთრებული ხედვა, ინტერიერის საკუთარი სპეციფიკური ეტალონების დამუშავება, რომლებიც პასუხობდა საზოგადოების ესთეტიკურ იდეალებს. ამ ეპოქას ახასიათებს მისწრაფება კონსტრუქციებისა და მასალების თვისებების გამოვლენისაკენ.

მე-5 საუკუნის (ძვ. წ. აღ.) ბერძნული არქიტექტურა უარს ამბობს მიკენის კულტურისათვის დამახასიათებელ დიდ მშენიერებასა და ფუფუნებაზე. ძველბერძნული ტაძარი მკვეთრად განსხვავდებოდა ტაძრების იმ სახეობებისაგან, რომლებიც ძველ აღმოსავლეთში იყო შექმნილი. ტაძარი არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ საზოგადოებრივ ცენტრად იქცა. იგი სიმბოლოდ თავისებურ ქანდაკებად გვევლინება, რომლის გარე გამოხატულებასაც ძირითადი ყურადღება ექცეოდა. შიგნით სივრცე მაქსიმალურად გამარტივდა და ამავე დროს მკაფიო და ერთიანი გახდა. ინტერიერში გამოიყვანდა მზიდი და ასაზიდი ელემენტების ის წონასწორობა, რაც დამახასიათებელია ბერძნების მთელი არქიტექტურული სისტემისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერიერებს ფასადებთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, შიგნით სივრცეში იგრძნობოდა გააზრება, დეკორატიული მასალების არჩევის ლოგიკურობა. გარე პერიპტერისაგან განსხვავებით, ინტერიერში გამოყენებული იყო ორიარუსიანი კოლონადა, რაც შიგნით სივრცეს მასიური სვეტებისაგან განტვირთავდა.


უკვე კლასიკური სტილის ფარგლებში ჩაისახა ინტერიერ-ექსტერიერის თანაფარდობის ცვლილება. ინტერიერის სულ მეტი ყურადღება ექცეოდა. ამის მაგალითია აპოლონის ტაძარი ბასაში (იქტინი, ძვ. წ. აღ. 430 წ.), რომელშიც აშკარად აღიქმება შიგნით სივრცის წყობის გართულება. გვერდითი კედლების გასწვრივ ამოყვანილია მოკლე განივი კედლები, რომლებიც იონური კოლონებით მთავრდება. ამ ხერხმა ტაძრის ინტერიერი შექმარდით შენაცვლებით გაამდიდრა და უფრო დინამიკური გახდა. შიგნით მორთულობაში რელიეფები გამოჩნდა.




1




2



3



4



ნახ. 7 გუმბათოვანი  
 ფორმის განვითარება  
 რომელ არქიტექტურ-  
 რაში: 1. კონსტანტინე  
 მეფობის დროს, მე-IV ს.  
 2. ოქტოგონი ნერო-  
 ნის საბაში 1 ს.; 3.  
 ელესია სან-ვიტალე-  
 რავენაში, 526 წ.; სო-  
 ფიოს ტაძარი კონ-  
 სტანტინოპოლში, 536  
 წ. (ინტერიერი, ვეგმა,  
 კრილი).

საბერძნეთისათვის დამახასიათებელია საცხოვრებელი სახლის ის ტიპი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ხმელთაშუა ზღვის კლიმატის პირობებში. საცხოვრებელი ინტერიერის არქიტექტურა შეიქმნა დგენას იძლევა მილეთის საცხოვრებლის რეკონსტრუქციის დროს და დღესაც დღესაც დგას. საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელი შენობების სტრუქტურის ბირთვია კოლონადით-პერისტილით ვარშემორტყმული შიგა ეზო, პერისტილის გალერეაზე გამოდიოდა საცხოვრებელი ოთახები, რომლებიც კარების ღიობებიდან ნათდებოდა. დაგვემარებოთი სქემა თავისუფლებითა და ასიმეტრიულობით ხასიათდებოდა.

საცხოვრებელ ინტერიერში გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია (ბათქაში, მარმარილო, ხე, მონაიკა). ქერი უმეტეს შემთხვევაში ეყონურია (შეღებილი, მოოქრული, ხის, ალემასტრის კოჭებით), რომლებიც მარმარილოს იმიტაციას წარმოადგენს. კარის მაგიერ ხშირად იყენებდნენ ხალიჩებს, ფარდაებს. სასახლეებში კუს ფარით, სპილოს ძვლით, ონიქსითა და აქატით ინკრუსტირებულ ხის კარებებს აყენებდნენ.

საზოგადოებრივი შენობების მოსაპირკეთებლად იყენებდნენ მარმარილოს, მეწამულის ქვას (პორფირს), მოქიქულ ტერაკოტას, ინკრუსტაციას, მოოქრობას, ქედური სპილენძის ფირფიტებს.

ბერძნების საყოფაცხოვრებო ავეჯი უფრო უბრალო მასალისაგან მზადდებოდა, რომლებიც სადად იყო მოპირკეთებული. შემონახულია ლამაზი ფორმის სკამები და სავარძლები, აკეთებდნენ საწოლებს, სამკუთხა სასადილო მაგიდებს. ბერძნები, ყუთებსა და სკივრებთან ერთად, კედლის კარადებითაც სარგებლობდნენ.

ძველი რომის არქიტექტურაში სრულიად განსხვავებული ინტერიერები ჩამოყალიბდა, რომლებიც ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენდა. კამარებმა და გუმბათებმა შიგა სივრცე გამოათავისუფლა ახლომდგომი კედლებისა და სვეტებისაგან, რაც დამახასიათებელი იყო კოჭებით გადახურული ეგვიპტური და ბერძნული ინტერიერებისათვის.

რომში ჩამოყალიბებული შიგა სივრცის მოცულობითი სტრუქტურებისათვის დამახასიათებელია სტატიკურობა და გრანდიოზულობა. სტატიკურობას აღწევდნენ შიგა სივრცის მკაცრი სიმეტრიულობის ხარჯზე. რომაული ბაზილიკა ორი მთავარი ღერძის მიმართაა სიმეტრიული. მასში შექმნილ სივრცეს ერთიანი ცენტრი გააჩნია, რაც განპირობებულია არა ადამიანის მოძრაობის მიმართულებით, არამედ კომპოზიციური მოსაზრებებით. საზოგადოებრივი შენობების კომპოზიცია არ შეიძლება მონუმენტური არ ყოფილიყო, რადგან ეს იყო ოფიციალური არქიტექტურა, რომელსაც უნდა აესახა იმპერატორის ძალაუფლების შეუვალობა, მისი მასშტაბი არ შეესაბამებოდა ადამიანს.

უკიდურესად მსხვილი მასშტაბი ახასიათებს იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნაგებობას - პანთეონს. პანთეონის შიგა სივრცე ძალიან დიდია აბსოლუტური ზომებით. მასში არქიტექტურული კომპოზიციის საშუალებები მაქსიმალურადაა გამოყენებული იმ მიზნით, რომ მხედველობითად კიდევ უფრო გაიზარდოს მისი ზომები. პერიპტერული ტაძ-




რებისაგან განსხვავებით, პანთეონის სივრცე არ იყო დანაწევრებული სვეტნარით, ამიტომ იგი საოცრად გრანდიოზულად გამოიყურებოდა. ვუმბათი დანაწევრებული იყო ღრმა კესონების ხუთი რგოლით, რომელთა ზომები პერსპექტიულად მცირდებოდა ცენტრისაკენ, რაც უფრო მამულურებად დიდი სივრცის შეგრძნებას. ქვედა და ზედა იარუსებში მყოფი პროფილირებული კარნიზები, მცირე პილასტრებით დამუშავებული მეორე იარუსის სარტყელი, კასეტების რგოლური რიგები, ინტერიერში ჩაკეტილ კონცენტრულ წრეწირებს ქმნიდა, რის გამოც ნაგებობის ცენტრალური სივრცე კიდევ უფრო გრანდიოზული მოჩანდა. პანთეონის ინტერიერმა დასაბამი მისცა შემდგომ ეპოქებში შექმნილ უამრავ მსგავს ვარიანტს.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურამ შემდგომი ევოლუცია განიცადა იტალიური სახლის ადგილობრივი ატრიუმის ტიპი გამდიდრდა პერისტილით - აღმოსავლურ-ელლიური საცხოვრებელი შენობების აუცილებელი ელემენტით, რომმა არა მარტო ისესხა იგი, არამედ გადაამუშავა კიდევ საცხოვრებელი სათავსების თავისუფლად განლაგების ბერძნული პრინციპისაგან განსხვავებით, რომელიც სახლის სქემაზე ოთახებში ისინი ერთ ცენტრალურ ღერძზეა განლაგებული მდიდართა ვილებში პერისტილი გაზრდილი და ბალად იყო ქცეული, რომელიც წყალსატევსა და ქანდაკებას მოიცავდა ამგვარად, ჩამოყალიბდა ორცენტრიანი საცხოვრებელი სახლის სქემა, სადაც სათავსების ჯგუფები თავმოყრილი იყო ატრიუმისა და პერისტილის გარშემო.


ძველ რომში აეგვიდათვის იყენებდნენ ხის ძვირფას ჯიშებს: მუხას, ნეკერჩხალს, წიფელს, იფანს, პალმას ლითონებიდან გამოიყენებოდა ბრინჯაო და ვერცხლი კონსტრუქციულად კარგად იყო დამზადებული ლითონის სკამები. შემონახულია მარმარილოში შესრულებული მაგიდებისა და სკამების ნიმუშები.

შივა მოპირკეთებისათვის ძირითადად გამოიყენებოდა შელესვა და მარმარილო. ფერების სიუხვეს მარმარილოს სხვადასხვა ჯიშში უზრუნველყოფდა მარმარილოს ინკრუსტაციები პანთეონისა და თერმების უზარმაზარ სივრცეებს საზეიმო იერსა და ფუფუნების ხასიათს ანიჭებდა მარმარილოსგან შედგენილ ბრწყინვალე პოლიქრომიას ემატებოდა უბრალოდ შესრულებული მოზაიკა და კედლის მატერობა რომის არქიტექტურა ინტერიერებში ფართოდ იყენებდა მონუმენტურ ფერწერას ფრესკასთან ერთად არსებობდა ენკასტიკაც - ცვილის საღებავებით შესრულებული ფერწერა სრულყოფით გამოირჩეოდა იმდროინდელი მოზაიკა, ძირითადად იატაკის საფარიტომისთვის დამახასიათებელი იყო მკაფიო ნახატი და ფერების ფაქიზი შეხამება.

ბიზანტიური საზოგადოებრივი შენობის - ადრექრისტიანული ტაძრის შივა მოცულობით-სივრცითი სტრუქტურა ევგვიტოსიან პრინციპულად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური იდეების გავლენით ყალიბდებოდა ევგვიტური რელიგიისაგან განსხვავებით, ქრისტიანობას არ ახასიათებდა კარნაკტილობა მლოცველთა ფართო მასების მოზიდვა დიდ თავისუფალ სივრცეს მოითხოვდა ღვთისმსახურებამ სანახაობითი თეატრალური ხასიათი მიიღო, რაც გვერდითი ნეფებიდან კარგ ხილვადობას მოითხოვდა, რამაც საბოლოო ჯამში კონსტანტინოპოლის სოფიოს ტაძარში გუმბათისქვეშა სივრცის შექმნამდე მიიყვანა.








5


ნახ. 8 ანტიკური ზნის საზოგადოებრივ ნაგებობათა სტრუქტურა: 1 - სახლი არგოსში; 2 - ეკლესიასტურიული პრიენში; 3 - ბულევტურიული მილეტში (გეგმა); 4 - გიმნაზია პრიენში; 5 - ბულევტურიუმის ინტერიერი პრიენში; 6 - დიონისეს თეატრი ათენში; 7 - თეატრი ეფესში; 8 - ვალიის თეატრი; 9 - კოლიზეუმი რომში; 10 - მოედანი პრიენში; 11 - ბაზილიკა; III ს. (გეგმა, კრილი); 12 - მარკ აურელიუსის ბაზილიკა რომში, IV ს.; 13 - კარაკალას თერმები რომში (გეგმა, კრილი, ინტერიერი).



12



13





ნახ. 9 ანტიკური სახლების ინტეგრირ-  
 თა დეკორი: 1 - კარავალის თერმები (რე-  
 კონსტრუქცია); 2 - ვალერიის სასუფეველის  
 კერის მოხატულობა; 3 - ანტიკური სახ-  
 ლის კედლის მოხატულობა.





ტაძრის გვემის სწორკუთხოვანი სქემა არქიტექტორებს რთული ამოცანის წინაშე აყენებდა. საჭირო იყო წრიული მოხაზულობის გუმბათის ამოყვანა ბაზილიკის სწორხაზოვან მოხაზულობაზე. აღმრთაძინეს (ძინების) ოთხი ბოძი შეაერთეს თაღებით და მათზე დააყრდნეს გუმბათის ფუძე. შექმნა გუმბათიდან შეზნექილი სიბრტყეების (აფრების) მეშვეობით და შემდგომ თაღების საშუალებით კედლებზე დატვირთვების გადაცემის უკიდურესად რაციონალური სისტემა. არქიტექტურის ყველა საშუალება გამოიყენებოდა რელიგიური და საერო ცერემონიებისათვის, მისტერიებისათვის საჭირო გარემოს შესაქმნელად. ჩამოყალიბდა ინტერიერი, რომელიც ნათლად და თანამიმდევრულად მიანიშნებდა იმპერატორის ძალაუფლების შეუვალობასა და ადამიანის უსუსურობაზე სამყაროს რთული მრავალმხრივობის წინაშე. ამ იდეას ემორჩილება ინტერიერის სივრცით წყობა. ტაძრის შიგა სივრცე დამთრგუნველად დიდი და ღინამიკურია. სივრცის ხასიათს ადამიანი მიჰყავს კომპოზიციის ცენტრთან და აიძულებს არა გონებით, არამედ შეგრძნებით შეაფასოს ნაგებობის გრანდიოზულობა. ამას ხელს უწყობს ბუნებრივი განათების რთული სისტემაც.

სივრცითი წყობის ჩანაფიქრმა, იდეამ განსაზღვრა ინტერიერის ტექნიკური მხარე. მის ძირითად შემადგენელ ნაწილს გუმბათი შეადგენს და ყველა ხელმისაწვდომი ხერხით ხაზგასმულია უზარმაზარი გუმბათის დიდი სიმაღლის საოცრება. ოქროთი და მინანქრით გაბრწყინებული გრანდიოზული გუმბათი ირგვლივ საფუძველთან ნათდება თანჯრებით, რომელიც ჰაერში შეკიდულის შთაბეჭდილებას ქმნის.

აღრექრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ნიმუშია რავენის ბაზილიკები. იმპერატორის ძლევამოსილების უგულვებელსაყოფად მათ შეისისხლხორცეს წინამორბედი ბერძნული და რომაული ცივილიზაციების ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: გააერთიანეს ბერძნული არქიტექტურის მასშტაბი და რომაული არქიტექტურის შიგა სივრცე. რავენის ბაზილიკების ინტერიერები კომპოზიციური მრავალფეროვნებითა და სივრცითი სიმდიდრით გამოირჩევა.

ერთიანობის, დახვეწილობისა და სიმდიდრის იდეა აღიქმება რავენის სან ვიტალეს ეკლესიის შიგა სივრცეში (526-547). ეკლესია ბიზანტიაში შემუშავებული ცენტრული კომპოზიციის ნიმუშია. გუმბათით დაგვირგვინებულ რვაწახნაგოვან მოცულობაში გამოყოფილია შიგა სივრცე. გუმბათი ეყრდნობა რვა სვეტს. ერთმანეთთან თაღებით დაკავშირებულ საყრდენ ბოძებსა და შენობის კედლებზე ამოყვანილ კამარებზე მოთავსებული იყო გალერეა პრივილეგიურ პირთათვის განკუთვნილი ადგილებით. ძირითად ბოძებს შორის, მცირე თაღების მეშვეობით, იქმნებოდა მომკრო ნახევარწრედები, გადახურული ნახევარგუმბათებით, რომლებიც ქმნიდა გვირგვინს შიგა სივრცის რვაკუთხედის გარშემო. სწორად გააზრებული არქიტექტურული ხერხი ეკლესიაში შემსვლელს ხედს უხსნიდა ცენტრალურ სივრცეზე და აიძულებდა შესვლისთანავე შეეფასებინა სივრცის სირთულე და პლასტიკურობა. ასევე საოცარ სივრცით ეფექტს იძლეოდა ბოძების თავისებური ფორმა. კოლონა რთული მრავალწახნაგა მოხაზულობისა იყო და სხვადასხვა რაკურსით აღიქმებოდა. ამასთან ცენტრალური




გუმბათის ქვეშა სივრცის საზღვრები თითქოსდა ცვალებადი და ზოგჯერ შეუმჩნეველიც იყო.

შუაბიზანტიურ არქიტექტურაში საყურადღებოა ჯვარგუმბათოვანი ტიპის ტაძარი. მისი ტიპური ნიმუშია ნიუსაფის ეკლესია "კელღებს ჯვარით" (569-586), რომელშიც ეკლესიის შიგნით აღმართულ ოთხ ბოძზე დაყრდნობილი თაღები იჭერს ცენტრალურაფრებიან გუმბათს. თაღებს ეკერის ნახევარწრიული კამარები, რომლებიც ხურავს შენობის გვეგმაში გამოსახულ ძირითადი ჯვრის გვერდით მკლავებს. კუთხის სარკვეები გადახურულია მომცრო გუმბათებით. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის სხვა ნიმუშებში კუთხის სივრცეები ჩვეულებრივ ჯვარული კამარებითაა გადახურული.


ბიზანტიურმა ხელოვნებამ მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის, (პირველ ყოვლისა, მოზაიკის) შედეგები შექმნა, რომლებიც ასახავს თავისი დროის ზნობრივ-ესთეტიკურ შეხედულებებს, ამტკიცებს იმპერატორის ძალაუფლებასა და სიღიადეს, სამყაროს კანონების მიუწევდომლობას აქედან მოდის ინტერიერის საზღვრების დემატერიალიზაციის ცდებიც. მარმარილოს წყობა, ნახატიანი შეღესვა, მოზაიკა ფარავს იატაკის, ქერის, კედლების ზედაპირებს და ისინი ბრწყინვალე ფერებით, სინათლით აღსავსენი არარეალური ფონის სახით აღიქმება. ქვებით შედგენილი ანტიკური მოზაიკის ნაცვლად ბიზანტიურმა ოსტატებმა სმალტას (შეღებილი შენადნობი ფერადი მინის კუბიკებს) მიმართეს. სმალტამ გამოსახულებას სიღრმე, გამჭვირვალობა და ნახევარტონების სიფაჩიზე მიანიჭა. გამოსახულებას განსაკუთრებულად საზეიმო ხასიათს ანიჭებდა ოქროსფერი ფონი. მოოქრული სმალტის კუბიკები თხელი მინის ფენით იფარებოდა, რაც სიბრტყის ციმციმის ეფექტს იძლეოდა.

იყენებდნენ ტრადიციულ ფერებს - ლურჯს, თეთრს, ნარინჯისფერსა და მწვანეს, რომლებიც ქმნიდა საზეიმო ფერების სპექტრს ასე მაგალითად, სან აპოლინარის ბაზილიკის ქვედა სარტყელზე მოთავსებული გამოსახულებანი ოქროს ფონზე მოთავსებული თეთრი სილუეტებისაგან შედგენილ დახვეწილ, ლამაზ ორნამენტად აღიქმება. გამოსახულება შევსებულია ღია მწვანე ფერის მინითა და ყვავილების კაშკაშა ლაქებით, პალმების წითელი ღეროებისა და მწვანე ფოთლების კონტრასტული დაპირისპირებით.


რომანული პერიოდის ინტერიერები გამოირჩევა სივრცითი სტრუქტურის მთლიანობით, პროპორციულობით, საშენი მასალების დამუშავების სრულყოფით, მხატვრული ხერხების თავისებური გამოყენებით. გააგრძელა რა ადრექრისტიანული ბაზილიკის არქიტექტურის ტრადიციები, რომანული არქიტექტურა საკრაოდან ერთიანი მსოფლმხედველობით გაერთიანებული ადამიანების ეკლესიად იქცა. ხისტმა და დამორგუნველმა რელიგიურმა დოგმამ რომანული ბაზილიკის კანონიზირებული ტიპი შექმნა (ერთი ან ორი ტრანსეპტით გადაკვეთილი სამნაეიანი და ხუთნაეიანი წაგრძელებული დარბაზები). იერარქიული უთანასწორობა გამოისახებოდა საკურთხევის აუსილისა და ყველაზე მეტად "საპატიო" ტრანსეპტის უკან მოთავსებული ტაძრის მეტად "საპატიო" ნაწილის პლასტიკურად მდიდრულ გაფორმებაში.




ნახ. 10 შეასაუკუნეთა კათოლიკურ ტაძართა სტრუქტურა დასავლეთ ევროპაში: 1 - წინა რომანული პერიოდის ბაზილიკის ინტერიერი; 2 - რომანული ტაძრის ინტერიერი; 3 - მონასტერი კლიუნში, XII ს.; 4 - წმ. პეტრეს ბაზილიკა რომში, IV ს.; 5 - რომანული ტაძარი სენ-სერენი ტულუზაში, XI-XII ს. (გვემა, ქრილი); 6 - გოთიკური ტაძრის ინტერიერი; 7 - გოთიკური ტაძარი რეიმსში, XIV ს. (გვემა, ქრილი).



6



7





რომანული ეკლესიების შიგა სივრცე გამოირჩევა მთავარი და გვერდითი ნავეების უბრალოებითა და რიცხობრივი თანაფარდობით. მაგრამ სივრცითი და მხატვრული გადაწყვეტით შუალედი ნავე იყო განმეტრებული. პრალის წმინდა ირქის ტაძრის, როგორც სხვა რომანული ნაგებობების, ინტერიერისათვის დამახასიათებელია შუალედი ნავის კედლის ნათელი დანაწევრებაც სამ იარუსად, რომლებიც შეკავშირებულია ზუსტად გათვლილი მასშტაბური თანაფარდობით. ქვედა იარუსს ბოძებზე დაყრდნობილი მძიმე ნახევარწრიული თაღები შეადგენს, რომლებიც შუალედ ნავს გვერდით ნავეებს უკავშირებს. მეორე იარუსის თაღები გაცილებით მსუბუქი პროპორციებით ხასიათდება, მაგრამ აქაც ჭგუფებად შეკრული სამი თუ ოთხი თალი წარმოშობს შედარებით მასობრივ დეკორატიულ ლაქებს, რომლებიც კონტრასტს ქმნის ზედა იარუსის იშვიათად განლაგებულ ფანჯრებთან.

კედლის სიბრტყის ამდენად მნიშვნელოვანმა დანაწევრებამ მხატვრული საშუალებების ხასიათიც განსაზღვრა. რომანული ინტერიერებისათვის დამახასიათებელი ფრესკული ფერწერა მოთავსებული იყო მხოლოდ საკურთხევის აფსიდის კედლებზე და გვერდით ნეფებში. დანარჩენ კედლებს ბუნებრივი ქვის ყვითელი ფერი გადაჰკრავს. კედლების მასიურობა გამოკვეთილია მცირედი სკულპტურული მორთულობით.

რომანულ ეკლესიებში არ გვხვდება გვერდითი ნავეების კამარების თავზე მოთავსებული გალერეები და ემპორები. პირველი იარუსის ზემოთ კედლის სიბრტყე დაფარულია ფერწერით ან დეკორატიული თაღებით - ტრიფორიუმით.

რომანული ეპოქის მონუმენტური ფერწერის გამოსახულებების თავისებურება რელიგიურ კანონებს ემყარებოდა. ამითაა განპირობებული მათი სიმბოლური ხასიათი, გამოსახულების პირობითობა, ფორმების სტილიზაცია. ეკლესიურმა დოკუმებმა ვერ შებოჭა მხატვრების ფანტაზია; ფრესკები განსაკვიფრებელია თავისებურებითა და განუმეორებლობით. ისინი შეიძლება მკვეთრი და უხეშიც ჩანდეს, მაგრამ ყოველთვის ემოციურია, მათი ძირითადი ნიშანია არქიტექტურისაგან დამოუკიდებლობა. ტიმპანის შუაგულში მოთავსებული ფიგურები გაცილებით დიდია, ვიდრე კუთხეებში; პორიზონტალურ ფრიზებზე მოთავსებული ფიგურები კი ჩვეულებრივად ტანმორჩილი, შუაკედლისის ფიგურებს, ბოძებს, კოლონებზე მოთავსებულ ქანდაკებებს კი წაგრძელებული პროპორციები აქვს.

არქიტექტურული დეტალებით ხაზგასმული გრანდიოზულობა და ასკეტურობა, ცალკეული მოცულობების სიმკაცრე რომანული არქიტექტურის ერთადერთი თემა არ არის. რთული სამონასტრო კომპლექსები მოიცავდა საეკლესიო შენობას და უამრავ სხვადასხვა სახის საცხოვრებელ სათავსებს, რომელთა კომპოზიციურ ცენტრს შიგა ეზოკლუატრი წარმოადგენდა. იგი ლოჯიებითა და თაღებით გარშემორტყმული სწორკუთხა ბაღი იყო.

რომანული პერიოდის ერთ-ერთი ულამაზესი კომპლექსი შექმნილია საფრანგეთში, არლეში სენ ტროფიმეს ეკლესიის ანსამბლში. ეზო გამოირჩევა დახევეილი პროპორციებით, მაღალი და აღმართული თაღების მო-

ხდენილი მოხაზულობით, შეწყვილებული სვეტებით. სვეტების რიგი გართულებულია ოთხკუთხა კვეთის ბოძებზე შემდგარი წმინდანთა სკულპტურული გამოსახულებებით.

გოთური არქიტექტურა არქიტექტურის ისტორიის ერთ-ერთ უძველეს ნაწილს წარმოადგენს და წინააღმდეგობების შემცველი ნაწილია. მასში აირეკლა აზროვნების რეალისტურობა და რელიგიური ექსტაზი, ადამიანის ღირსების დაცვისკენ სწრაფვა და დამორგუნველი შიში, მსოფლიოს აღქმის რაციონალიზმი და მისტიციზმი.

უნდა აღინიშნოს გოთური ნაგებობების მკაცრი სიდიადე, გოთური შენობების ინტერიერები გამოირჩევა დინამიზმითა და ექსპრესიით, თავისი დროის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ იდეებთან მისადაგებით. გოთიკის დამკვიდრება განპირობებული იყო იმ ტექნიკური გამოცდილებით, რაც წინა თაობებმა შეიძინეს. მთავარი კონსტრუქციული სიახლე კი იყო თამამი და გენიალურად მარტივი ხერხი-ჯვარული კამარის დატვირთვების აღმქმელი მუშა კარკასის გამოყოფა. საუკუნეების მანძილზე რომანულ არქიტექტურაში მიმდინარეობდა ცენტრალურიდან ჯვარულ კამარაზე, წრიული თალიდან შეისრულზე გადასვლის პროცესი. გოთიკის ოსტატებმა არა მარტო დახვეწეს სამშენებლო ხერხები, არამედ კონსტრუქციული თავისებურებანი დეკორატიული მიზნებისთვისაც გამოიყენეს.

კონსტრუქციული ელემენტი გოთური ინტერიერის ესთეტიკური გამომსახველობითობის საფუძვლად იქცა. გოთური ტაძრის მოცულობით-სივრცითი სტრუქტურა დინამიკურია. აქ არ შეხვდებით რომანული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრების გაწონასწორებას. შიგა სივრცე ზვეითკენ მიისწრაფვის, რაც ხაზგასმულია დიდი სიმაღლითა და ვერტიკალური ხაზებით. იგი რთული და ცვალებადია. კარკასმა შეცვალა კედლის ფუნქცია და ტექტონიკა და ამასთან საშუალება მისცა არქიტექტორებს გვერდითი ნაგებობის, ნართექსის, პატრონიკეს ჩაკეტილობა მოესპოთ. გოთიკის ოსტატობის მაღალი კულტურა გამომქლავდა რთული შიგა სივრცის გამოყენებაში ადამიანზე შემოქმედების მიზნით, მხატვრული ხერხების მკაცრ არჩევანში. შიგა სივრცე, თუმცა ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ განუხრელად იზიდავს ადამიანის ყურადღებას საკუროთხევლისაკენ. ტაძრის საკუროთხევლის ნაწილთან წყდება სვეტების რიტმული განმეორებადობა, აქ მკვეთრად მალღდება ცენტრალური ნავი, მატულობს განათებულობა, საზეიმოდ გამოიყურება ფერადი ვიტრაჟები.

სვეტებისა და კედლების დიდ ნაწილს არა აქვს ცხოველხატული დეკორი. ქვის სიმკაცრე ხაზს უსვამს გრძივად განლაგებული ვიტრაჟების სილამაზეს. ადამიანს თვალს სტაკებს გარედან შემოსული სინათლით განათებული სხვადასხვა ფერის ვიტრაჟები, რომლებიც თანდათან იხსნება სიღრმეში მოძრაობისას და თავს ატეხს მაყურებელს ფერადი სინათლის ნაკადებს.

შუასაუკუნეების ოსტატები აქტიურად იყენებენ ახალ კონსტრუქციულ პრინციპებს სივრცობრივი იდეის განსახორციელებლად და ძველ არქიტექტურულ საშუალებებს, რომლებიც რომანული სტილის ტექნი-





2



3




ნახ. II ვითარეუბანი სტილის სა-  
 ზოგადოებრივ ნაგებობათა სტრუქ-  
 ტურა: 1 - ციხესიმაგრე; 2 - პაპის სა-  
 სახლე აფხიზონში, XIII - XIV  
 სს.; 3 - ქონსპიტალი ალიორში (გეგ-  
 მა, კრილი), XII ს.; 4 - ქონსპიტა-  
 ლი ტონეჩეში (კრილი, გეგმა),  
 XIII-XIV სს.; 5 - რატუმა ტალინ-  
 ში, XIV-XV სს.



5



4






ერ შეხედულებებს შეესატყვისებოდა. ადრეგოთური პარიზის ლათინ-შკოლის ტაძრის ინტერიერებში, რომლის მშენებლობა 1163 წელს დაიწყო, რომანული წინამორბედების ბევრი თვისება ვლინდება (სიმაღლის დაუნაწევრებელი მასიური კოლონები, ყრუ კედლების შედარებით დიდი მონაკვეთები). აქვე მკაფიოდ ამოიკითხება გოთური ინტერიერის ახალი თვისებებიც. რომანული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სამი ზონის გამოყოფა ხელს არ უშლის ვერტიკალური ელემენტების მნიშვნელობის ხაზგასმას. რაც უფრო უღლა იარუსი, მით უფრო წაგრძელებული პროპორციების ხდება თაღები. ვერტიკალური ხაზები აქცენტირებულია წვრილი შეწყვილებული ნახევარსვეტებით, რომლებიც კედლის სიბრტყეს კვეთს მთელ სიმაღლეზე პირველი იარუსის კაპიტელებიდან ნერვიური კაძარის საყრდენებამდე.

ჩამოყალიბებული გოთიკის ინტერიერებში, მაგალითად, რეიმსის ტაძარში (1210 წ. - XIII ს.-ის დასაწყისი), კარკასული კონსტრუქციების პლასტიკური დამუშავება სრულყოფამდე მიყვანილი. იმ დროის ტექტონიკურმა სისტემამ შეიმუშავა ისეთი არქიტექტურული ხერხები, რომლებიც ქვის კარკასის შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

გვიანდელი გოთიკის ინტერიერები ხასიათდება ახალი ტექტონიკური ხარისხით, რაც ძირითადად, არქიტექტურული და კონსტრუქციული ფორმების ორგანული კავშირის დარღვევაში გამოიხატება. კონსტრუქციების ზედმიწევნით ცოდნამ საშუალება მისცა ხუროთმოძღვრებს გამოემუშავებინათ ნატიფი არქიტექტურული სამოსი, რომელიც არ უკავშირდებოდა კონსტრუქციულ საფუძველს. გვიანგოთური სტილის აყვავების ხანაში ტექტონიკა უგულვებელყოფდა კონსტრუქციულ ლოგიკას. ასე, მაგალითად, პრალის კრემლის ვლადისლავის დარბაზში (1486-1502) და განსაკუთრებით შესასვლელ გალერეაში, რომელსაც ხსენებულ დარბაზში მიყვავართ (1500), დაინახავთ გაწყვეტილ ნერვიურებს, რომლებიც რთულ, ლამაზ ხლართს ქმნის და კონსტრუქციული სისტემისგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს.

გოთიკამ შექმნა ნაწარმოებები, რომელთა ინტერიერები ორგანული მთლიანობითა და სტილისტური ერთიანობით გამოირჩევა. ამავე დროს უოველი ქვეყნის ადგილობრივ ტრადიციებს ინტერიერებში ნაციონალური კოლორიტი შეჰქონდა. შესამჩნევი თავისებურებით გამოირჩევა გვიანგოთური ინტერიერები, სადაც კონსტრუქციები სრულყოფამდე მიყვანილი და სადაც შესაძლებელი გახდა თამამი კონსტრუქციული სისტემების გამოყენება. ასეთი კონსტრუქციის მაგალითია უელსის ტაძარი (XIII ს. - XV ს.-ის დასაწყისი), სადაც მძლავრ შეისრულ თაღებზე დაყრდნობილია აყირავებული თაღები. თაღებით შექმნილი ქსოვილი შევსებულია დიდი ზომის ქვის რგოლებით, რომლებიც შთამბეჭდავ სივრცით ეფექტს ახდენს.

ინტერიერის ისტორიაში აღორძინების ხანის როლი მეტად მნიშვნელოვანია, რაც იმითაც აიხსნება, რომ ამ პერიოდის არქიტექტურამ არა მარტო აღადგინა კომპოზიციის ანტიკური ხერხები და ორტერული სისტემა, არამედ, ამასთან ერთად, გადაამუშავა წინამორბედების მთელი ტექნიკა-



ნახ. 12 კათოლიკური ტაძრის ინტერიხის დეკორა1- კედლის პლასტიკა რომანულ ტაძარში; 2-თაღების პლასტიკა გოთიკურ ტაძარში; 3- XII ს. ტაძრის დარბაზის ინტერიხი.



2

3




რი და ესთეტიკური გამოცდილება. არქიტექტურაში, ისევე როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგში, შემუშავდა ესთეტიკური იდეალი, რომელიც შეესაბამებოდა თავისი ეპოქის ჰუმანისტურ მოთხოვნებს. ალორძინების ხანის არქიტექტურის ზოგადი პრინციპები ადრურენესანსულ ნაგებობებში - ბრუნელესკის აღსაზრდელთა სახლში. პერიმეტრზე მოშენებული ღია შიგა ეზოს სქემის გამოყენებით ავტორმა გაიმეორა შუასაუკუნეების საცხოვრებელი სახლისა და სანოტარო კომპლექსის სივრცითი წყობა, მაგრამ ბრუნელესკომ შიგა ეზოს გარშემო თავმოყრილი სათავსების მთელ სისტემას მეტი მკაფიობა და რეგულარული ხასიათი მიანიჭა. შიგა ეზოს თაღოვანი პორტიკები და მთავარი ფასადის ლოჯია, ჰაეროვნებითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა. ამის ერთ-ერთი პირობაა ჭვარულ კამარასთან შედარებით „მსუბუქი“ ჰაეროვანი კამარის გამოყენება.

უკვე ამ ნაგებობაში გამოიხატა ახალი შეხედულებანი ტექნიკურ წყობაზე, რაც, ძირითადად, ორდერული სისტემით მკლავდებოდა. ახალი ორდერული სისტემა გამდიდრდა (ანტიკურთან შედარებით) კედელთან, თალიან კამარასთან ორგანული კავშირით. ადრინდელი ალორძინების ხანის სავსებით ჩამოყალიბებული ტექნიკური სისტემის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ბრუნელესკოს კაპელა პაეის (ფლორენცია) ინტერიერები (1430-იანი წლების დასაწყისი). კაპელას შიგა სივრცე მოიცავს ცენტრალური და დინამიკური სტრუქტურებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. კაპელას შიგა სივრცე დაყოფილია ორი ურთიერთპერპენდიკულარული ლერძის გასწვრივ და გვეგმაში, რომელიც არათანასწორი შტოების შქონე ჭვარს წარმოადგენს და სადაც ლერძების გადაკვეთა გუმბათითაა დაგვირგვინებული.

კედლის ტექნიკური არსის გამოსავლენად ინტერიერში ბრწყინვალეა და გამოყენებული ორდერი. პილასტრების სისტემა კედელს მზიდ და ასაზიდ ნაწილებად ანაწევრებს. შედარებით მუქი ფერის პილასტრები, არქივოლტები, თაღები მკაფიოდ იხატება ნათელ ფერად შეღესილი კედლების ფონზე, რაც ხაზგასმით გამოყოფს გუმბათს, აფრებს და იქმნება სრულიად ნათელი არქიტექტურული წყობა. ამ შემთხვევაში ორდერი ერთგვარად პირობითია. კოლონებმა და პილასტრებმა დაკარგა თავისი კონსტრუქციული მნიშვნელობა და ამით ინტერიერის მასშტაბის გამოვლენის საშუალებად იქცა.

შუასაუკუნეობრივი შენობების ტიპების განახლება, საკულტო ნაგებობების დემოკრატიზაცია მკაფიოდ მკლავდებდა სან ლორენცოს ეკლესიის მაგალითზე, რომელიც ბრუნელესკომ ააშენა. აქ სამწავიანი ბაზილიკის ფორმა სახეს იცვლის და რთულდება ეკლესიის ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით. ეკლესიის ნაგები გამოყოფილია კორინთული ორდერის ზეღამართული კოლონებითა და თაღებით. კაპიტელისა და თაღის საყრდენს შორის ამოყვანილი იმპოსტი ორდერს აძლევს დეკორატიულ ხასიათს. ალორძინების ხანაში ორდერის წყობა გაცილებით "თავისუფალი", შემოქმედებითია კლასიციზტურ ორდერულ კანონთან შედარებით. თავისებურია საერო ნაგებობების ინტერიერებიც, კერძოდ, პალაცო დუკალე ურბინოში.



ნახ. 13 ალორძინების პერიოდის სასახლეთა სტრუქტურა: 1 - პალაცო გონდი ფლორენციაში, შიდა ეზო, 2 - მედიჩთა სასახლე ფლორენციაში, XV ს.; 3 - ვილა, XV ს.; 4 - საულის სასახლე, XV ს.; 5 - ვილა როტონდა ვინჩენცეში, XV ს.; 6 - პალაცო პიცი ფლორენციაში, XV ს.

ამ რთულ საცხოვრებელ კომპლექსში (შშენებლობის დასაწყისი - 1470 წ.) არქიტექტორმა ლუჩანო ლუარანომ გააერთიანა შუასაუკუნეებიდან მომდინარე დაგეგმარების ცხოველხატულობა მთავარი ეზოს რაიონების ბასთან და სათავსების საზღივო, ანფილადურ მწყობრით.


XV საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი თვალსაჩინო არქიტექტორის ჯულიანო და სანგალოს (1445-1516 წწ.) ნაგებობათა შორის აღსანიშნავია გონდის სასახლე ფლორენციაში (1488-1500). სასახლის შიგა ეზო, ცენტრში განლაგებული შადრევნით, შემოფარგლულია მოხდენილ სვეტებზე აღმართული თაღებით აღსანიშნავია დეტალების შესრულების ოსტატობა და პროპორციების დახვეწილობა. ამავე არქიტექტორის ქმნილებაა ცნობილი სანტა მარია დელე კარჩერის ეკლესია პრატოში (1485-1491 წ.).

რენესანსის ოსტატების -ბრამანტეს, რაფაელ სანტის, ალბერტის, ანტონიო და სანგალოს, მიქელანჯელო ბუჩაროტის, ვინიოლას, პალადიოსა და სხვათა მოღვაწეობასა თუ თვორიულ შრომებში გამოვლინდა ალორძინების ხანის არქიტექტორთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კაპელა პაცის (1430-1443 წ.), მედიჩების სასახლის (1444-1452 წ.), სასახლე რუჩელაის, პალაცო სტროცის, გონდის სასახლის, პალაცო კანჩელარიას, სანტა მარია დელა პაჩეს ეკლესიის შიგა ეზოს, ტაძარ ტემპუტოს, ვატიკანის სასახლეთა, წმ. პეტრეს ტაძრის, პალაცო ფარინეზეს, სან მარკოს ბიბლიოთეკის, ლაურენციანას ბიბლიოთეკის, ჯებუს ეკლესიის თუ ვილა როტონდას და მრავალი სხვა ცნობილი ნაგებობის ინტერიერებში გამოვლავნდა ალორძინების ეპოქისადმი დამახასიათებელი შემოქმედებითი დამოკიდებულება კლასიკური არქიტექტურისადმი.


ბაროკოს ინტერიერები გამოირჩევა დინამიკურობით, გამომსახველობითი აქტიურობით, ემოციურობით. ამ ეპოქის ინტერიერები სრულყოფილად პასუხობდა სოციალურ მოთხოვნებს: აღიდგენდა კათოლიკურ ეკლესიას, შარავანდელით ამკობდა საერო და საეკლესიო ძალაუფლებას. ინტერიერში ყველა საშუალება იყო გამოყენებული იმ მიზნით, რომ გაეოცებინათ ადამიანი, დაეთრგუნათ მისი გონება ფუფუნებითა და არქიტექტურული სიმდიდრით.

ბაროკული შენობების ინტერიერები გამოირჩევა სივრცით, წყობის დინამიკურობითა და პლასტიკური გამომსახველობით. ამ ეპოქის შენობების მრუდხაზოვანი გეგმები მეტისმეტად გართულებულია. კედლები გაღუნულია, კარნიზები და ფრონტონები მოულოდნელად გარღვეული, ფანჯრებს ხშირად რთული და მრავალფეროვანი მოჩარჩოება აქვს თავისებურ სახეს ღებულობს ორდერიც. ალორძინების ხანის პილასტრებს ცელის კედლის სიბრტყიდან გამოწეული ნახევარსვეტები და სვეტები.

ორდერი კვლავინდებურად მხატვრული გამომსახველობის საშუალებად რჩება, მაგრამ მკვეთრად ვლინდება მისი ტექტონიკური არსი. ბაროკოს ორდერული სისტემა კონსტრუქციულად იმდენად არ გამოირჩევა, რამდენადაც პლასტიკურობით, მხატვრული გამომსახველობით, გადამეტებული დეკორატიულობით.



1





2

3

ნახ. 14. ალექსანდრეების პერიოდის ტაძართა სტრუქტურა: 1, 2 - სან-ანდრეას ტაძარი მანტუაში (ვეგმა, ჭრილი), XV ს.; 3 - ან სპირიტო ფლორენციაში, XV ს.; 4 - სან-ლორენცოს ტაძრის ინტერიერი, ბრუნელესკო, XV ს.; 5 - შაღონა დე ლა კარჩერი (ვეგმა, ჭრილი), XV ს.; 6 - წმ. პეტრეს ტაძარი რომში (ვეგმა, ჭრილი), მიქელანჯელოს პროექტი, XV ს.; 7 - სან-ანდრეას ტაძრის ინტერიერი, XVI ს.

4







7







ნახ.15. ბაროკოს პერიოდის სასახლეო სტრუქტურა: 1 - ინტერიერის დეტალი; 2 - სახეობა  
 კიბე; 3 - პლაცო ბარბერისი (1, 2 სართული); 4 - პლაცო ბორგეზე.

არქიტექტურამ განსაზღვრა ფერწერისა და ქანდაკების ხასიათი. ბაროკოს მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა გამოირჩევა ფერების სიმდიდრით, პერსპექტიულობით, მხედველობითი ილუზიების შექმნის გამოყენებით. ქანდაკება, რელიეფი, პლასტიკური მხატვრობის ქებაზე ენაცვლება დახატულ დეკორატიულ ელემენტებს და ქმნის მხატვრული სახეების რთულ სამყაროს. ინტერიერებში გამოყენებულია მდიდარი მოსაპირკეთებელი მასალა-ფერადი მარმარილო, მოოქრული ბრინჯაო, სტუკო, ხის ძვირფასი ჯიშები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბაროკო თანდათან კარგავს თავის დინამიკურობას, მისი ფორმები და ტექტონიკა ვზას უთმობს კლასიციზმს. კლასიციზმი ახალი კლასის-ბურჟუაზიის ფილოსოფიური რაციონალიზმის, იდეოლოგიისა და ხელოვნების ამსახველი იყო. კლასიციზმის კონცეფცია არქიტექტურაში ეყრდნობოდა ახალი შინაარსით შევსებულ ანტიკური სისტემების გამოყენებას. მარტივი ანტიკური ფორმებისა და მკაცრი ორდერის ესთეტიკა დაუპირისპირდა წარმავალი არისტოკრატის მსოფლმხედველობის გამოვლინებას არქიტექტურასა და ხელოვნებაში. კლასიციზმი განვითარდა ნაპოლეონის ეპოქის საფრანგეთში, შემდეგ - ინგლისში, გერმანიასა და განვითარება შეიმჩნევა რუსეთში. კლასიციზმის თეორიულ ცენტრად რომი გვევლინება.


ინტერიერის ხასიათი უმეტესად დამოკიდებულია მზიდი კედლის ტექტონიკასა და კამარაზე, რომელიც შედარებით ბრტყელი ხდება. მოცულობებისა და დეტალების კომპოზიციებში სიმეტრია ქარბობს. კედლების სიბრტყეები ნაწვევრდება თხელი პილასტრებითა და კარნიზებით. ფერადოვანი გადაწყვეტა ხასიათდება ნათელი პასტელური ტონებით. თეთრ ფერს, როგორც წესი, იყენებენ ტექტონიკურად აქტიური ელემენტების გამოსავლენად. მთლიანად ინტერიერი მეტად ნათელია, თავშეკავებული ავეჯი მსუბუქი და შედარებით მარტივი, ამასთან დამპროექტებლები იყენებდნენ ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ მოტივებს.

ფრანგული კლასიციზმის დასაწყისს უკავშირებენ შმ. ენევიევის ტაძრის მშენებლობას პარიზში (გვიან მან პანთეონის სახელწოდება მიიღო). ტაძრის გამარტივებული ფორმა ახალი ესთეტიკური მიმდინარეობის აღმოცენებაზე მეტყველებს. პანთეონის ავტორი ჟ. სუფლოცნობილია აგრეთვე, როგორც ავტორი ფუნდამენტური კვლევისა საბერძნეთის ანტიკურ ტაძრებზე. კლასიციზმის იდეებს შემოქმედებითად ავითარებდნენ შ. პერსიე და პ. ფონტენი, რომლებიც ახალი სტილის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლებად გვევლინებიან. მათ მრავალი პარადული ინტერიერები შექმნეს.


გერმანულ კლასიციზმს წარმოადგენს ჟ. შინკელის თვალსაჩინო ნაწარმოებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერლინის დრამატული თეატრის დახვეწილი კლასიციკური ინტერიერები.




1




2




3




4



ნახ. 16. ბაზილიკის პერიოდის ტაძართა სტრუქტურა: 1- თირკენხილივენის ტაძარი (ინტერიერი, ვევეძა), XIII ს.; 2- სან-კარლოს ტაძარი რომში, XVII ს.; 3- წმ. ანესას ტაძარი რომში, XVII ს.; 4- სან-მარკოს ტაძარი მადრიდში (ვევეძა, კრეილი), XVIII ს.



ნახ. 17. კლასიციზმის  
 პერიოდის სასახლეთა  
 სტრუქტურა: 1 - ტაძარი  
 პეტერბურგში (გეგმა,  
 კრილი), XVIII ს.








უკვე XVIII და XIX საუკუნეებში ევროპული კლასიციზმი რუსეთში განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა. რუსეთში კლასიციზმის დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის დროის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ რეფორმებთან. რუსულ კლასიციზმში შესაძლოა აღმოჩნდეს ძველრუსული, ბიზანტიური და ამავე დროს რუსული ბაროკოს ნიშნები. რუსული კლასიციზმისათვის დამახასიათებელია მსხვილი სივრცითი ორდერის გამოყენება. თავისი აგებულებით გამოირჩევა მოსკოვის, განსაკუთრებით პეტერბურგისა და "ცარსკოე სელოს" სასახლეთა ინტერიერები. საყურადღებოა ა. ზახაროვის, ა. ვორონიხინის, ტომა დე ტომონის, ვ. სტასოვის, ა. მონფერანის შემოქმედება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვითარდებოდა წარსულის სხვადასხვა სტილის (რომანულიდან ბაროკოს ჩათვლით) ფორმების გამოყენება არქიტექტურაში. ამგვარად აღმოცენებული ეკლექტიზმი ერთდროულად აკმაყოფილებდა XIX საუკუნის დასასრულის საზოგადოების მოთხოვნებს, რათა საზოგადოებრივ შენობებს მინიჭებოდა მაქსიმალური, ხაზგასმული პარადულობა. ასეთი შენობების ინტერიერებში სულ მეტ ადგილს იკავებდა კლასიციზმის ფორმებისა და მასალების იმიტაცია, მდიდრული ორნამენტაცია. ამ სახის შენობები მხოლოდ იშვიათად აღწევდა მალალ მხატვრულ გამოშახველობას. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა აღსანიშნავია შარლ გარნიეს შემოქმედება (პარიზის ოპერა, კაზინოს შენობა ნეობაროკოს სტილში, თეატრი მონტეკარლოში, კაზინო კონსტანცაში და ა. შ.). ასევე აღსანიშნავია ბ. ოხმანის შემოქმედება (სასახლე პრაღაში, ვარიეტეს დარბაზი კარლინში). ეკლექტიზმის გაბატონება ინტერიერში მქლავნდება მსოფლიო გამოფენების არქიტექტურაშიც XIX საუკუნის ბოლოს (პარიზის სასახლე ტროკადერო - 1878), აგრეთვე, სეიმის შენობა რიგაში (1894, ავტორი პ. ვალო), ტაძარი ბერლინში (1905, ავტორი ირაშდორფი). საინტერესოა ვენის არქიტექტორების ფ. ფელზერისა და გ. ჰელგერის მოღვაწეობა, რომელთაც დააპროექტეს ვენის, პრაღის, ბრნოს, ბრატისლავის, ბერლინის, პამბურგისა და სხვა ქალაქების 50-მდე თეატრალური შენობა. ეკლექტიკა გავრცელდა რუსეთის იმპერიის არქიტექტურაშიც. აღსანიშნავია ისტორიული მუზეუმისა (ვ. შერვუდი) და საკრებულოს (მ. ჩიჩაგოვი) შენობები მოსკოვში. ეკლექტიზმის ტალღამ თბილისსაც მოაღწია. ამის მაგალითია ვეტყელის სასტუმრო და აღმაშენებლის პროსპექტზე (არქიტექტორი ბილფელდი, ახლანდელი საქ. რესპუბლიკის იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტრო), თეატრალური საზოგადოების (ახლანდელი რუსთაველის სახ. თეატრის) შენობების ინტერიერები.

XIX საუკუნის დასასრულს ინტენსიურად იწერებოდა ლითონის კონსტრუქციები, ამ მხრივ საყურადღებოა "ჩიკაგოს სკოლა", რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ლითონის კარკასის გამოყენებას მრავალსართულიან სავაჭრო და ადმინისტრაციულ შენობებში. "ჩიკაგოს სკოლის" აღმოცენებას ხელი შეუწყო 1870 წლის ცნობილმა დიდმა ხანძარმა. სკოლის დამაარსებლად ითვლება იულიამ ლე ბარონ ჯენეი.)



ნახ. 18. პროანტიკური პეტიონ-  
 დის ინტერიერთა დეკორი: 1-კა-  
 პელა პაკი-ბრუნელესკო, XV ს.  
 (ადრეული აღორძინება); 2-ზიბ-  
 ლოთეის კიბე, მიკელანჯელო, XVI  
 ს. (გვიანი აღორძინება); 3-ტაძრის-  
 ზიბლოთეის დარბაზი კიმერანი,  
 XVII ს. (ბაროკო); 4-ბერძნული  
 სტილის დარბაზი პაელოვსკში,  
 XVIII ს. (კლასიციზმი); 5-იტალი-  
 ური სტილის დარბაზი პაელოვსკში,  
 XVIII ს. (კლასიციზმი); 6-აპოლონის  
 დარბაზი პოსტდამში, ბიურინგი,  
 XVIII ს. (როკოკო).







XX საუკუნის არქიტექტურის განვითარება გრძელდება მის სხვადასხვა მიმდინარეობაზე დიდი გავლენა იქონია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ.

ახალი არქიტექტურის საწყისად ითვლება XIX და XX საუკუნეებში აღმოცენებული მოდერნის სტილი. მოდერნი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს უტილიტარული ფორმის მატერულ გამომსახველობას, მისი პრინციპის არსია სასარგებლოს მშენებარებაში გარდასახვა. აქედან მოდის მოდერნის ე.წ. დეკორატიულობა და ტექნიკისადმი სპეციფიკური დამოკიდებულება ტექნიკა განიხილება, როგორც გარემოს შექმნის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. მოდერნის მიღწევებმა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში დიდი გავლენა იქონია შემდგომი თაობების არქიტექტორების აზროვნებაზე. ცალკე ოჯახისათვის განკუთვნილი მოხერხებული, კომფორტაბელური ბინების შექმნა, სადაც გათვალისწინებულია პიგიუნური მოთხოვნები და ახალი ტექნიკური აღჭურვილობა, მოდერნის უთუთო შენაძენი. მოდერნის ეპოქაში ქარხნები და ფაბრიკები, მათი შიგა სივრცეები პირველად აღმოჩნდა არქიტექტორთა დაინტერესების სფეროში. ამასთან, თანამედროვე არქიტექტურაში შესაძინევი კვალი დატოვა მოდერნისტული ხელოვნების ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ძველი არქიტექტურისადმი. მოდერნის ოსტატები და თეორეტიკოსები /ო. ვაგნერი, ა. ვან დე ველდე, ლ. სალოვენი, ფ. შუბტელი და სხვა/ იზიარებენ დემოკრატიულ იდეებს.

თავდაპირველად მოდერნი ჩაისახა საფრანგეთში ბელგიასა და ჰოლანდიაში შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა და რუსეთის იმპერიაში შეაღწია მოდერნი შემოვიდა საქართველოს ქალაქებშიც, კერძოდ, თბილისში (საცხოვრებელი სახლი რუსთაველის გამზირზე, №35). ამ ახალი მიმართულებისათვის დამახასიათებელია ახალი მასალის გამოყენება და ამ მასალისადმი სრულიად ახალი ფორმების მინიჭება. მდიდრული დეკორატიულობა მიღწეულია ნატურალისტური და სტილიზებული მცენარეული მოტივების განმეორებით, რომლებიც ლითონში, მინაში ან კერამიკაში სრულდებოდა. საფრანგეთში ამ მოძრაობის ცენტრი იყო ნანსში მის მთავარ წარმომადგენლებად გვევლინებიან მატარი ე. გალე არქიტექტორები ე. ანდრე და ე. ვალენი, რომლებმაც ნატურალური მცენარეულობის გამოყენებით შექმნილი ინტერიერები დააპროექტეს. მოდერნის სტილის გამოჩენილ წარმომადგენლებად ითვლებიან ბელგიელი ვ. ორტა, ჰოლანდიელი ვ. ბარლაცე. ამ უკანასკნელმა ააშენა ცნობილი ამსტერდამის ბირჯა. ბირჯის ინტერიერში კარგად ჩანს მინის სახურავით დასურული ლითონის კონსტრუქციები. ახალი ტენდენციები არქიტექტურაში ნათლად იკითხება ესპანელი ა. გაუდის შემოქმედებაში.

20-იან წლებში განვითარდა ახალი მოძრაობა, რომლისგანაც ფუნქციონალიზმი წარმოიქმნა. ეს მოძრაობა ეყრდნობოდა ომის შემდგომი მატერული პრინციპების - რომანტიზმის, ექსპრესიონიზმისა და ყოველგვარი აკადემიური სქემების უარყოფას. ამ ტენდენციის მატარებელი ძირითადად ახალგაზრდობა იყო, რომელთა შემოქმედებაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო წარსულის ესთეტიკური ნორმებიდან გადახვევას გამარტივებული ფორმებისაკენ. საფუძვლად ჰქონდა სივრცის რეფორმის ცდა, მისწრაფება ფორმებისა და კონსტრუქციების მიზანშეწონილობისაკენ, არქიტექტურის, როგორც სოციალური მოვლენის, აღქმა. ამ მოძრაობას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად იმპულსი მისცა: ფრანგულმა არქიტექტურამ და პირველ ყოვლისა - ლე კორბიუზეს შემოქმედებამ, ჰოლანდიურმა მოძრაობამ - "სტილი", საბჭოთა კონსტრუქტივიზმმა, გერმანულმა ბ ა უ კ ა უ ზ მ ა.





ნახ.19. მოდერნის სტილის საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ინტერიერი და მათი დეკორი: 1-ქმესისის საცხოვრებელი სახლი პეტერბურგში; 2-საცხოვრებელი სახლი მოსკოვში; 3-საცხოვრებელი სახლი ბარსელონაში, გაუდი; 4-ავეჯთა და კარებების ურთიანი სტილისტიკა; 5-ქელსინკის ნაციონალური მუზეუმი, საარინენი; 6-ბირჯა როტერდამში, ბერლაგე; 7-სადგური მოსკოვში რენბერგი; 8-სამზატერცო სკოლა გლაზგოში, ჩ. მაინტომი; 9-საცხოვრებელი სახლის მისაღები (ორტა); 10-ვიტრაჟის სურათი; 11-კიბის მოაჯირის პლასტიკა რიაბუშინსკის საცხოვრებელ სახლში, შეხტელი.








ფუნქციონალიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული მოღონის რაციონალურ განსტობებს, აქ მთავარი ადგილი ეკავა ბაუჰაუსს, რომელიც ოციან წლებში ევროპის მხატვრული აღზრდის მთავარ ცენტრად იქცა. იგი დაარსდა 1919 წელს ვაიმარში, ორი მხატვრული სკოლის შერწყმის ხარჯზე, რომელთაც მანამდე ა. ვან დე ველდე ხელმძღვანელობდა. ბაუჰაუსის პირველი დირექტორი და მისი პირველი პროგრამების ავტორი იყო ვ. გროპიუსი. შემდგომში ბაუჰაუსის დირექტორებია ჯერ გ. მაური და შემდეგ მის ვან დე როე. ბაუჰაუსი დაიხურა 1933 წელს ნაცისტების ხელისუფლების უზურპაციის შედეგად.


სამამულო არქიტექტურაში კონსტრუქტივიზმი ცვლიდა არა მარტო თვით არქიტექტურულ პრინციპებს, არამედ ქადაგებდა ახალი გარემოს შექმნის აუცილებლობას. კონსტრუქტივიზმი შემოქმედებითი გამომსახველობის სხვადასხვა საშუალებას მოიცავდა. კონსტრუქტივისტული არქიტექტურის თავისებურ მანიფესტად იქცა ლითონის სპირალის პროექტი, რომელსაც III ინტერნაციონალის კომკი ეწოდა (ვ. ტატლინი), ცნობილია ვ. ლისიციკის, ვ. ლეონიდოვის პროექტები, ნ. ლადოვსკის, კ. მელნიკოვის შემოქმედება. ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ლიხაჩოვის სახ. ქარხნის კლუბი მოსკოვში (ძმები ა. ლ. და ვ. ვენინები), თეატრი როსტოვში (ვ. შჩუკო, ვ. გელფრეიხი), გამომცემლობა "იზვესტია" (ვ. ბარხინი), გაზეთ "პრავდის" რედაქცია (პ. კოლოსოვი), შრომისა და კულტურის სასახლე ლენინგრადში და ა. შ.

20-იანი წლების შუა ხანებში ევროპის ავანგარდისტული არქიტექტურის პროგრესული ძალები გაერთიანდნენ ფუნქციონალიზმის საერთო პროგრამის საფუძველზე. ფუნქციონალიზმის ძირითადი თემა იყო ლოზუნგი: "ფორმა დამოკიდებულია ფუნქციაზე". გადაწყვეტის მიზანშეწონილებამ, რომელიც გულისხმობდა არა იმდენად ესთეტიკურ პრობლემას, რამდენადაც ტექნიკურ, სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს, შეცვალა ე. წ. კონსტრუქციული რომანტიზმი და მხატვრული ექსპრესიონიზმი.


ფუნქციონალიზმის პრინციპები საპროგრამო მიმართულებად იქცა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდის ევროპის არქიტექტურაში. ლე კორბიუზიეს მიერ ჩამოყალიბებული და ბაუჰაუსის შემოქმედებაში ფართოდ დანერგილი ფუნქციონალიზმის საფუძვლები 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეისისხლბორცეს ევროპის სხვა ქვეყნების არქიტექტორებმა. ფუნქციონალიზმის პირველი საერთაშორისო დემონსტრირება მოხდა 1927 წელს შტუტგარტში მოწყობილ თანამედროვე საცხოვრებელი სახლების გამოფენაზე, სადაც მონაწილეობდნენ ვ. გროპიუსი, ლე კორბიუზიე, მის ვან დერ როე, ი. აუდი და სხვა ევროპელი არქიტექტორები. ამდენად გამოფენა ფუნქციური შემოქმედების პირველ შთამბეჭდავ დემონსტრაციად იქცა.




ნახ.20. ფუნქციონალიზმი არქიტექტურაში, მისი სტრუქტურა: 1-ფაბრიკა-სამზარეულო, ვილჟსკი, 1928 წ.; 2,3-კლუბი (გევმა, ქრილი) მელნიკოვი (1927 წ.); 4-კლუბი, მშენი ევსინები, 1931 წ.; 5-პროფკავშირების სკოლა, მეიერი, 1928 წ.; 6-სანატორიუმი პაეშიოში, ალტო, 1929 წ.; 7-მისაღები ოთახი ვილა დელა რაიის ლე კორბუზიე, 1924 წ.; 8-პეილონი ბარსელონაში, მის ვან ლე როე, 1930 წ.; 11-ვილა (გევმა, ქრილი), ლე კორბუზიე, 1930 წ.




7



11




8



9



10






20-იანი წლების ბოლოს ფუნქციონალიზმი ევროპის გარდა ფართოდ ვრცელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთ ამერიკასა და იაპონიაში. ამ მიმართულებას ინტერნაციონალურ სტილსაც უწოდებენ. საერთაშორისო სტილის პროგრამა ჩამოყალიბდა თანამედროვე არქიტექტურის საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1928 წ. ჩატარდა შვეიცარიაში. კონგრესმა გამოაქვეყნა თანამედროვე არქიტექტურის ქარტია, სადაც ხაზგასმული იყო არქიტექტურის სოციალური თავისებურებები, ორიენტაცია იყო აღებული თანამედროვე ტექნიკისა და მასალების ათვისებაზე, სტანდარტიზაციაზე, ეკონომიურობაზე.


30-იან წლებში აღმოცენდა თანამედროვე არქიტექტურის ახალი ცენტრები, რომლებიც იზიარებდა ფუნქციონალიზმის პრინციპებს. მის საფუძველზე აიგო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაგებობები, რომლებიც საბოლოოდ განთავისუფლდა აკადემიზმის სქემებისა და დეკორატიულობის ტენდენციების ზეგავლენისაგან.

რკინაბეტონის გამოყენებამ თავისი სპეციფიკური გამომსახველობა მიიღო ჰ. ნერვის შემოქმედებაში, რომელმაც ამ მასალის ფორმაწარმოების შესაძლებლობანი საინტერესოდ გამოიყენა ფლორენციის სტადიონების კიბეებზე და ანგარების ახალი კამაროვანი სისტემებით გადახურვებში. იმის შემდეგ ნერვი არაჩვეულებრივი კონსტრუქციული და მხატვრული გამომგონებლობით ამუშავებს ახალ კამაროვან სისტემებს სპორტული და საგამოფენო დარბაზების გადასახურავად. ტიპური მაგალითია ოლიმპიური სასახლე რომში.

30-იან წლებში სკანდინავიის წამყვან არქიტექტორად გვევლინება ხუროთმოძღვარი ა. აალტო, რომელმაც ააგო ბიბლიოთეკა ვიბორგში, სანატორიუმი პაიმოში, ვილა მაიერი, ფინეთის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე ნიუ-იორკში, სადაც აალტომ შექმნა დინამიკით აღსავსე შიგა სივრცეები; აქ ადრე მიღებული სწორკუთხა სისტემის მაგივრად აალტომ შემოგვთავაზა გეგმის მრუდხაზოვანი ფორმა და შემომთარგვლელი სიბრტყეების რთული სტრუქტურა. ამ პრინციპზეა დამყარებული ომის შემდგომი მისი ნაგებობებიც. მაგალითად, კულტურის ცენტრი ჰელსინკში და ტაძარი ქალაქ იმატრას სიახლოვეს (50-იანი წლები). ამავე ხასიათის იყო სხვა ფინელი არქიტექტორების შემოქმედებაც (ა. ვრვი, კ. სირენი, ა. ბლომსტედი, ე. ხუტუნენი). ფინური არქიტექტურა 30-იანი წლებიდან დღემდე ადგილობრივი ტრადიციებისა და ფუნქციონალიზმის ჰარმონიული შერწყმაა, რაც ვლინდება როგორც ფასადებზე, ასევე შიგა სივრცეების ორგანიზაციაში, ინტერიერების მოცულობით, ტექტონიკურ წყობაში. აქ, ისევე როგორც შვეიცარიაში, ინტერიერების არქიტექტურა, ავეჯისა და სხვადასხვა არქიტექტურული დეტალის შექმნა მაღალ დონეს აღწევს; ისინი ქმნიდნენ თავისებურ "ჩრდილოეთის" სტილს, რომელიც ომის შემდგომ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ამ ნაგებობათა არქიტექტურა გამოირჩევა მატერიალური, ტექნიკური და მხატვრული კულტურის ერთიანობით, არქიტექტურისა და გარემომცველი ბუნების ურთიერთდამოკიდებულების სრულყოფილი გადაწყვეტით.



1




2




ნახ.21. მოდელურ  
 სისტემებზე აგებული  
 სტრუქტურები: 1-მუ-  
 ზეუბნ სირაკუზაში  
 (ვევმა, კრილი); 2-სა-  
 უნივერსიტეტო კორპუსი,  
 ბრუსელსში; 3-სა-  
 ლის პროექტი (ვევმა,  
 კრილი), ბეგრინი; 4-სა-  
 ლის პროექტი, ჩესტერის  
 რაიონი; 5-კონფერენსი-  
 კლინიკა, გოლდმბერგი.




3




4







5









ნახ.22. სივრცითი  
სტრუქტურების დი-  
ფერენციაცია და ინ-  
ტეგრაცია: 1-ბიბლიო-  
ოთეკა (გეგმა, კრი-  
ლი), კანი; 2-არქი-  
ტექტურის ფაკულტე-  
ტი (გეგმა, კრილი),  
რუდოლფი; 3-ადმი-  
ნისტრაციული შენო-  
ბა, რუდოლფი; 4-რა-  
დიოკომუნიკაციების  
შენობა კოფეში, ტან-  
გე.







ნახ.23. გეომეტრიულ კომპონენტებზე შექმნილი სტრუქტურა 1-საქონლარბელი სალი, პორტოგალი 2-კულისა, პორტოგალი 3-ქმედების სკოლა, ახილად 4-სამეცხო ბაღი (საერთო ბედი, ვედა, ინტეგრირი), ტანე.





30-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოცენდა არქიტექტურის განვითარების მეორე ცენტრი. მძლავრმა რაციონალიზმმა ტენდენციებმა გადაწონა მანამდე აქ არსებული ეკლექტიკური და პარიზის ხელოვნების ცენტრის გავლენა. ევროპულ არქიტექტურასთან ყველაზე ახლო დგას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შენობა ნიუ-იორკში (1939, ავტორები პ. გულვინი და ე. სტაუნი). რაციონალიზმის უფრო მეტად მკაფიო გამოვლენად უნდა ჩაითვალოს ა. ვანისა და რ. ფულერის შემოქმედება, რომლებიც ფართოდ იყენებდნენ ლითონის ლეროვან სისტემებს, რაც მკვეთრად ცვლიდა ინტერიერების მასშტაბსა და არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს.

ამერიკის არქიტექტურაში პარალელურად ვითარდებოდა მეორე შტოც, რომელიც დაკავშირებული იყო ფ. რაიტის პრაქტიკულ, თეორიულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. რაიტის შემოქმედებამ თავის კულმინაციას 30-იან წლებში მიაღწია. რაიტი არ აყვავებდა ტექნიციზმის ფსიქოზს და დაბეჯითებით ილტვოდა მხატვრული სახის სრულყოფისაკენ, სადაც ზოგჯერ რომანტიკული მოტივებიც გამოისკვივოდა.


უკვე 20-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადიან გერმანიიდან ვ. მენდელსონი, ავსტრიიდან რ. ნეიტრა, რომელიც ცნობილი იყო რაიტის მიერ ორგანულ არქიტექტურასთან ახლო მდგარი ქალაქგარე სახლებით, ფინეთიდან - ვ. საარინენი, რომელმაც 50-იან წლებში უფრადღება მიიქცია შემოქმედებითი გამომსახველობის მრავალფეროვნებით (მიჩიგანში გენერალ მოტორის ტექნიკური ცენტრი, ნიუ-იორკის აეროპორტის შენობის გარსი). 30-იან წლებში მათ შეუერთდნენ მის ვან დე როე, ვ. გროპიუსი, მოგოლ-ნადი, ი. ოლბემისი, რომლებიც არქიტექტურის მიზანშეწონილობის აუცილებლობას ოსტატურად უთავსებდნენ მხატვრულ-ესთეტიკურ ამოცანებს. ამავე დროს აქ გამოჩნდა ესპანელი ემიგრანტი ლ. სემიტი. ამ არქიტექტორებმა გადაამწყვეტი ზეგავლენა მოახდინეს არა მხოლოდ ამერიკულ არქიტექტურაზე, არამედ იმ უმაღლესი სასწავლებლების კონცეპტუალურ ორიენტაციაზე, რომელთაც ისინი მეთაურობდნენ.

ევროპის ფუნქციურმა სკოლამ ასეთივე ზეგავლენა იქონია სამხრეთ ამერიკის ქვეყნების არქიტექტურაზეც.

30-იანი წლების მექსიკური არქიტექტურაც ფუნქციონალიზმის იდეების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. მათ თავისებურ ინტერპრეტაციას ვხვდებით ხ. პორმანის, ხ. ველასკოსა და სხვა მექსიკელების მიერ შექმნილ საზოგადოებრივი და სპორტული ნაგებობების არქიტექტურაში, თანამედროვე მექსიკური არქიტექტურა მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული დ. რივერასა და დ. სიკეიროსის კედლის მხატვრობასთან. თანამედროვე მექსიკურ არქიტექტურაში ახალი გზები დასახა, აგრეთვე ესპანელმა ხუროთმოძღვარმა ფ. კანდელამ, რომელიც ლაბორატორიების, ტაძრებისა და რესტორნების სივრცეების შესაქმნელად იყენებს დინამიკური ფორმის თხელტანიან გარსებს.



ნახ.24. თავისუფალი გეგმარების სტრუქტურა 1-ფილარმონია (დარბაზის ინტერიერი, გვემა, კრილი), შარენი; 2-სკოლა, შარენი; 3-სასახლე აალტო; 4-საფრანგეთის საცხოვრებელი სახლი; 6-საცხოვრებელი სახლი, კასტილიონი; 7-სტუდენტური კლუბი "დიპოლი", პიეტოლი; 8-მუზეუმი, ბოლდიანი.





ევროპულმა უცხოელმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იპო-  
ნიის არქიტექტურაზეც. ეს გავლენა კლინდება იმ იპონელურ არქიტექტო-  
რების შემოქმედებაში, რომლებიც 30-იან წლებში ევროპაში განსაკუთრებ-  
ებით კი ლე კორბიუზისთან მუშაობდნენ. ასევე ფ. რაიტის, ა. რაიმონდისა  
და სხვა არქიტექტორების ნაწარმოებებში, რომლებიც იაპონიას აპროექტ-  
ებდნენ. ლე კორბიუზიეს ყოფილი თანამშრომლების ტ. მიერანას, მ. ია-  
მადის, ი. საკავურას ნამუშევრები ხელს უწყობდნენ ადგილობრივი რომან-  
ტიზმის დაძლევას, თავიდან იაპონური არქიტექტურის ხასიათი ახლო იყო  
კონსტრუქტივიზმის ევროპულ ვარიანტთან (არქიტექტორი ზ. იამაგუ-  
ტი), მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპისაგან განსხვავებით,  
ძველი ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ.

ინტერიერის განვითარების მოკლე ექსკურსიც კი გვარწმუნებს, რომ  
არქიტექტურის ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ინტერიერის ხასიათის  
შორის რთული ურთიერთკავშირი არსებობს. ეს გავლენა უშუალო რო-  
ლია ასე, მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ რენესანსი და ბაროკო  
ერთიანი კონსტრუქციული პრინციპებით სარგებლობს, მათი ინტერიერე-  
ბის სტილისტური მახასიათებლები პრინციპულად განსხვავდება.

ახალი სამშენებლო მასალების, ახალი კონსტრუქციული ხერხების აქ-  
ტიური ფლობა არქიტექტორებს საშუალებას აძლევს უკეთ დააკმაყოფი-  
ლონ საზოგადოების მოთხოვნები, წარმატებით სძლიონ იდეოლოგიურ და  
მხატვრულ ამოცანებს. ტექნიკური მიღწევების ათვისების პროცესი, ახალ  
ტექნიკურ საფუძველზე არქიტექტურული ფორმების წარმოქმნის პრო-  
ცესი ყოველთვის იოლად და უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს. ამას  
მოწმობს თუნდაც მშენებლობაში რკინაბეტონისა და ნაგლინი ფოლადის  
გამოყენება. როდესაც არქიტექტორებმა მიმართეს ამ მასალებს, დაფარეს  
ის საშუალებები, რომლებიც ინტერიერების სივრცითი ორგანიზაციის  
თვალსაზრისითაა ჩამალული ამ კონსტრუქციებში. რკინაბეტონისა და  
ლითონის კონსტრუქციებმა საშუალება მოგვცა პრაქტიკულად განუსა-  
ზღვრელად გაგვეფართოებინა ხისტად ჩამაგრებული კედლების ჩარჩოები  
და შეგვეცვალა მძიმე გადახურვები, რომლებიც ადრე შიგა სივრცეს  
მკირე ლიობებით ურთიერთდაკავშირებულ ჩაკეტილ სისტემად აქცე-  
ვდნენ. გაჩნდა იმის საშუალება, რომ ტექნიკური მიღწევები გამოგვეყენე-  
ბინა კონსტრუქციების შიგნით მოქცეული სივრცის ბუნების დისკომფორ-  
ტული ზეგავლენისაგან (სიციხისგან, ყინვისგან, ზედმეტი სიმშრალისგან,  
მტკრისა და ტენიანობისგან) გასათავისუფლებლად.

## II. შიგა სივრცეების ორგანიზაციის თავისებურებანი



### 1. უზენაესი მიზანშეწონილობა



ინტერიერის, როგორც დასრულებული არქიტექტურული კომპოზიციის, ფორმირებისა და შიგა სივრცის ორგანიზაციის ამოცანებს ვერ განვაცალკევებთ იმ მოთხოვნებისაგან, რომელთა გამოც ეს სივრცე წარმოიქმნება. მშენებლობაზე გაწეული დიდძალი სახსრებისა და ადამიანთა შრომის ხარჯი ყოველთვის განსაზღვრულ მიზნებს ემსახურება.

საცხოვრებელი, სადაც ოჯახი ცხოვრობს, სკოლა, სადაც ახალგაზრდა თაობა ფორმირდება, თეატრი და კლუბი, სადაც შერწყმულია დასვენება და კულტურა, დასასრულ საწარმოო ნაგებობები, სადაც ადამიანები შრომობენ, მოითხოვს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული სივრცის შექმნას. მისი დაპროექტება, პირველ ყოვლისა, შეესაბამება შენობებში მიმდინარე პროცესებს, რაც, თავის მხრივ, მათი დანიშნულებიდან გამომდინარეობს.

შიგა სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ პროცესის მიმდინარეობას და განსაზღვრულ კომფორტს, დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური დონის განვითარებაზე. ასე, მაგალითად, საცხოვრებლის აღჭურვა, საცხოვრებელი ფართობის ნორმები, რომლებიც პრინციპულ გავლენას ახდენს ბინაზე და ცხოვრების პირობებსა და ხასიათზე, დამოკიდებულია მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებზე.

პრაქტიკული მოთხოვნები, რომლებიც აყალიბებს შიგა სივრცეს, ასევე განუყრელადაა დაკავშირებული ობიექტის სოციალურ შინაარსთან. პრინციპულად განსხვავდება ანტიკური საცხოვრებელი სახლი და შუა საუკუნეების ციხე-დარბაზი, არსებითად კლასობრივი ხასიათის საცხოვრებელი დასავლეთში და მასობრივი საცხოვრებელი ჩვენთან, რომელიც მულდმივად უმჯობესდება ხალხის მატერიალური შესაძლებლობის ზრდასთან ერთად. ამგვარად, საცხოვრებლისადმი წაყენებული მოთხოვნები ასახავს იმათ სოციალურ არსსა და ცხოვრების წესს, ვინც ამ საცხოვრებელში დასახლდება.


პრაქტიკულ დანიშნულებასთან მჭიდრო კავშირშია ესთეტიკური და სულიერი მოთხოვნები, რომლებიც შიგა სივრცეს, ინტერიერს წაუყენება. არქიტექტურაში განუყოფელია სილამაზისა და კეთილმოწყობის ცნებები. ამიტომ შიგა სივრცეების შექმნას წინ უსწრებს დასაპროექტებელი ობიექტების სერიოზული შესწავლა, ყველა იმ მოთხოვნის გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია შენობაში მიმდინარე პროცესებთან და სხვ. მხოლოდ ამ საკითხების კომპლექსური განხილვით შესაძლებელია მშენებლობისას ოპტიმალური სივრცითი სტრუქტურის დადგენა.




1




2






3






4



5



6



ნახ.25. ერთმოდებლობიანი სტრუქტურები: 1-კონკრეტული ბოლი ბერლინში (გევმა, კრილი); 2-სპორტული არენა იენის უნივერსიტეტში (გევმა, კრილი), საარხიზი; 3-იოჯის სპორტკომპლექსის შიდა არენა (გევმა, კრილი); 4-ეკლესია (გევმა, კრილი, ინტერიერი), ალტო; 5-ეკლესია (გევმა, კრილი, ინტერიერი), პიეტრი; 6-ეკლესია მზის გზაზე (გევმა, კრილი, ინტერიერი), მიკელუჩი.





თანამედროვე არქიტექტურა იმდენად გართულებულია, მისადმი წაყენებული მოთხოვნები იმდენად დიფერენცირებულია, რომ აღმოცენდება ახალი მეცნიერება ტიპოლოგია, რომელიც ზედმიწევნით სწავლობს ცალკეული შენობების არსს იმ მიზნით, რომ შეიქმნას ოპტიმალური პირობები კონკრეტული სოციალური პროცესების ჩასატარებლად. სათავსების ურთიერთკავშირის ხასიათი, დანადგარების სახე და მათი განლაგება, საჭირო სივრცის ზომები და ფორმა, განათება, აკუსტიკა - ყველა ეს მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნა წარმოიქმნება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების, ცალკეული სათავსების ყოველი ტიპის შექმნისას.




იმის მაგალითად, თუ როგორ განსაზღვრავს ფუნქცია ინტერიერის ხასიათს, შეიძლება აუდიტორიის ინტერიერი მოვიყვანოთ. აუდიტორიას აქვს ლოკალური დანიშნულება - ლექციების კითხვა მასალის დემონსტრირებით დაფასა და ეკრანზე. აუდიტორიის ტევადობა მერყეობს 50 - 80 მსმენელიდან 400 - მდე და მეტიც. ლექტორის, დაფის, ეკრანის ხედვითი აღქმის, კომფორტული განათების, მკაფიო განმარტების პირობების უზრუნველყოფა სხვადასხვა ხერხით ხდება. ფუნქციური ამოცანის მაღალ მხატვრულ დონეზე გადაწყვეტა ხდება ამფითეატრის მოწყობით. აუდიტორიის განსაზღვრული ფორმით კრილსა და გვეგმაში, სასინათლო ღიობების ფორმითა და ზომებით; მათი დაცვით შუის პირდაპირი სხივებისაგან, ზედა განათების მოწყობით, აკუსტიკური მოწყობილობების მოწყობით, ფორმის, ფერის ლაკონიურობით. აუდიტორიის ინტერიერი არ შეიძლება უფერული, უსახო, ინდიფერენტული იყოს. მას ინდივიდუალური მახასიათებლები უნდა გააჩნდეს, მაგრამ ამასთან ერთად, ინტერიერი ხელს არ უნდა უშლიდეს ყურადღების გამახვილებას მეცადინეობაზე იგი მეტად წყნარი, ლაკონიური უნდა იყოს, არაფერი ზედმეტი, ყველა ელემენტი-ფუნქციური. ამ მხრივ საინტერესოა ზელინოვგრადის ელექტრონიკის ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზი და ცალკეული აუდიტორიები. ინტერიერის მკაცრი ფუნქციური გადაწყვეტის მაგალითია, აგრეთვე ვიბორგის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

თანამედროვე მეცნიერული მიღწევების საფუძველზე დადგენილი სათავსის ფუნქციური მიზანშეწონილობა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა ინტერიერისადმი წაყენებულ მოთხოვნათა შორის. ამ მოთხოვნათა სირთულე და სიმრავლე მოითხოვს თანამიმდევრულად ისეთ გადასაწყვეტ ამოცანებს, როგორიცაა:

**საჭირო სივცისა და პარამეტრების დადგენა.** ამ მიზნით საჭიროა შენობაში მიმდინარე პროცესების სტადიების ყოველმხრივი ანალიზი, დანადგარების შერჩევა და მათი განაწილება;

**პროცესის ჩატარებისათვის საჭირო ოპტიმალური პირობების შექმნა.** ამისათვის დასაფიქსირებელია გათბობის რეჟიმი, განათება, აკუსტიკური კომფორტი, ფსიქოლოგიური განწყობის უზრუნველყოფის საშუალებები.

**ცალკეული სათავსებისა და მათი ჯგუფის ფუნქციური ურთიერთკავშირის სქემის დადგენა.** ამისათვის საჭიროა ყველა კავშირისა და მოძრაობის გრაფიკების დადგენა, ხალხის ნაკადების შესწავლა და სათანადო კომუნიკაციების დადგენა.



ნახ. 26. თანამედროვე არქიტექტურის შენობათა ინტერიერის დეკორი: 1 - ბეტონის კონსტრუქციითა პლასტიკი, ალუმინოზი, ალტო; 2, 3 - ღია კონსტრუქციებში შუღები-ლი შეტალი; 4 - აკრილისა და ბეტონის ფერი და ფაქტურა, უნივერსიტეტის ვესტიბიული, ალტო; 5 - ფორმებისა და მასალების აბსტრაქტი კონტრასტი, საზოგადოებრივი ცენტრის ვესტიბიული, ხელინი; 6 - ბეტონის რელიეფური ფაქტურა, კურორტის საზოგადოებრივი ცენტრის ვესტიბიული, ტანგა.



სივრცის იზოლაცია მხოლოდ საჭიროების ფარგლებში, ერთიანი, უწყვეტი სივრცის შექმნა, რომელიც თავისუფლად გადადის ერთგვარად სივრცეში როგორც პორიზობტალურად ერთი სარტყლის დონეზე ასევე ვერტიკალურად, თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებათაგანია, აგრეთვე შიდა და გარე სივრცეთა კავშირი.

მაგალითად, სასტუმრო, „ივერია“ და ტელეგრაფის შენობა თბილისში, რომლებიც ხალხის დიდ რაოდენობას იტევს, შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ხალხის საზოგადოებრივი ნაგებობის საერთო მახასიათებლებად.

თანამედროვე არქიტექტურის ქალაქმშენებლური საწყისი, ქალაქის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, გააზრება ახალი კომპოზიციური პრინციპების განვითარების საფუძველია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების განლაგების მეცნიერული დასაბუთება შიგა და გარე სივრცის გაერთიანების საშუალებას იძლევა.

ინტერიერის შექმნის არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური წინაპირობაა მშენებლობის ახალი, მოწინავე ხერხები. მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, ცალკეული ელემენტების და მთლიანად ტიპიზაცია ისეთი შენობებისა, როგორცია სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, საბავშვო ბაღები თავის ასახვას პოულობს ინტერიერებშიც. სივრცითი და კონსტრუქციური ელემენტების, გადახურვების, საკედლე პანელების, ვიტრაჟების განმეორებადობა, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერის ახალ სახეობებს წარმოქმნის.

ინტერიერის სოციალური ასპექტები ეკონომიკის პრობლემასაც გულისხმობს. მათი ფართო განხილვა ხასიათდება საზოგადოების შესაძლებლობებითა და მოთხოვნილებებით, როდესაც ყოველივე მის საკეთილდღეოდ არის მიმართული და, როდესაც უმთავრესია ადამიანზე ზრუნვა. ეგიპტური ტაძარი ჩაკეტილი ეზოებით წარმოქმნილ ღერძულ სიმეტრიულ კომპოზიციას წარმოადგენდა. ამასთან ახალ ელემენტებს (იგივე შიგა ეზოებისა, თუ დარბაზების) საუკუნეების მანძილზე მიაშენებდნენ. ადრე წარმოქმნილი ახალი დარბაზის აშენება წინამორბედს საკურთხევლად აქცევდა და ამით იგი ხალხისთვის შეუღწეველი ხდებოდა. ახლად აღმართული მძლავრი პილონები სიმბოლურად მიანიშნებდა დარბაზის ან ეზოს განცალკევებას. სივრცის თანამიმდევრული ჩაკეტვა, ღერძული კომპოზიციის სიმკაცრე პასუხობდა საზოგადოების იერარქიულ მოთხოვნებს.

ხელოვნების აუვაკების ხანის კლასიკურ პერიოდში ბერძნებმა თავის ტაძრებს სვეტებით შემოუარეს და პერიპტეროსი შექმნეს, რაც ბუნებისკენ გახსნილ პრინციპულად ახალ დემოკრატიულ სივრცეს ქმნიდა. ტაძრებისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების პორტიკების ჩრდილში ეწყობოდა სხვადასხვა სახის შეხვედრები, სავაჭრო გარიგება, სპორტული და რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულება. ბერძნული სახელმწიფოს დემოკრატიულობა არ მოითხოვდა სივრცის იზოლაციას საზოგადოებრივ შენობებში. ბერძნული არქიტექტურის ცხოველხატულობა, თავისუფლება, გახსნილი სივრცეები პასუხობდა პროგრესულ, დემოკრატიულ სიონიკებს. ბერძნული პროპილენი ხალხის ნაკადთან დაკავშირებული სიღრმეში განვითარებული სივრცის მაგალითია. ამასთან, მას არა რეველუა-

რული, სიმეტრიული, არამედ თავისუფალი, თუმცა გაწონასწორებულ ხასიათი ჰქონდა.

აღორძინების ხანის იტალიელმა ოსტატებმა ეს სისტემა კარდინალურად შეცვალეს თავისი ამოცანების შესაბამისად. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში ჰუმანიზმმა, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების, ისე, განმომხატველმა, თავისი ადგილი არქიტექტურაშიაც დაიმკვიდრა, სადაც ხაზგასმული იყო სივრცის სათანადო ორგანიზაციის აუცილებლობა.

სტატიკური სივრცის შექმნის კონცეფცია იყო ძირითადი როგორც საზოგადოებრივი, ასევე რელიგიური ნიშნების ცენტრალური ბირთვის შექმნისას.

კლასიციზმის არქიტექტურისათვის დამახასიათებელია შიგა სივრცის წყობის რეგულარობა. ფორმალურ თუ კონცენტრულად განვითარებულ კომპოზიციებში სწორედ ეს ფორმალური მახასიათებლები იყო ხაზგასმული.

არქიტექტურულ-მხატვრული კონცეფციების გამომსახველი სივრცის წყობის პრინციპები ვითარდებოდა ისტორიის მთელ მანძილზე. ზოგჯერ ისინი აღმოცენდებოდა ერთ საზოგადოებრივ წყობაში და საბოლოოდ შემდგომში ჩამოყალიბდებოდა ზოლზე.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულმა ახალმა სოციალურმა ურთიერთობებმა, მეცნიერების, ტექნიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ, მჭიდრო საერთაშორისო კავშირების დამყარებამ შენობების ახალი ტიპების აღმოცენება და განსაკუთრებულად ორგანიზებული გარემოს შექმნა მოითხოვა. ასე, მაგალითად, მცირე სავაჭრო რიგების ნაცვლად აღმოცენდა მსხვილი სავაჭრო ფირმები და დიდი სივრცის მქონე მაღაზიები. გაჩნდა საერთაშორისო გამოფენების დარბაზები, რკინიგზის სადგურები და ა. შ.

გაჩნდა ახალი კონსტრუქციების - რკინაბეტონის გარსებისა და სივრცითი კონსტრუქციების შექმნის აუცილებლობა. ტექნიკურმა მიღწევებმა განაპირობა საყრდენებისაგან განთავისუფლებული შიგა სივრცეების შექმნა, რამაც დიდი დარბაზების ინტერიერების ორგანიზაციის ახალი თვისებები ჩამოაყალიბა. გარსებით გადახურული ვაგზლების თუ ბაზრების დარბაზები ჭერამდე აყვანილი კედლების ნაცვლად იყოფა დაბალი ტიხრებით. საგამოფენო დარბაზებს აღარ ყოფდნენ მცირე ელემენტებად. ცალკეულ საექსპოზიციო ადგილებს სტენდებით აცალკევებდნენ.

თავისუფალი გეგმა და ერთიანი სივრცე - ასე განსაზღვრავდნენ XX საუკუნის მოწინავე არქიტექტორები შიგა სივრცის ორგანიზაციის ახალ პრინციპებს და ცდილობდნენ ამ პრინციპებისათვის ხორცი შეესხათ თავის პროექტებში. გარდა ამისა, შენობების ახალი სახეობების აღმოცენებამ, XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურის სირთულემ და მრავალფეროვნებამ განაპირობა ფუნქციური მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებული შიგა სივრცეების წარმოქმნა.

თანამედროვე საზოგადოებრივი შენობების შიგა სივრცის წყობის პრინციპების თავისებურებები არქიტექტურის ისტორიული განვითარებისა და მისი პროგრესული თვისებების ახალი საზოგადოების ცხოვრების პირობებში აღქმის შედეგია.

### III. სივრცეში სათავსების სისტემების განვითარების შესაძლებელი ვარიანტების დადგენა ფუნქციური მიზანშეწონილობისა და ექსპლუატაციური მოთხოვნების გათვალისწინებით

აღსაწინააღმდეგებია, რომ სათავსების დადგენილი პარამეტრები და მათ შორის კაპიტალიზაცია, რეზერვები, რაც კომპოზიციური ხერხების გამოუმუშავების საფუძველია, საბუნებრივად იძლევა ერთი და იგივე პროცესი განხორციელდეს სხვადასხვა სივრცით კომპოზიციაში იმგვარად, რომ არ დაირღვეს არჩეული ტექნოლოგიურ-ფუნქციური სქემა. ერთი და იმავე შენობისათვის განსხვავებული მოცულობით-სივრცითი სტრუქტურების შექმნის შესაძლებლობაში მდგომარეობს შემოქმედებითი პროცესის თავისებურება.

#### 1. ინტერიერის სოციალური საფუძვლები

ყოველ ისტორიულ პერიოდში არსებობდა სივრცის შექმნის განსაკუთრებული წესი და არქიტექტურული კომპოზიციის საკუთარი პრინციპი იქმნებოდა. თავის მხრივ, საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი სივრცე ხელს უწყობდა ცხოვრებისეული, სოციალური პროცესების განვითარებას განსაზღვრული მიმართულებით.

სოციალური შინაარსი ყოველთვის განმსაზღვრელი იყო საზოგადოებრივი შენობების მახასიათებელი თვისებების ჩამოყალიბებაში და კომპოზიციის მხატვრული პრინციპების საფუძველს წარმოადგენდა.

საყურადღებოა სივრცის შექმნის პრინციპების განვითარება წარსულის პროგრესული ნიშნების გამოსავლენად ყოველ ეტაპზე ახალ სოციალურ საფუძველზე.

ინტერიერი ადამიანს ემსახურება და ამაში მდგომარეობს მისი ძირითადი სოციალური ფუნქცია. თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ისტორია საკმარის მასალას იძლევა ინტერიერის სოციალური არსის შეცვლის თაობაზე, ინტერიერის კავშირზე საზოგადოების განვითარებასთან.

#### 2. ბუნება და ინტერიერი

ბუნებრივი და კლიმატური პირობები, ლანდშაფტი გავლენას ახდენს შიგა სივრცის ზოგიერთი მახასიათებლის ფორმირებაზე. ეს დებულება განსაკუთრებით ვლინდება მკვეთრად კონტრასტული კლიმატის დროს, როდესაც გარემო ლანდშაფტი მეტად ელვარე და ცხოველხატულია. მშენებლობის ადგილის პირობები განიხილება როგორც ინტერიერის ფორმირების ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, უკიდურეს ჩრდილოეთსა და სამხრეთ რაიონებში, სადაც ხელოვნური მიკროკლიმატის შექმნა აუცილებელია, კლიმატი უდიდეს გავლენას ახდენს ინტერიერის ფორმირებაზე.

უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც ქარის სიჩქარეა 5 მ/წმ, ტემპერატურა კი - 60°C, საჭიროა საცხოვრებელი კომპლექსების მაქსიმალური კომპაქტურობა, საზოგადოებრივი შენობების მიახლოება მათთან, ზოგჯერ მათთან ერთ მოცულობაში განლაგება ან, უკიდურეს შემთხვევაში, განლაგებით დაკავშირება, რათა ადამიანი ქუჩაში არ გავიდეს 50-60°C ყინვის დროს. ერთ მოცულობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულების (კინოთეატრის, კლუბის, მალახიის, სასადილოს, საბავშვო ბაღის, სკოლის) გაერთიანების მიზანშეწონილობა განსაზღვრავს ინტეგრირებული სივრცის არსებობას. ასე წარმოიქმნება თავისებური ინტერიერი, რომლის შექმნა რთული კომპოზიციური ამოცანაა, ამიტომ საჭირო ხდება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გაერთიანებული სივრცის შექმნა.

ასეთივე თავისებურებებით ხასიათდება მშენებლობა სამხრეთ რეგიონებში, რაც განპირობებულია პირდაპირი მზის სხივებისა და რადიაციისაგან დაცვის, სათავსების განიავეების აუცილებლობით. სამხრეთ რაიონებში სივრცის ორგანიზაციის ერთ-ერთ ხერხად მიჩნეულია სათავსების თავმოყრა შიგა ეზოს გარშემო, რაც ხელს უწყობს როგორც მზისაგან დაცვას, ისე განიავებას. თანამედროვე არქიტექტორები ამ პრობლემების მოგვარების ახალ თავისებურ საშუალებას ეძებენ. ასე, მაგალითად, შესაძლებელი გახდა შიგა სივრცის სრული იზოლაცია მზის პირდაპირი სხივებისაგან, განიავეებისათვის საგანგებო მოწყობილობების გამოყენება და ამრეკლავი საშუალებებით განათება. არსებობს კარგად დამუშავებული ქალუხები და საგანგებო მზის საწინააღმდეგო ცხაურები. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ინტერიერის ჩამოყალიბებაზე.

ბუნების პარმონია ადამიანისათვის ყოველთვის წარმოადგენდა სილამაზის იდეალს. ადამიანის დაახლოება ბუნებასთან, მისი მრავალმხრივი კავშირები გარემომცველ სამყაროსთან ყველაზე მეტად ხელსაყრელ ცხოვრებისეულ პირობებს ქმნის. ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, გარკვეულად პირობითია, რადგან ხელუხლებელი ბუნება ადამიანის ცხოვრებისათვის იდეალურ გარემოდ ვერ ჩაითვლება.

ბუნების ელემენტების გამოყენება ინტერიერებში - მისი გამომსახველობის მეტად ეფექტური საშუალებაა. მდინარის კლაკნილი კალაპოტის, ლურჯი ცის, მთების აღქმა, თანჯარასთან აყვავებული ხე, სათავსის მიგნით შემოსული მწვანე გაზონი - ამგვარი სიახლოვე ბუნებასთან ადამიანში გარკვეულ დადებით ემოციებს იწვევს. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის ქადრაკის სასახლე, აგრარული უნივერსიტეტი და ა. შ.

ბუნებაზე ან ქალაქურ პეიზაჟზე გახსნილი ხედი ინტერიერის ორგანულ ნაწილად იქცევა. ამა თუ იმ სათავსის ორიენტაცია მშენებნიერი ლანდშაფტისაკენ ქმნის არქიტექტურის იმ განუმეორებელ ხარისხს, რომლის მიღწევა სხვა ნებისმიერი ხერხით, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა.

ცხადია, რომ ბუნებასთან ინტერიერის კავშირის ხასიათი უნდა შეესაბამებოდეს მის დანიშნულებას. მაგალითად, საჭიროა სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის, ტურისტული ბაზის სათავსების უმრავლესობა გარემო ლანდშაფტზე იყოს გახსნილი. მაგრამ ეს კავშირებიც სხვადასხვა უნდა იყოს. ისეთი საზოგადოებრივი სათავსები, როგორცაა პოლები, ვესტიბიულები, სასადილოები მაქსიმალურად უნდა გაიხსნას ბუნებაზე, ამავე შენობების საძილე ოთახებში კი მაქსიმალური სიმყუდროვე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ისინი ჩაკეტილი უნდა იყოს, მაგრამ სურვილის

დროს უნდა იხსნებოდეს ბუნებაში. ისეთი სათავსი კი, როგორც კინოდარბაზია, სრულიად არ მოითხოვს ბუნებასთან ურთიერთობას.

ბუნებასთან შიგა სივრცის დაკავშირების რამდენიმე ხერხი არსებობს. ერთ შემთხვევაში შედარებით ხელუხლებელი ბუნების ელემენტები ძირა ეზოების ან კურდღონერების სახით "შემოდის" შენობის სივრცეში და ინტერიერის ნაწილად იქცევა, ხოლო მეორე შემთხვევაში გულისხმობს შენობის ისეთ დაგვეგმარებას, როდესაც მისი სათავსები მაქსიმალურად იხსნება გარემომცველ ბუნებრივ ლანდშაფტზე, ზოგჯერ კი ცოცხალი ბუნების ელემენტები უშუალოდ შენობებშია მოთავსებული.

სათავსების შიგნით მოქცეული ელემენტების მრავალი სხვადასხვაობა არსებობს - იატაკზე საგანგებო ადგილებზე მოწყობილი გაზონები და ყვავილნარები, ქოთნებში მოთავსებული მცენარეები, კედელზე მიკრული მცოცავი თუ ხვიარა მცენარეები და ის ხეებიც კი, რომლებიც მშენებლობის დაწყებამდე არსებობდა და არქიტექტორებმა შემოინახეს და გარეთ გაიყვანეს სახურავში მოწყობილი საგანგებო ხერცის მეშვეობით. ხელოვნური ლანდშაფტის შექმნა, მცენარეულის განლაგება უნდა ემორჩილებოდეს სივრცის ორგანიზაციის საერთო ჩანაფიქრს. უნდა მუშავდებოდეს გამწვანების დაჯგუფების პრინციპები და მწვანე მასივის ფორმები - გრძივი ან მაღალი, მოცულობითი ან სივრცითი.

ინტერიერში მოქცეული ბუნების ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია წყალი. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამხრეთ რეგიონებში, ცხელ კლიმატში. ბრტყელი, დაბალი წყალსატევები მოზაიკური ან ბუნებრივი ქვით მოფენილი ფსკერით, მკირე შადრევნები და კასკადებიც კი ბუნების ინტერიერში შეყვანის ეფექტური ხერხებია.

რთულია ინტერიერებში შეყვანილი დაუმუშავებელი ბუნებრივი მასალები - კლდე კედლის მაგიერ, ხრეში ან ქვიშა იატაკზე და ა. შ. ყოველივე ეს სარკისებურ ვიტრაჟთან დაპირისპირებული ადამიანს აგრძნობინებს ბუნების სილამაზეს, სითბოს. ამის თვალსაჩინო მაგალითებია თბილისში რესტორანი "მარაბდა" და აეტოსაგ ზაო სამინისტროს კლუბის ინტერიერი. სადაც გრძივ კედლად გამოყენებულია არსებული კლდე.

### 3. ადამიანის ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია და ინტერიერი

შენობის შიგა სივრცე, რომელიც ცხოვრების, შრომისა და დასვენების ადგილია, ამავე დროს ადამიანის გრძნობებზე ზეგავლენის მქონე გარემოა და ამით მონაწილეობს მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში. საჭიროა არქიტექტორმა იცოდეს ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიოლოგიაზე გარემოს ზეგავლენის შესახებ იმ მიზნით, რომ არქიტექტურული ხერხებით დადებითად იმოქმედოს ადამიანის განწყობაზე, ემოციებზე, მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, შრომისუნარიანობის ზრდაზე.

თანამედროვე მეცნიერების განვითარებამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ დღეს უკვე საკმარისი არ არის ადამიანის ემოციურ სფეროზე არქიტექტურის მხოლოდ სუბიექტური შეხედულება. აღსანიშნავია მეცნიერების მიღწევების გამოყენება დაპროექტებაში.





თანამედროვე ფსიქოლოგია მოიცავს ალქმის პროცესს სუბიექტის პრაქტიკული მოღვაწეობისა და მის წინ მდგარი ამოცანების ეფექტურად წინებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარემოს გავლენა ადამიანის ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია განსაზღვრული პროცესის პირობებზე, გარემოს დანიშნულების თავისებურებებზე.

არქიტექტორმა, რომელიც სივრცეს აყალიბებს, უნდა გამოყოს მისი უმთავრესი თვისებები, ელემენტები და იმგვარად დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან, რომ მათგან შედგენილმა გარემომ ზეგავლენა იქონიოს ადამიანის ფსიქიკაზე და ხელი შეუწყოს ფუნქციურ პროცესს.

გარემოს ალქმის პროცესი როგორ მნიშვნელოვანი ელემენტისაგან - ანალიზისა და სინთეზისაგან შედგება, ე. ი. პირველ ყოვლისა გარჩევისაგან და შემდგომ ყველა ელემენტის ერთ სახეში გაერთიანებით. სწორედ გონების ამგვარი მოქმედების შედეგია გარემოს ალქმა და შეფასება. თუმცა წამიერად ჩატარებული გონებრივი ანალიზური მუშაობა საკმაოდ რთულია. ალქმის ანალიზური პროცესისადმი ყურადღება გარემოს ალქმისას მაქსიმალურად ამსუბუქებს გონებრივ მუშაობას.

აქედან მომდინარეობს გარემოსადმი ადამიანის მიერ წაყენებული საერთო სახის მოთხოვნები. საჭიროა ამა თუ იმ ფორმის მასის, სიდიდის, ფერის, ფაქტურის, პროპორციების მახასიათებლების მკაფიოობა. სხვადასხვა მახასიათებლის (ფერის, მასალის, ნაირნაირი ფორმის) გადაკარხებული რაოდენობა იწვევს გონების გადაღლას და ნერვული სისტემის დაძაბვას.

გონებრივი მუშაობის მეორე მხარე სინთეზია, ე. ი. ხარისხობრივად განსხვავებული ელემენტების ერთ მთლიან სახედ გაერთიანება. იგი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ალქმა წარმოიშობა როგორც შეგრძნებათა რთული ასოციაციების კომპლექსი. ამასთან დაკავშირებით მოვლენის მაქსიმალურად ნათლად წარმოსადგენად საჭიროა საერთო სახის ცალკეული თვისებების, ცალკეული მახასიათებლების გარკვეული რაოდენობა, საქმე ეხება მოთხოვნილებისა და საკმარისობის ფაქტორებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სივრცის, ფორმის, ფაქტურის, ფერის მასალის მახასიათებლები იმდენად მოფიქრებულად უნდა შეირჩეს, რომ შეიძლებოდეს მინიმალური საშუალებებით რაც შეიძლება ნათლად და ამომწურავად დახასიათდეს ინტერიერის ჩაფიქრებული მხატვრული სახე.

ადამიანის მიერ გარემოს (ამ შემთხვევაში შიგა სივრცის) ალქმა, თვით გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად ხდება. ერთ შემთხვევაში მკაფიური ინტერიერის ცალკეულ ნაწილებს თანამიმდევრულად აღიქვამს და ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს ღებულობს, რომელთაგან არც ერთი არ არის დაკავშირებული წინამორბედთან და მომდევნოსთან. ამგვარი ინტერიერი მკაფიურებს ერთმანეთთან დაკავშირებული განსხვავებული ფრაგმენტების ჯამის სახით წარმოუდგება. მეორე შემთხვევაში, თუ ინტერიერის ყველა დეტალი თანამიმდევრულად ემორჩილება ერთ მთავარ თემას და ერთი ჩანაფიქრით არის გაერთიანებული, სივრცე ყოველთვის აღიქმება როგორც ერთიანი მხატვრული სახე.



მრავალი შემადგენელი ნაწილის ისეთი გაერთიანება, რომელიც განსაზღვრულ არქიტექტურულ-მხატვრულ თემას წარმოქმნის, არსებითად ხუროთმოძღვრის უმთავრესი ამოცანაა.

გონებრივი გადალილობის მოსპობისა და შრომისუნარიანობის აღდგენის პრობლემა უმთავრესია ადამიანის ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის. გონებრივ გადალილობასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა შთაბეჭდილებათა შეცვლა, რის განხორციელებაც შესაძლებელია კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების, სპორტისა და დასვენებისათვის გათვალისწინებულ საზოგადოებრივ შენობებში.

როგორც ცნობილია, შრომა წარმოებაში, კონვეიერზე დაწესებულებაში ერთგვაროვნებით ხასიათდება მთელი წლის მანძილზე. მონოტონური იმპულსები და ე. წ. სენსორული იზოლაცია იწვევს სერიოზულ ნერვულ დაძაბულობას. ამ დაძაბულობის მოხსნა შესაძლებელია შთაბეჭდილებების ცვლით დღის განმავლობაში და, მით უმეტეს, წლის მანძილზე.

გონებრივი მუშაკების ნერვულ გადალას იწვევს ინფორმაციის დიდი მოცულობა. ისინი უნდა ისვენებდნენ ნერვული ენერჯის გადართევით, რის შედეგადაც წარმოიქმნება დასვენების კონტრასტული პირობების შექმნის საერთო ამოცანა. შენობაში დასვენებისას ადამიანი უნდა ღებულობდეს ბევრ ახალ განსხვავებული სახის შთაბეჭდილებას. ისეთ შენობებში, როგორცაა თეატრი, მუზეუმი, სპორტული დარბაზი მნიშვნელობა აქვს თვით პროცესებს, რომლებიც ამ ნაგებობების შიგნით მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ინტერიერი შესაძლოა იყოს ნეიტრალური, რაც ამზადებს მაყურებელს მთავარი დანიშნულებისათვის და ერთგვარად მასტიმულირებელიცაა. არქიტექტორის წინაშე ლაკონიური, მაგრამ პათოსით, მაღალი ტონალობით გამსჭვალული არქიტექტურის შექმნის ამოცანა დგას, რათა მაყურებელი ღელვით ელოდებოდეს სპექტაკლის დაწყებას, ინტერესით ათვალიერებდეს მუზეუმის ექსპოზიციას და აღმავლობით ვარჯიშობდეს სპორტულ დარბაზში.

სათავსების სხვა ტიპია დასასვენებელი სახლების ჰოლები და სასტუმრო ოთახები, საკურორტო რესტორნები და გასართობი ადგილები. აქ ინტერიერის წინაშე მოულოდნელობის შექმნის ამოცანა დგას. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გარემოება გამოისახება "რომანტიკული" ძიებაში, რაც ადამიანს აკლია ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთ უჩვეულო გარემოებაში ადამიანი განყენებულად გრძნობს თავს, ისვენებს.

საზოგადოებრივი შენობების შიგა სივრცის არქიტექტურა, ახდენს რა ზეგავლენას ადამიანის ფსიქიკის ამა თუ იმ თვისებაზე, სერიოზულ ესთეტიკურ ამოცანებს წყვეტს. იგი გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ სფეროზე, სიამოვნებას გვრის მას, იწვევს დადებით ემოციებს.

შენობების დაპროექტება და მისი შიგა სივრცის ორგანიზაცია იწყება მისი განმსაზღვრელი საფუძვლების შესწავლით. ამ მიზნით გამოიყენება მეცნიერული მიღწევები სოციალურ, ტექნიკურ, ტიპოლოგიურ, ეკონომიკურ სფეროებში და ასევე მონაცემები ადამიანზე, მის ბიოლოგიაზე, ფსიქიკაზე და ა. შ.



# IV. შიგა სივრცის ორგანიზაციის ტიპოლოგიური საფუძვლები



## 1. მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის სახეობანი


მოცულობით-სივრცითი შიგა სტრუქტურის სახეობა ინტერიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა ადგანია. იგი შეისწავლის შიგა სივრცის სტრუქტურას და მასზე გავლენის მქონე გარე მიზეზებს შორის არსებულ კანონზომიერებას.

დაპროექტების საწყის სტადიაშივე ჩნდება მომავალი ინტერიერის ხასიათი, ანალიზდება სოციალური დაკვეთა, განისაზღვრება ინტერიერის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც დამოკიდებულია დანიშნულებაზე, ტექნიკურ შესაძლებლობებსა და არქიტექტურულ-სტილისტურ თავისებურებებზე, კლიმატურ პირობებსა და ადგილობრივ ეროვნულ ტრადიციებზე.

არსებობს პირველადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ნაგებობის მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. მათ რიცხვს, პირველ ყოვლისა, ეკუთვნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც აყალიბებს საზოგადოების მხატვრულ იდეალებს. არქიტექტურის ისტორიის ყოველ ეტაპზე ტექნიკური პროგრესი უფლებას იძლევა განხორციელდეს სოციალურ-მხატვრული წარმოდგენა შიგა სივრცის ხასიათზე. დასასრულ, მოცულობით-სივრცითი შიგა სტრუქტურის საბოლოო ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს როგორც შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ასევე განსაზღვრული არქიტექტურული სკოლა.




ამგვარად, ნებისმიერი არქიტექტურული ნაგებობების ინტერიერის პირველადი ანალიზის საფუძველი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებია. მაგრამ, საერთო წარმოდგენა ინტერიერზე დამოკიდებულია მეორეულ ფაქტორებზეც - დიდი რაოდენობის ინტერიერის შემადგენელ არქიტექტურულ ელემენტებზე, ე. ი. ისეთ შემადგენლებზე, როგორიცაა ფართობი, სიმაღლე, შიგა ტექნიკური წყობის მაორგანიზებელი კონსტრუქციული არსი, ფანჯრების ლიობების განაწილება, მათი ფორმები, ბუნებრივი და ხელოვნური განათებულობის სიდიდე და ხასიათი, ფერი და ფაქტურა.

ინტერიერის დაპროექტებისას პირველ რიგში ითვალისწინებენ გაბარიტებსა და კონსტრუქციულ სქემას, ხოლო ფერისა და სინათლის გრადაცია, დეკორის ელემენტების გამოყენება ხელს უწყობს არქიტექტურული პროექტის დასრულებას. რომელიმე ამ ელემენტთაგანის შეცვლასთან ერთად იცვლება მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ხარისხი და, ცხადია, სხვაგვარი ხდება ფსიქოლოგიური რეაქცია ამ ინტერიერზე. ყოველმხრივი და კომპლექსური ანალიზი პირველადი და მეორეული ფაქტორების გათვალისწინებით ეხმარება არქიტექტორს მოხერხებულად დააპროექტოს, ააშენოს და მოიხმაროს შიგა სივრცე.




ნახ. 27. საექსპოზიციო  
 ზონათა ორგანიზაცია 1-  
 ექსპონატთა ზედვის ოპტი-  
 მალური პირობები; 2-  
 საექსპოზიციო დარბაზთა  
 განათების ხერხები: ა-  
 სრული, ბ-კენტირალური,  
 გ-პერიფერიული, დ-ში-  
 მარული, ე-არეკლილი;  
 3-ზედა გვერდითი; 4, 5-  
 კარკასულარისებრი  
 ტიპის სტენდი; 4, 5-  
 ვიტრინა მუზეუმში,  
 ხოლო იანი.









ნახ.28. ძილის ზონის ორჯანიზაცია და ავეჯი: 1, 2, 3 - საწოლისპირა ტუმბოები; 4 - ტელეტის მაგიდა; 5 - დივან-საწოლი; 6 - საწოლი; 7 - პატარა სკამი; 8 - გასაშლელი საწოლი; 9 - ორიარუსიანი საწოლი; 10 - საავადმყოფო საწოლი; 11, 12 - სპეციალური საწოლი ავადმყოფებისათვის; 13 - სასაწოლე მაგიდა; 14 - საძილე ზონის გვემარების ვარიანტები; 15 - საავადმყოფო საწოლთა ვარიანტები.






ნახ.29. დასასვენებელი ზონის ორგანიზაცია და ავეჯი: 1-საჯარბელი; 2-დივანი; 3-ჟურნალის მაგიდა; 4-მალაზურგიანი საჯარბელი; 5-ბელევიზორთა განთავსება.

სამუშაო ზონის ორგანიზაცია და ავეჯი: 1-სამუშაო მაგიდა; 2-სკამი; 3-საჯარბელი; 4-როიალი და ჰინიზი; 5-სამუშაო ადგილის ვარიანტები.






ნახ.30. საცემების მოშადებისა და მღებების ზონის ორგანიზაცია და ავეჯი: 1 - სამზარეულოს აღკურვილობა (ა - კარადა, ბ - თარო, გ - სამრობი, დ - ტუმბო, ე - სამუქაო მაგიდა, ვ - სამრეტაო, ზ - ქუჩა); 2 - ორგანიზაციის ზონა; 3 - სამზარეულოს ტიპები: სამზარეულო-ნიშა, სამზარეულო, სამზარეულო-სასადილო; 4 - სასადილო მაგიდის განთავსება.



ნახ.31. სანიტარიულ-ტექნიკურ სათავსოთა ირეანიზაცია: 1- აღჭურვილობა (ა - აბაზანა, ბ - შპი, გ - უნტაზი, დ - პირსმანი, ვ - მოხუცთათვის სელმოსაკიდებელი აბაზანის, შპაისა და უნტაზის); 2- გვემარება, სანიტარიულ დანადგართა განთავსება აბაზანაში.



12+12


12+10+8

12+8+8

12+8+8+8



50  
42+8  
სამშენობლო ნაპრს სპორტული ნაპრს




2

3

ნახ.32. სოციალურ პირობათა გაღწევა ბინის დაგეგმარების სტრუქტურაზე: 1-საძილე ოთახის ვარიანტები 5 სულზე; 2-სამოთახიანი ბინების სოციალურ-ტიპოლოგიური პოდლები; 3-სამოთახიანი ბინების გეგმარების ვარიანტები.












ნახ.33 საერთო ოთახის ზონირების მაგალითები: 1- ოთხსულიან ოჯახზე; 2- ხუთსულიან ოჯახზე.

საძირე ოთახის ზონირების მაგალითები: 1- ერთი ადამიანისათვის; 2- 2,3 სულზე; 3- კოლ-ქმრის.

სამზარეულოს ზონირების მაგალითები: 1- მუშა სამზარეულო; 2,3- სამზარეულო-სადილო.




1


2

3

4




5







ნახ.34. სასტუმრო ოთახების ორგანი-  
 ზაცია: 1-ერთადგილიანი; 2-ორადგილი-  
 ანი; 3-სამ- და ოთხადგილიანი; 4-დაწყე-  
 ბითი კლასების საორგანიზაციო უწყველი;  
 5- ოროთახიანი ლუქსი; 6-აპარტამენტე-  
 ბი.



6





ნახ 25. მონომოცულობის დანაწევრების ხერხები: 1, 3 - კოლონებით, სვეტებით; 2, 3 - ღონეებით; 4 - კერიით; 5 - იატაკით.



ყოველ ისტორიულ ეტაპზე სახეს იცვლიდა შიგა სივრცის ფორმირების მეთოდები, რაც ჩამოყალიბებული სქემის შეცვლას იწვევდა. წარმოშობის თაობების მიერ შექმნილი შიგა სივრცის სქემა მეტ-ნაკლებად სტრუქტურულ ახალი სოციალური მოახოვნებებისა და ახალი ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ყოველ ტიპს თავისი ისტორიული მახასიათებლები აქვს და, როგორც წესი, პასუხობს თავისი დროის მოახოვნებს. სტრუქტურა ცხოველუნარიანია, თუკი სოციალურ განპირობებასთან ერთად საფუძვლად უდევს ფუნქციური მიზანშეწონილობა, რაც, თავის მხრივ, მკიდროდ არის დაკავშირებული კლიმატურ პირობებთან და ადგილობრივ ტრადიციებთან.

ინტერიერის მოცულობით-სივრცითი მაჩვენებლები მკიდრო კავშირშია შენობის დანიშნულებასთან, ადამიანის მოლუაწეობის ხასიათთან. სწორედ ამიტომ მოცულობითი-სივრცითი სტრუქტურის აგების საფუძველს ფუნქცია წარმოადგენს.

სივრცითი სტრუქტურები შემდეგი ტიპისაა:

1. შიგა სივრცისაგან შემდგარი სტრუქტურები. ამ ჩგუფს განეკუთვნება: ძველი ცივილიზაციის სადგომად გამოყენებული ქვაბულები და კლდეში ამოკვეთილი ტაძრები, მიწისქვეშა სადგომები და გარაყები თანამედროვე ქალაქებში, მიწისქვეშა საეაქრო ქუჩები და მიწისქვეშა სატრანსპორტო გზები, მეტროპოლიტენები. იმ ნაგებობებს შორის, რომლებიც მხოლოდ შიგა სივრცისგან შედგება, სხვადასხვა სირთულის მოცულობით სივრცითი სტრუქტურები გვხვდება უმარტივესი საცხოვრებელი ქვაბულებიდან ნეოლითის პერიოდში თანამედროვე მეტროპოლიტენამდე თანამედროვე მიწისქვეშა სივრცითი სტრუქტურების ექსპლუატაცია უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნიკური მომსახურებით, ვენტილაციით, ხელოვნური განათებით და ა. შ.

2. სტრუქტურები, რომლებსაც არა აქვს შიგა სივრცე. მოცულობით-სივრცითი სტრუქტურების ამ ჩგუფში შედის სრულიად უტილიტარული ნაგებობებიც და ნაგებობები, რომელთა სხვა ფუნქცია, მხატვრულთან შედარებით, მეტად უმნიშვნელოა. ჰიდროტექნიკური ნაგებობები, ხიდები, აკვედუკები, მონუმენტები, შადრევნები, ტრიუმფული თალები და ა. შ.

3. მოცულობით-სივრცითი სტრუქტურები, რომლებიც შედგება შიგა სივრცისა და გარე მოცულობისაგან. ამ ჩგუფის შენობების ანალიზი გაცილებით რთულია წინა ორ ჩგუფში მოხსენებულ ტიპებთან შედარებით. ამ კატეგორიის შენობებში გარე მოცულობა ორგანულად უნდა უკავშირდებოდეს შიგა სივრცეს.

4. მოცულობებისა და გადაუხურავი სივრცეებისაგან შედგენილი სტრუქტურები: საზაფხულო ღია თეატრები, ღია სტადიონები და საცურაო აუზები, ველოტრეკები, იპოდრომები და ა. შ.

ინტერიერის სივრცითი ორგანიზაცია დამოკიდებულია მისი შემადგენელი უჯრედების შეერთების ხასიათზე, მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანლაგებაზე. ინტერიერების სივრცითი ორგანიზაციის არსებული ხერხი შესაძლოა პირობით რამდენიმე სქემად წარმოვიდგინოთ.



კორიდორული სისტემა გულისხმობს სათავსების ან სათავსების ჩგუფების განლაგებას თარაზული (კორიდორები, გალერეები, კრიბები) საკომუნიკაციო ღერძების გასწვრივ. სასტუმროებში, საერთაშორისო ტურისტულ რეზიდენციებში, საავადმყოფოებში, სანატორიუმების საძილე კორპუსებში, ადმინისტრაციულ შენობებში გრძელი კორიდორები შესაძლოა გაგრძელდეს რიტმულად ჩართული ღია პოლებით, ლოჯიების მეშვეობით.

ან ფილადურ სქემის შემთხვევაში ერთი და იმავე დანიშნულებისა და ერთიანი სივრცითი მოდულის მქონე სათავსები ერთრიგადაა განლაგებული და გამჭოლად გასასვლელ მოცულობებს ქმნის (მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები).

სექციური სქემა უმრავლეს შემთხვევაში საცხოვრებელ სახლებში გამოიყენება და წარმოადგენს დაგეგმარებულ და ფუნქციურად იზოლირებულ განაკვეთებს - სექციებს ცალკე შესასვლელებით.

დარბაზოვანი სქემის შემთხვევაში იქმნება ერთიანი მოცულობა, ამ სქემას მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუკი შენობაში მიმდინარე ფუნქციური პროცესი არ მოითხოვს მის დანაწევრებას, აბსოლუტურად ყრუდ გამოყოფილი ფუნქციური ზონების არსებობას (დახურული ბაზრები, საგამოფენო პავილიონები, ვაგზლები).

ცენტრული სქემის შემთხვევაში მთავარი დანიშნულებით დიდი მოცულობის გარშემო თავს იყრის შედარებით მცირე სათავსები. წარმოიშობა უკორიდოროდ შეკავშირებული სისტემა, სადაც მცირე სათავსებში უშუალოდ მთავარი შესასვლელიდან მოხვედებით (სარეკრეაციო დარბაზთან დაკავშირებული სასკოლო კლასები, მთავარ საგამოფენო დარბაზთან დაკავშირებული ცალკეული საგამოფენო დარბაზები, ადმინისტრაციული შენობის ცენტრალურ საოპერაციო დარბაზთან დაკავშირებული ოთახები და ა. შ.)

ცალკე ჩგუფს შეადგენს დიფერენცირებული სქემით შედგენილი კომპლექსები, ამ შემთხვევაში სათავსები ცალკეულ პავილიონებად ჩგუფდება და ერთმანეთს გადასასვლელებით უკავშირდება. (მაგ. პავილიონის ტიპის სკოლები). ყოველი ცალკეული პავილიონის ფარგლებში ერთ-ერთი ზემოთ მოყვანილი სქემათაგანი გამოიყენება, რასაც ფუნქციური დანიშნულება კარნახობს.

უმრავლეს შემთხვევაში დამპროექტებელი ამ სქემებს მიმართავს არა განცალკევებულად, არამედ სხვადასხვა შეუღლების სახით. მაგრამ იმისათვის, რომ სივრცითი სტრუქტურის ოპტიმალური ვარიანტი მოიძებნოს, საჭიროა თითოეული სქემის კომპოზიციური შესაძლებლობების ნათლად წარმოდგენა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება. ზემოთ მოცემული სქემებიდან ნებისმიერი ცალკეული ფუნქციური ზონის სხვადასხვა ზომა-წონის იზოლირებას გულისხმობს. მაგალითად, არსებობს ინტერიერები ხისტად განცალკევებული უჯრედებით, სადაც უჯრედის ფარგლებში დამთავრებული ფუნქციური ციკლი მოითხოვს მის აბსოლუტურ იზოლაციას (საცხოვრებელი სახლის სექცია, ცალკე ბინა, სასკოლო კლასი და ა. შ. ზოგიერთი

ფუნქციური ზონა კი არ მოითხოვს სრულ განცალკევებას, რაც უწ. გადასვლელი სივრცეების პრინციპის გამოყენების საშუალებას იძლევა.


XX საუკუნის დასაწყისში გადასვლელი სივრცეების პრაქტიკული გამოყენება დაიწყო ულად დაამუშავა და პრაქტიკულად გამოიყენა უდიდესმა ამერიკელმა არქიტექტორმა ფ. რაიტმა. იგი იმ წინაპირობას ვერძნობდა, რომ ცხოვრების მოთხოვნებს სრულიად შეესაბამება დაუნაწევრებელი, მოქნილად განმხოლოებული სივრცე. ამ პრინციპის შესაბამისად შექმნა მან თავისი საცხოვრებელი სახლები - სივრცითი სისტემები, სადაც ცალკეული სათავსების ხისტი განცალკევება ნაწილობრივ დარღვეულია (სახლი ჩანჩქერის თავზე, სახლი ოკემოსში, რომის სახლი ჩიკაგოში). რაიტმა გადაამოწმა თავისი ძირითადი თეორიული დებულება - თავისუფალი გვეგმარება, რომელიც სათავსების ხისტი საზღვრების გარეშე დაკავშირების საშუალებას იძლევა და შესაძლებელს ხდის შეიქმნას გადასვლელი სივრცეები. იქ, სადაც საჭირო არ არის სათავსის სრული იზოლაცია, მან შემოგვთავაზა მთლიანი შემინვა კერამდე, კუთხის ფანჯრები, რაც გარემოსთან ინტერირის უშუალო კავშირის გრძობას ბადებდა.

გადამდინარე სივრცეების იდეა ევროპაშიც დამკვიდრდა, კერძოდ, ბაუხაუზის სკოლის არქიტექტორებს შორის. თუკი რაიტმა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ტრადიციულ მასალებში (აგური, ხე) დაიწყო, მის მიმდევრებს საშუალება მიეცათ ემუშავათ ისეთი მასალებით, როგორცაა ფოლადი. წინასწარ დაძაბული რკინაბეტონი მაგალითად, ვალტერ გროპიუსის დასაუს ლაბორატორიაში გამოყენებულმა მასალებმა და კონსტრუქციულმა სისტემამ ავტორს საშუალება მისცა მინიმუმამდე დაეყვანა მზიდი ელემენტების კვეთი და ისინი მემბრანებად ექცია, რაც ხელს უწყობდა შიგა სივრცის გარეთ გადასვლას.

სივრცის თავისუფალი გადასვლის პრინციპი ფართოდ გავრცელდა რუსეთშიც. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ძმები ვესნინების მიერ შექმნილი ლიხაჩოვის სახ. ქარხნის კულტურის სასახლე.

პრაქტიკაში დამკვიდრებული სივრცითი სტრუქტურების სქემებში შემადგენელი უჯრედები არატოლფასოვანია და ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციური მნიშვნელობით, ზომებით, ფორმით. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ისინი დავაჯგუფოთ სამ სახეობად:

1. მთავარი სივრცითი ელემენტები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავს კომპოზიციის ხასიათს;
2. მეორეხარისხოვანი სივრცითი ელემენტები, რომლებიც კომპოზიციურად ექვემდებარება მთავარს და მას უკავშირდება ან უშუალოდ, ან გარდამავალი სივრცითი რგოლით;
3. სივრცითი რგოლები, რომლებიც მთავარი სივრცითი ელემენტის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთთან ან მეორეხარისხოვან სივრცით ელემენტებს მთავარ სივრცესთან აკავშირებს.



ნახ.36. მოცულობითი სტრუქტურის ორგანიზაციის ძირითადი ზერხები: 1-ხაზოვან-  
 ღერძული, ორღერძული, მრავალღერძული; 2-ვექტორული; 3-სტრუქტურულ-მოდე-  
 ლური; 4-კონტრასტული აქსენტირებული ფორმა; 5-თავისუფალი; 6-ფორმის მოცუ-  
 ლობის შავალითი საბავშვო მუსიკალურ თეატრზე მოსკოვში (ველიკანოვი, კრასილ-  
 ნიკოვი).  
 ფორმის შეცვლის ილუზორული ზერხები: 1,4-სიმაღლის გაზრდა; 2-სიმაღლის  
 დამოკლება; 3-სიღრმის გაზრდა; 5-დეფორმაცია.



სივრცითი ელემენტების ურთიერთდაკავშირებისას თავს იჩენს ძრავალი კანონზომიერება, რომლებიც სივრცითი კომპოზიციების ძრავალურ-ოვენებას უზრუნველყოფს, ესენია: მთავარი სივრცითი ელემენტის გამოყოფა ერთმანეთთან დაკავშირებულ სათავსების სისტემაზე დაქოლვანად შენობის სივრცითი ორგანიზაციის დამორჩილება ამ მთავარი ელემენტისადმი; შიგა სივრცეში მთავარი და მეორეხარისხოვანი ღერძების გამოვლენა და კომპოზიციის ძირითადი იდეის ხაზგასმისათვის სათანადო დეკორატიული გაფორმების გამოყენება; ზომებისა და ფორმის, განათებულიობის, ფერისა და დეკორატიული გაფორმების მეოხებით ცალკეული სათავსების კონტრასტული ან ნიუანსური შეხამება, გამოხული კომპოზიციის მთავარი მეორეხარისხოვანი ელემენტების გრადაციისა და მათი პარმონიული შეკავშირებისათვის.

## 2. შიგა სივრცის ტექტონიკური წყობა

თავის ჩანაფიქრს არქიტექტორი ახორციელებს საშენი მასალების, კონსტრუქციების, მექანიზმებისა და სამშენებლო ტექნოლოგიის მეშვეობით. ნაგებობის სრულყოფილობა დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დონესა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. მაგრამ კონსტრუქციების არსის გამოვლენა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ინტერიერის მხატვრულ გამომსახველობას. ინტერიერის ესთეტიკურობა დამოკიდებულია მიღებული ტექტონიკური სისტემის ხასიათსა და მორალურ-ესთეტიკურ კონცეფციებზე.

არქიტექტურული სტილის ცვლასთან ერთად იცვლებოდა წარმოდგენა ინტერიერის ტექტონიკურ სისტემაზე. ზოგიერთ ეპოქაში ტექტონიკური სისტემა ხაზს უსვამდა კონსტრუქციის ცალკეული ელემენტების დანიშნულებასა და ხასიათს. ასე იყო, მაგალითად, ძველი ბერძნული ხუროთმოძღვრების აუვალების ხანაში. ბაროკოს არქიტექტურამ კი ისეთი ტექტონიკური სისტემა გამოიმუშავა, რომელიც სრულიად არ უწყევდა ანგარიშს შენობის მატერიალურ-კონსტრუქციულ საფუძველს, პირიქით, ჩქმალავდა მას.

რენესანსი, ბაროკო, კლასიციზმი ცვლიდა რა ერთმანეთს, ოდნავ სრულყოფილი, მაგრამ მაინც მსგავსი ხერხებით სარგებლობდა. მაგრამ ყოველმა ეპოქამ თავისი საკუთარი ტექტონიკური სისტემა შეიმუშავა, ჩამოაყალიბა თავისი წარმოდგენა შიგა სივრცის ტექტონიკურ არსზე. ამიტომ ასე პრინციპულად განსხვავდება ამ ეპოქაში შექმნილი ინტერიერები.

ახალი კონსტრუქციული ხერხებისა და საშენი მასალების აღმოჩენამ ინტერიერებში ახალი ტექტონიკური სისტემების გაჩენა გამოიწვია. დაიწყო ლითონის, ბეტონის, ვანტური კონსტრუქციების, წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის თაღების ფართო დანერგვა. იმის თაობაზე, თუ როგორ შეცვალა ტექტონიკური აზროვნება ვანტურმა კონსტრუქციებმა, შესაძლებელია ვიმსჯელოთ თუნდაც ტოკოს ოლიმპიური სტადიონის მაგალითზე (არქიტექტორი კენძო ტანგე). გამიშვლებული ვანტური კონ-

სტრუქციები და მრუდაზოვანი რკინაბეტონის გარსები ინტერიერის დინამიკურ და საინტერესო კომპოზიციას ქმნის.

ნებისმიერი არქიტექტურული ნაგებობის ინტერიერებში ტექტონიკური კანონზომიერებას კონკრეტული გამომსახველობა აქვს. კონკრეტული ემყარება შენობის დანიშნულებაზე დამოკიდებულ ფუნქციურ, კონსტრუქციულ და ესთეტიკურ მოთხოვნებს.

საგამოფენო დარბაზები, სადაც თავს იყრის ხალხის დიდი რაოდენობა და ექსპოზიცია, მუდმივად იცვლება, რითხვის დაუნაწევრებელ სივრცეს, საყრდენების მინიმალურ რაოდენობას. ამ მოთხოვნებითაა განპირობებული, მაგალითად, საგამოფენო პავილიონი ტურინში (ლუიჯი ნერვი). აქ ტექტონიკური სისტემა აგებულია კონსტრუქციული ელემენტების მზიდი საყრდენებისა და გადახურვის ნაწილების გამოვლენაზე.

სხვაგვარ ტექტონიკურ პრინციპებს ემყარება სამუზეუმო შენობები. ისინი მოითხოვს მუდმივ საექსპოზიციო სიბრტყეებსა და განათების ფიქსირებულ სისტემებს. გუგენსჰეიმის მუზეუმში (ფ. რაიტი) კედლის სიბრტყე ხაზგასმულია მეტად გამომსახველი, დაბალი კედლით შექმნილი სპირალით, რაც ინტერიერის კომპოზიციას დამთავრებულ ხასიათს აძლევს და სამუზეუმო შენობის ტექტონიკურ არსს გამოხატავს.

არსებობს ტექტონიკური სისტემების შემდეგი კლასიფიკაცია: კედლის ტექტონიკა, კარკასული სისტემების ტექტონიკა და სივრცითი კონსტრუქციების ტექტონიკა.

კარკასული სისტემების ან სივრცითი კონსტრუქციების აგების კანონზომიერება უკეთ ვლინდება დიდი დაუნაწევრებელი სივრცის მქონე ინტერიერებში, სადაც ფუნქციური ზონების გამოყოფა ხელს არ უშლის შიგა სივრცის ცალკეული ნაწილების ერთიან აღქმას. ერთიანი, დაუნაწევრებელი ინტერიერი ხელს უწყობს კიდევ ერთი კანონზომიერების გამოვლენას - გარე მოცულობისა და ინტერიერის ტექტონიკური სისტემების შეთანხმებულობას ან შეუთანხმებლობას. გარე და შიგა ტექტონიკური სისტემების შეთანხმებულობის მაგალითია სხვადასხვა რეგიონის ქართული საცხოვრებელი სახლი, საკულტო ნაგებობების ბრწყინვალე ნიმუშია მცხეთის ჭვარი, ტრადიციული იაპონური სახლი და, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების თანამედროვე შენობები.

### 3. რიტმი სივრცით სტრუქტურაში

ადამიანი ვერ იარსებებს მოუწყვსრიგებელ სამყაროში. შემთხვევითი სახეებისა და ფორმების დიდ რაოდენობაში ორიენტაციის მიზნით იგი ცდილობს მათ დაჯგუფებას განსაზღვრული ნიშან-თვისებების მიხედვით, სურს გამოაჯლინოს მათი განმეორებადობის კანონზომიერება. ერთი ასეთი კანონზომიერებაა რიტმი, რომლის წყარო თვით ადამიანის ცხოვრებაშია. მაგალითად, ბიოლოგიური რიტმების გავლენით ჩამოყალიბდა ხელოვნების რიტმი: რიტუალური ცეკვები.

მაგრამ არსებობს ხელოვნების რიტმის უკუკავშირიც ცხოვრების რიტმთან. ადამიანის ბუნებრივი რიტმი ამჟღავნებს მის რეაქციას.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ადამიანზე ხელოვნების რიტმის ზეგავლენა.

სივრცითი სტრუქტურის რიტმული ორგანიზაცია ადამიანზე ემოციური და ესთეტიკური ზეგავლენის ქმედითი ფაქტორია. რიტმი ხსენებული ზეგავლენის სივრცის სტრუქტურას, ქმნის საფუძველს ადამიანზე სივრცის ემოციურ-ესთეტიკური ზეგავლენისათვის. რიტმის ხასიათს განსაზღვრავს ინტერიერის დანიშნულება, იდეა, რომელიც, გავლენას ახდენს სივრცის ფორმირებაზე და ტექტონიკური არსის გამოსახვაზე. რიტმული ჯგუფის შემადგენელი ელემენტების რაოდენობაზე და ამ ჯგუფის განმეორების სისშირეზეა დამოკიდებული ადამიანის გრძობები: ალგუნება ან დაწყნარება, სიმხიარულე ან წონასწორობის დაკარგვა. ვარდა ამისა, შესაძლოა უარყოფითი ემოციის გამოწვევაც. კერძოდ, მისი მიზნითა რიტმული ჯგუფების ან ელემენტების გადაჭარბებული რაოდენობა, რიტმული ან მეტრული რიგის გაუმართლებელი სიგრძე. უკანასკნელ შემთხვევაში წარმოიქმნება მომაბეზრებელი, დამთრგუნავი მონოტონურობა, რაც შეიძლება მკვნიც იყოს ადამიანისათვის. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ინტერიერის ოპტიმალური რიტმიკის შემწნევა.

თანამედროვე უნიფიცირებულ შენობებში, ყველა სახის ნაგებობებში, სადაც სვეტების ბადეა გამოყენებული, ნათლად იკითხება მეტრული დამოკიდებულება, რაც მზიდი საყრდენების ფორმებისა და ბიჯის იგივეობას ემყარება.

თანამედროვე ინტერიერში ხშირად მიმართავენ რიტმული ხასიათის ზედაპირებს. კემბრიჯის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში შიგა სივრცის რიტმიკისათვის ლე კორბუზიემ გამოიყენა კედლების ცვალებადი სიმაღლე. ფინეთში ოტანიემის უმაღლესი ტექნიკური სკოლის აუდიტორიუმში (არქიტექტორი ა. აალტო) შიგა სივრცის რიტმულობის ეფექტი მიღწეულია არა მხოლოდ კედლების მოხაზულობით, არამედ სათავსების სიმაღლის რიტმული შეცვლითაც.

რიტმული თუ მეტრული მწკრივების ელემენტებად შესაძლოა გამოვიყენოთ ინტერიერის ნებისმიერი შემადგენლები: სივრცითი რგოლები (უჯრედები), კონსტრუქციული ელემენტები, მოსაპირკეთებელი მასალები, მათი ფაქტურა, ფერი, განათებულობა, ავეჯი, დეკორატიული ელემენტები. რაოდესაც მეტრული და რიტმული მწკრივების ასაგებად სივრცითი რგოლებია გამოყენებული, შესაძლოა გამოიყოს სამი შემთხვევა: ფორმების აბსოლუტური გამეორება, ნიუანსი და კონტრასტი. კლასიციზმის ანფილადები წარმოადგენს მეტრულ მწკრივებს, რომელთა ელემენტებია ერთნაირი სივრცითი რგოლები (უჯრედები). ეს მეტრული მწკრივები რიტმულად იქცევა, თუკი შერჩეული ფერები იცვლება ყოველი სივრცითი უჯრედის მოსაპირკეთებელი ფერით რიტმული მწკრივის კანონების შესაბამისად. ყოველი სივრცითი რგოლის სხვადასხვა სიდიერით განათებას ასევე შეუძლია მეტრული მწკრივი რიტმულად აქციოს. სივრცითი უჯრედების განსხვავებული სიდიდეები თავისთავად შეიძლება რიტმული მწკრივის საფუძველად იქცეს. ზომებში მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული სივრცითი რგოლები ნიუანსური ან კონტრასტული წყობის ჩამოყალიბ-

ბების საშუალებას იძლევა. გოთურ არქიტექტურაში ტაძრის რიტმული მწკრივის შეადგენს ზომებით კონტრასტული სივრცეების ურთიერთობა: ცენტრალური და გვერდითი ნავეები, გარშემოსავლელი გალავნი და მშენებელი ქვარედი. ეგვიპტური ტაძარი ნიუანსური სახეცვლილებების მაგალითს იძლევა არა მხოლოდ გვერდის ზომებში, არამედ დარბაზების სიმაღლეებშიც, რაც საშუალებას იძლევა ეგვიპტური ტაძრის დასახასიათებლად, როგორც რიტმული მწკრივის მქონე ნიუანსურად ცვალებადი სივრცითი უჯრედები.

ინტერიერის რიტმი პოლიფონური ცეცება და მას ავითარებს ინტერიერის ყველა შემადგენელი ელემენტი, რომლებიც შესაძლოა წამყვანად იქცეს. ამის მაგალითია სამრეწველო შენობა. საწარმოს სათავისი გეგმა მეტრული მწკრივის კანონებზეა დამკვიდრებული. კარკასის სვეტებითა და თარაზული კოჭებით ან გადახურვის სივრცითი ელემენტებით შექმნილი უჯრედები სივრცითი ფორმების აბსოლუტური გამეორებაა, ე. ი. მოცულობათა კავშირში შეიძინევა მეტრული მწკრივი. ესოდენ მკაცრი მეტრული კომპოზიცია სივრცეში შესაძლებელია რიტმული მწკრივის კანონებით განვითარდეს. ეს განპირობებულია დანადგარების ზომების, ფორმებისა და განლაგების წესის მკაცრი ტექნოლოგიური პროცესის კარნახით. გარდა ამისა, სამუშაოების განსხვავებული სიზუსტე ასევე განსხვავებულ განათებულობას მოითხოვს და სინათლის განსაზღვრულად მოფიქრებული ცვალებადობა შესაძლოა რიტმული მწკრივის კანონებს დაემორჩილოს. ამასთან დეტალების უკეთ გამოსარჩევად სხვადასხვა ფერის ფონია საჭირო. ამგვარად, ფერსაც შეუძლია მეტრული მწკრივი რიტმულად აქციოს. თუ განათებისა და ფერის რეჟიმი შესაძლებელია მათემატიკურად გამოისახოს, ამდენად რიტმული მწკრივების გამოთვლაც შესაძლებელი ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, რიტმული წყობის მატერიალური საფუძველი ინტერიერის მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ელემენტების ტექტონიკით იქმნება. დანარჩენი ელემენტები ან ხაზს უსვამს დასახულ არქიტექტურულ რიტმს, ან ანაწევრებს, ან ამსხვილებს მას.

ინტერიერის რიტმული წყობის შექმნაზე დიდ გავლენას ახდენს ავეჯი. მაგალითად, ორი ფინური სასადილოს ინტერიერში, რომლებიც ავეჯით გააწყვეს ფინური ავეჯის ფირმის "ასკოს" არქიტექტორებმა, ერთ შემთხვევაში რიტმი იქმნება სასადილო მაგიდების მკორე კვადრატებითა და ხის პანოთი, რომელიც სხვადასხვა სიბრტყეში დამაგრებული ხის ძელაკებით გაკეთდა, ხოლო მეორე შემთხვევაში რიტმი იკითხება ავეჯის მსხვილი ელემენტებით: მრავალადგილიანი მაგიდებით, მუქი ფერის ტყავით დაფარული მასიური სავარძლებით.

თანამედროვე შიგა სივრცის არქიტექტურაში რიტმიკის გამომსახველ და აქტიურ ელემენტად კონსტრუქციებია წარმოდგენილი. თანამედროვე ინტერიერების დანიშნულება და გვეგმარებითი სტრუქტურა საშუალებას იძლევა თვალნათლივ ჩაირთოს შიგა სივრცეში მსხვილი კონსტრუქციული ფორმები. კონსტრუქცია იქცა ინტერიერის მთავარი, წამყვანი რიტმის

საფუძვლად, რომელიც იმორჩილებს ყველა სხვა შიგა რიტმს - სათნადო არმატურის, მასალის, ფაქტურისა და სხვა სახის რიტმს.

მეტად მკაფიოა მეტრული და რიტმული დამოკიდებულება სინათლი არმატურის განლაგებაზე. უფრო ხშირია ერთნაირი ფორმისა და ზომის სანათი არმატურის მეტრული განმეორება. დიდი და შიგა სტრუქტურით რთული სათავსები სხვადასხვა ხასიათის რიტმული მწკრივების შეთავსების საშუალებას იძლევა. სანთებლების სხვადასხვა ფორმა, მათი განლაგებისას განსხვავებული კომპოზიციური ხერხების გამოყენება საშუალებას იძლევა სინათლით შევაჯეროთ უმეტესად ცენტრალური ნაწილი და ამით ინტერიერის სივრცითი კომპოზიცია მეტად დინამიკური გავხადოთ. შესაძლებელი დინამიკური წყობა მიიღება რამდენიმე კონცენტრულად განათებული სივრცითი უჯრედის გამოყოფით.

#### 4. ინტერიერის მასშტაბურობა

რაციონალური და ლამაზი მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის აგება, ტექტონიკური კანონზომიერების გამოვლენა, რიტმული წყობის არჩევა ისახავს ერთ მიზანს-ადამიანისადმი თანაზომიერი, მისი ფიზიკური და სულიერი მოთხოვნების შესატყვისი ინტერიერის შექმნას. ინტერიერის მასშტაბურობას უზრუნველყოფს კავშირების საფეხუროვანი სისტემა, რომელიც აერთიანებს რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში ინტერიერის ყველა შემადგენელ ელემენტს და ადამიანს.

ინტერიერის მასშტაბური წყობის შერჩევა დამოკიდებულია დასაპროექტებელი ნაგებობის კლასზე. ასეთ კავშირს აშკარად გამოვლავნებული ხასიათი აქვს, რადგანაც ეფუძნება საზოგადოების იდეებს. ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს. მასშტაბურობაზე შეხედულების შესაბამისად ყველა არქიტექტურული სტილის ფარგლებში ყალიბდებოდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დამახასიათებელი მასშტაბი.

შემდეგი მასშტაბური კავშირია "მასშტაბის განმსაზღვრელების" მეშვეობით გამოსახული მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ცალკეული ელემენტების თანაზომიერება ადამიანისადმი. ინტერიერში ამგვარი განმსაზღვრელებია ავეჯი, ფანჯრისა და კარების ლიობები, დეკორატიული ლოჯიები.

ინტერიერის მასშტაბურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად არის გათვალისწინებული ინტერიერის მასშტაბური კავშირები. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მასშტაბური კავშირები მასშტაბური დამოკიდებულებების საზღვრებს აღდგენს. ყოველი მასშტაბური წყობის ფარგლებში შესაძლებელია მსხვილი, საშუალო და წვრილი მასშტაბის არჩევა, რაც ინტერიერებს სხვადასხვა ემოციურ ხასიათს ანიჭებს.

ინტერიერის მასშტაბური წყობა პირდაპირი მათემატიკური დამოკიდებულებით არ არის დაკავშირებული ექსტერიერის მასშტაბურ წყობასთან.

გავრცელებული ხერხი იყო ინტერიერის მასშტაბური წყობის შემცირება გარე მოცულობის გადაწყვეტასთან შედარებით. შემთხვევითი არ არის, რომ გარე მოცულობის ფორმები გაცილებით მსხვილია, ისინი უფრო მსხვილია, ვიდრე შიგნით. შიგნით მთლიანად შენობისადმი და შემომფარგვლებელი სივრცის მიმართ ინტერიერის ფორმები კი უფრო წვრილია და ადამიანთან დაახლოებული. მაგალითად, მრავალ ბერძნულ ტაძარში გარეთა მსხვილ ორდერთან შედარებით, რომელიც შენობის სიმაღლისაა, ინტერიერებში სათანადო სიმაღლის ორიარუსიანი სვეტნარია მოწყობილი და, თუ პერიპტეროსი ალიქმება უხარმაზარ გარემო სივრცესთან ერთად, ინტერიერში ორიარუსიანი სვეტნარი შედარებით მცირე სივრცეში ალიქმება. თითქოსდა იქმნება მცირე სივრცისა და პატარა ზომის არქიტექტურის შესატყვისობა.

ალორძინების ხანის სასახლეებში გადასვლა ინტერიერის მასშტაბზე სხვაგვარად ხდება. მაღალი ფასადის სამკერადი დაყოფა შევსებულია მსხვილი კვადრების წყობითა და შენობის სიმაღლის შესაბამისი დიდი ზომის დამაგვირგვინებელი კარნიზით. ბერძნულ ტაძართან შედარებით ამ შემთხვევაში სართულების მსხვილი დანაწევრება, შიგა ეზოს ჩართვით, მთელ შენობაზე ვრცელდება. მაგრამ ეზოს თაღებისა და შიგა სათავსების წვრილი დეტალიზების გზით იქმნება გარკვეული ჰარმონია არქიტექტურის ძირითად მსხვილ ელემენტებსა და შიგა სივრცეს შორის.

შენობის გარე მოცულობასთან შედარებით ინტერიერის შემადგენელი ელემენტების აბსოლუტური ზომების შემცირების ან ინტერიერის ელემენტების მეტად დანაწევრებული პლასტიკური დამუშავების, სკულპტურული დეკორისა და მონუმენტური ფერწერის შედარებით მცირე მასშტაბი-ყოველივე ამის მიზანია დაადგინოს წონასწორობა არქიტექტურას, დანაწევრების ხასიათსა და შიგა სივრცეს შორის. დანაწევრების ხასიათის მიხედვით სივრცე შეიძლება პირობითად გაიზარდოს, გაგანიერდეს ან პირიქით, თუ მსხვილი ელემენტები ერთგვარი მოდულით დაიწყო, სათანადოდ ილუზორულად შემცირდეს ზომებში და ამავე დროს ხარისხობრივად სხვაგვარი, უფრო მნიშვნელოვანი, მსხვილი გახდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასშტაბის შემწეობით იქმნება სივრცის სხვადასხვა ხარისხობრივი მახასიათებელი, მისი სახე.

თანამედროვე ინტერიერებში წყობის ეს საერთო პრინციპები და კანონ-ზომიერებები თანამიმდევრულად ვითარდება.

დიდი, მაღალი სათავსების არქიტექტურული დამუშავება განსხვავდება მცირე მოცულობებისაგან, რის შედეგადაც წყდება მასშტაბურობის პრობლემა ინტერიერში. მცირე მოცულობებისაგან განსხვავებით მსხვილად დანაწევრებული, დიდი მრავალიარუსიანი კოლები, ვრცელი მრავალსვეტიანი დარბაზები უფრო რთულადაა დანაწევრებული როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით. არქიტექტურის დანაწევრების სიხშირე მატულობს მარტივიდან რთულისაკენ სიმაღლის ზრდასთან ერთად.

მაგრამ მასშტაბი ყოველთვის როდია განსაზღვრული სათავსის ზომებით. მასშტაბზე წარმოდგენა დაკავშირებულია ნაგებობის მნიშვნელობაზე, სადაც შენობის ელემენტები და ცალკეული სათავსები ფუნქციით

არის შეპირობებული. ზოგიერთ შემთხვევაში გამომსახველობის გაძლიერების მიზნით შესაძლოა მასშტაბური წყობის გამსხვილება. ამგვარად, მასშტაბი ობიექტის შინაარსის გამოვლენის საშუალებად უკეთესად შეიძლება ინტერიერის აღქმას ერთი თავისებურება ახასიათებს. თუ შეიძლება შენობის გარე მოცულობა გარემოცვას დაუპირისპირდეს და მისი მასშტაბური მახასიათებლები გარემოცვასთან შედარებაში აღიქვას, ინტერიერში ასეთი შედარება დროთა განმავლობაში თანდათან მოხდება. არქიტექტურის საუკეთესო ქმნილებებში ინტერიერის აღქმის ეს პირობა გამოიყენება მხატვრული ეფექტისა და არქიტექტურული კონტრასტების მისაღებად.

დამახასიათებელია, რომ ინტერიერში მსხვილი დანაწევრების, მსხვილი მასშტაბის შესაქმნელად კონსტრუქციებს მიმართავენ. ამ ხერხს გამომსახველობის მისაღწევად საუკუნეთა განმავლობაში იყენებდნენ.

მაგალითად, ვენეციის სან-მარკოს ტაძრის დოკების სასახლესთან შედარებით მკირე წვრილი დეტალებით დანაწევრებული ფასადი იკარგება მოედნის არქიტექტურაში, შიგა სივრცე კი გარე ფასადთან კონტრასტში, ვრანდიოზული და სილიადით აღსავსე არქიტექტურით ვაოცებთ. ამგვარად, ზოგჯერ ინტერიერის მასშტაბი შესაძლოა ექსტერიერის მასშტაბთან შედარებით უფრო მსხვილი და ხარისხობრივად მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

თანამედროვე არქიტექტურაში დიდ კონსტრუქციებს ასევე შეუძლია მხატვრული სახის ძლიერი და მოულოდნელი ეფექტის შექმნა. ახალი დიდმალიანი კონსტრუქციების, ახალი კონსტრუქციული ელემენტების გამოყენებას შეუძლია ახალი მასშტაბური წყობის შექმნა. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონსტრუქციის ნაწილების მთლიანად მკაფიო შეფარდების მოძებნას, ცალკეული ნაწილების ხასიათის სწორ დადგენას.

გამომსახველობის გაძლიერების სხვა საშუალებაა ორი მასშტაბის დაპირისპირების ძველი ხერხი. საყურადღებოა ის, თუ რა თანამიმდევრულად და გამომეტყველებით ხორციელდება სხვადასხვა მასშტაბის თანაფარდობა ქართული არქიტექტურის ძეგლებში.

სხვადასხვა მასშტაბის ელემენტების შედარებით მთავარი თემის ხაზგასმა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თანამედროვე საზოგადოებრივი შენობების ინტერიერებში.

გამსხვილებული დეტალები ზედმიწევნით ამახვილებს მკირე ინტერიერის მასშტაბურობას და ადამიანის ადგილს ინტერიერში. დიდისა და მკირის შეპირისპირება კარგად ჩანს ჩანდივარხის მუზეუმის მაგალითზე. აქ მაღალი დაუნაწევრებელი საყრდენების მსხვილი მასშტაბი ხაზგასმულია სხვა. შედარებით მკირე მასშტაბში შესრულებული თხელტანიანი, დაბალი შესასვლელებით გარდა ამისა, ძირითადი საყრდენების სიდიდე ხაზგასმულია ყალიბებით დატოვებული კვალის ნახატივ. ყოველივე ეს ერთად ქმნის სილიადის, ვრანდიოზულობის შეგრძნებას.



# V. ინტერიერის მხატვრული და ნატურალური საშუალებები



## 1. ხელოვნების სინთეზი ინტერიერში

არქიტექტურის, ფერწერისა და ქანდაკების სინთეზი მხატვრული მეტყველების ერთ-ერთი ქმედითი და შთამბეჭდავი საშუალებაა. კონკრეტულ მხატვრულ სახეებსა და სიმბოლოებში გაცილებით ამოწურავად შეიძლება აისახოს ობიექტის შინაარსი, გარდა ამისა, სივრცის, პლასტიკურობისა და ფერის ორგანული შერწყმით და ურთიერთქმედებით შეიძლება მივალწიოთ მეტ გამომსახველობას და ცხოველხატულობას.

თანამედროვე არქიტექტურაში არქიტექტორები ფართოდ განიხილავენ სინთეზს და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ფერწერითა და ქანდაკებით. თავისთავად არქიტექტურული ჩანაფიქრი შეიძლება გამოისახოს პლასტიკური და პოლიქრომული ხერხებითაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სივრცის შექმნასთან ერთად განსაზღვრული მიზნებით შესაძლოა შეიქმნას ისეთი პლასტიკური და ფერადოვანი ურთიერთობა, რომელსაც ზემოქმედების უდიდესი უნარი აქვს.

პოლიქრომითა და მასალის კონტრასტულობით, მათი ფაქტურით გაძლიერებული სკულპტურული პლასტიკა დამახასიათებელია არქიტექტურის ყველაზე პროგრესული ტენდენციებისათვის, და მაინც არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის სინთეზის ამოცანა ინტერიერში კვლავინდებურად აქტუალურია.

საკიროა აღინიშნოს, რომ თანამედროვე არქიტექტურაში პრინციპულად შეიცვალა ინტერიერის სივრცითი მახასიათებლები და, აქედან გამომდინარე, სინთეზის ამოცანებიც. აღარ არსებობს ჩაკეტილი მძიმე კედლები, აღარ არის მოთხოვნა კომპოზიციებზე, რომლებიც ავსებს მთელ ინტერიერს და უნაზღაურებს ადამიანს სივრცეს, რომელიც მას აკლია. ფერწერული კომპოზიციებისათვის განკუთვნილი ადგილი შეზღუდულია. მას არქიტექტორები ირჩევენ როგორც ინტერიერის კომპოზიციურ აქცენტს. ამაშია არქიტექტორებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვამს გამოსახულებას მაყურებელი-მოდრაობისას თუ სტატიკურ მდგომარეობაში, რაკურსში, შემცირებულად, თუ როგორც ფრონტალურ კომპოზიციას დამახინჯების გარეშე.

თანამედროვე მონუმენტური ხელოვნებისათვის მასშტაბურობის პრობლემა ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. გამოსახული საგნების ზომების შერჩევა, მათი ადამიანისადმი და ინტერიერის სივრცისადმი თანაფარდობის დადგენა, დანაწევრების ხასიათის, ე. ი. გამოსახულების მასშტაბურობის განსაზღვრა, მონუმენტური ფერწერის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია. ინტერიერის გამომსახველობითი ხასიათის ჩამოყალიბება დამოკიდებულია გამოსახულების სიდიდის შეფარდებაზე სივრცესთან.

ცხადია, რომ ილუზორული ფერწერა, რომელიც არღვევს სიბრტყეს, არ შეესატყვისება არქიტექტორთა წარმოდგენას თანამედროვე არქიტექტურის ტექტონიკასა და რეალისტურობაზე ამასთან დაკავშირებით, გაჩნდა



მისწრაფება კედლის მატერიალურობის გამოვლენისაკენ. ფართოდ გავრცელდა ხელოვნების ისეთი დარგები, როგორცაა ხეზე ქვა, სხვადასხვა სახის ლითონი, მაიოლიკა და თანამედროვედ გააზრებული მატერიალურობის მქონე მოზაიკაც კი. მათ ახასიათებს გამოსახულების მატერიალურობა, ხელშესახება და პირობითობა.

თანამედროვე ფრესკა, წინანდელთან შედარებით, აღარ ქარბობს ინტერიეში, იგი განიხილება ქანდაკებასთან ერთიანობაში სხვა ელემენტებთან ერთად. ავეჯის, ქსოვილის, იატაკის ფერი საჭიროა დაუმორჩილდეს წამყვან ელემენტს - მონუმენტურ ფერწერას, რომელიც თანამედროვე სინთეზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

ქანდაკება და ფერწერა ინტერიერში არ აღიქმება როგორც სამკაული. ისინი მყოფრებულში უნდა იწვევდეს ძლიერ ემოციებს და არქიტექტურაში უნდა ჩაერთოს როგორც სივრცის ორგანიზაციის უმთავრესი ელემენტები.

არსებობს ინტერიერის მეტად პასუხსაგები ადგილები, რომლებიც აამკარავებს არქიტექტურული ნაწარმოების არსს, უპირატესი ინტენსივობის ადგილები, სადაც მაქსიმალურად არის გახსნილი შინაარსი. სწორედ ეს ადგილებია განკუთვნილი ქანდაკებისათვის.

შემოქმედებითი პროცესის ანალიზი და ზოგიერთი განზოგადება მისი საერთო სახით წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

შემოქმედების საფუძველს ყოველთვის ობიექტის დანიშნულება და შინაარსი შეადგენს. ეს რთული ცნებაა, რომელიც მოიცავს როგორც შენობის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ასევე ობიექტის საზოგადოებრივ და ქალაქმშენებლურ მნიშვნელობას. სწორედ შინაარსი განსაზღვრავს შიგა სივრცის ზომებს, მის კონფიგურაციას და, რაც მთავარია, ინტერიერის მხატვრულ ჩანაფიქრს.

დასახული ზომების საჭირო სივრცის შექმნით შეირჩევა კონსტრუქციები. კონსტრუქცია გვევლინება, როგორც სივრცის ფორმირების მატერიალური საშუალება, როგორც შემომზღუდი ზედაპირი. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში თავისი ფორმებით იგი იმდენად აქტიური და გამომსახველია, რომ უკუქმედებას იწვევს შიგა სივრცის ხასიათზე. ინტერიერი წარმოიქმნება შინაარსის, სივრცისა და კონსტრუქციების რთული ურთიერთკავშირით.

არქიტექტორის შემოქმედებაში ორი უმნიშვნელოვანესი პირობა არსებობს: პირველ ყოვლისა, შემოქმედებითი ჩანაფიქრი მუდამ ობიექტის შინაარსს უნდა ეყრდნობოდეს. არქიტექტორის ამოცანაა მაქსიმალური სიზუსტით გახსნას ეს შინაარსი მეცნიერული ძიების მეშვეობით და აღმოცენებულ მოთხოვნებს სათანადო არქიტექტურული პასუხი გასცეს. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობაა მთავარი ამოცანის გახსნა ინტერიერის მატერიალურ შესაძლებლობებში.

საზოგადოებრივი შენობის შექმნაზე მუშაობა უნდა განვიხილოთ როგორც შენობის დაპროექტების ერთიანი პროცესი, როდესაც წყდება ქალაქმშენებლური და ტიპოლოგიური, სივრცის ფორმირებისა და გარსის შექმნის მეცნიერებისა და ხელოვნების ერთდროულად გადასაწყვე-

ტი ამოცანები. დაპროექტების პროცესის მეთოდის საჭირო პირობაა ამოცანისადმი კომპლექსური მიდგომა, ლოგიკური განსჯის თანამიმდევრობა.

თანამედროვე არქიტექტურამ დიდი შესაძლებლობები შეუქმნა მხატვარმონუმენტალისტებს შიგა სივრცის ფორმირების პროცესში მონაწილეობისათვის, მხატვრის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებების ინტერიერების სხვა ელემენტებთან "შეზრდის" მოთხოვნილებები. ჰგვარად, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდეს ძირითად არქიტექტურულ კონცეფციას. მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ხასიათი განსაზღვრავს დეკორატიული ელემენტების განლაგებას, მათ ზომებს, დეტალიზებას, მასალას, ფერს.

დეკორატიული ლაქები ინტერიერში მისი სივრცითი სტრუქტურის იდეას ავითარებს და ხელს უწყობს ძირითადი კომპოზიციური ხერხის გამოვლენას. დეკორატიული ლაქების განლაგება ხალხის ნაკადების მიმართულებებისა და ძირითადი ღერძების ხაზგასმის საშუალებაა.

არსებობს დეკორის ინტერიერის საერთო კომპოზიციაში ჩართვის რამდენიმე ხერხი: „კუნძულის“ ხერხი გამოსახულების კედლის სიბრტყეზე თავისუფლად განლაგებას გულისხმობს; ფერწერა და პლასტიკა ცალკეულ მონაკვეთებს იკავებს ტექტონიკური სისტემის ლოგიკის მიხედვით (ფრიზები, მეტოპები, სვეტები, ტორსული კედლები).

დეკორის კედელთან დაკავშირების ხერხები მრავალფეროვანია. ერთი მასალის ფარგლებშია კი, მაგალითად, კერამიკის, შესაძლებელია კერამიკული რელიეფების კედლის წყობაში ჩართვის სხვადასხვა ხერხის გამოყენება. კერამიკის გამოყენებით შეიქმნას კონტრასტი ძირითად სიბრტყეზე ან შესრულდეს მოსაპირკეთებელი ფილებით და არ დაირღვეს კედლის ტექტონიკური არსი. კერამიკა შეიძლება იყოს ბრტყელი, ჩაღრმავებული კონტურით, მაღალი რელიეფით და ა.შ.

მრავალფეროვანი კომპოზიციის დროს გამოსახულების სიბრტყეზე განლაგების შემდეგი ხერხებია გამოყენებული:

**ხალიჩისმაგვარი გამოსახულების მეთოდი**, როდესაც ერთ მასშტაბში შესრულებული კომპოზიციის ელემენტები კედლის სიბრტყეს თანაბრად ფარავს. სიბრტყეზე განლაგების ადგილის მიუხედავად, ფიგურები არ მცირდება პერსპექტიულად;

**პწკარული გამოსახულების მეთოდი** გულისხმობს ცალკეული ელემენტების ხედებად დაჯგუფებას. პერსპექტიული დაშორება გადმოიცემა ყოველი დაცილებული ხედის ფიგურების შემცირებით. გამოსახულების პწკარული მეთოდის დროს წინა რიგი, როგორც წესი, კედლის ქვედა ნაწილზეა განლაგებული. დაშორებული ხედები- მის თავზე, ფიგურების ზომების თანდათანობით შემცირებით. პწკარული მეთოდის ასეთი ნაირსახეობის მაგალითია მექსიკელი მონუმენტალისტის დიეგო რივერას ფრესკები;

პწკარული გამოსახულების რამდენადმე გამსხვილებულ ხერხს მიმართავს ლიტველი მხატვარი ვიანაუსკასი ვილნიუსში კაფე „ნერინგას“ ფერწერაში. აქ წინა რიგი „დადებულია“ შორეულზე იმგვარად, რომ შორეული

ხედის მცირე ზომების ფიგურები წინა რიგის ფიგურებს შორის გამოისეკვის;

სიღრმე-სივრცითი მეთოდის შემთხვევაში გამოსახულებების მოცულობითი და ხაზოვანი პერსპექტივის გამოყენებით.

ამა თუ იმ მეთოდის არჩევა, გამოსახულების განლაგება სიბრტყეზე, დეტალების დამუშავების ხასიათი, ხედების გამოვლენა ბევრად არის დამოკიდებული გამოყენებულ მასალაზე და მონუმენტურ-დეკორატიული სამუშაოების ტექნიკაზე, თანამედროვე მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა იყენებს როგორც ტრადიციულ, ასევე ახალ მასალებს. ტემპერასა და ცვილის საღებავებთან ერთად მხატვარ-მონუმენტალისტები ფართოდ იყენებენ ფერადი ცემენტის, ლატექსის, პიროქსილინური და სხვა თანამედროვე საღებავების დეკორატიულ თვისებებს.

მონუმენტურ-დეკორატიულ ფერწერაში თანამედროვე ტექნიკა მასალების სახეობისა და შესრულების მიხედვით განასხვავებს ფრესკას, ტემპერას, ენკაუსტიკას, პიროპიქტურასა და ა.შ.

ფრესკა კედლის კირის ნოტიო შენაღესზე წყლის საღებავებით შესრულებული ფერწერული ნაწარმოებია. საფუძვლის გამკვრივების მიხედვით ფრესკული ფერწერა სამგვარია: ა ლ ფ რ ე ს კ ო - ფერწერა ახლად დადებულ კირის შეღესილზე; ფ რ ე ს კ ო ს ე ე ო - მყარ საფუძველზე დადებულ თხელ ნოტიო შეღესილზე შესრულებული ფერწერა; ა ლ ს ე კ ო - ფერწერა საკმარისად გამკვრივებულ შეღესილზე.

ტემპერა ნატურალურ ემულსიებზე დამზადებული საღებავებით შესრულებული ფერწერაა. ტემპერული ფერწერა ცნობილი იყო ეგვიპტეში ორი ათასი წლის წინათ ჩვენს ერამდე.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა შემკვრელი ნივთიერების შემადგენლობა. ტემპერულ პასტას ხსნიან წყალში და ადებენ წინასწარ მომზადებულ ზედაპირზე. ტემპერას საფუძვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუყაო, ტილო, ხე, ლითონი და ა.შ.

ენკაუსტიკა ფერწერის სახეობაა, რომელიც ცვილის შემაკავშირებელ თვისებებს იყენებს. ეს უძველესი ტექნიკაა, რომელიც ცნობილი იყო ეგვიპტეში ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ჩვენს ერამდე. ცნობილი იყო ენკაუსტიკის სამი სახეობა: გრავირების ხერხი, როდესაც სპილოს ძვალზე გადააქონდათ ნახატი და საჭრისით გაკეთებული ღარები ფერადი ცვილის საღებავებით ივსებოდა; ცხელი ენკაუსტიკის მეთოდის დროს გაღობილი, ცხელი ცვილის საღებავები გადააქონდათ ხეზე, ქვაზე, შეღესილზე, ცივი ენკაუსტიკის ხერხის შემთხვევაში ცივ მდგომარეობაში მყოფი ცვილის საღებავებს უსვამდნენ საფუძველზე, შემდგომი გახურებით.

თანამედროვე მხატვრებმა აღადგინეს ფერწერის ორი უკანასკნელი მეთოდი. მონუმენტური ფერწერის თანამედროვე ოსტატებს ამ შრომატევად და რთულ ტექნიკაში იზიდავს ფერწერული ფენის გამკვირვალობა, ფაქიზი ნიუანსირების შესაძლებლობები (აბრეშუმით), მსუბუქი პოლირების საშუალება. ენკაუსტიკის ფუძედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხე.

კირითა და ცემენტით შეღესილი სიბრტყე. ქვის ჯიშების უმრავლესობა მარმარილო, კარქვები, მკვრივი ტუფები და ა.შ.

**პიროპიტურის** საფუძვლად ჩვეულებრივ იყენებენ ბეტონის ფილებს, რომლებზედაც პნევმატიკური ან ელექტროჩაქუჩით ქმნიან ნახაღს შემქმნელ მდეგ ზედაპირზე ადებენ კერამიკულ ტიქურას და საგანგებო აპარატებით ალღობენ. ამგვარი თერმული დამუშავებით მიიღება კრიალა მინისებრი ზედაპირი, რომელიც სიფაქიზითა და ფერის სიმდიდრით გამოირჩევა.

ინტერიერების გაფორმებისას მხარ-მონუმენტალისტები იყენებენ მოზაიკას, ვიტრაჟს, ინკრუსტაციას, ასევე მიმართავენ როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე მასალებს: სმალტას, მინას, კერამიკას, ბუნებრივ ქვას, ხეს, ლითონსა და თანამედროვე სინთეზურ მოსაპირკეთებელ მასალებს. ქანდაკებას თანამედროვე ინტერიერში ასევე მრავალი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობა აქვს, როგორც ტრადიციული (ქვა, ლითონი), ასევე ახალი, სინთეზურ მასალასთან დაკავშირებული, რომელიც პლასტიკურ დამუშავებას იტანს.

**ვ ი ტ რ ა ე თ ი** სინათლის გამტარი მასალით შესრულებული ორნამენტური და სიუჟეტური დეკორატიული კომპოზიციაა. ვიტრაჟებს აყენებენ ფანჯრისა და კარების ლიობებში, კეთდება ტიხრების ან ცალკე პანოს სახით. ვიტრაჟებით გაფერადებული სინათლე ამდიდრებს ინტერიერს, მას განსაკუთრებულ კოლორიტს ანიჭებს.

ვიტრაჟის თანამედროვე ტექნიკა აერთიანებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ და თანამედროვე ხერხებს. მნიშვნელოვნად შეიცვალა ვიტრაჟის აწყობის ტექნოლოგია. ტრადიციულ გამდნარ ტყვიასთან ერთად შემაკავშირებლად იყენებენ დაარმატურებული ფოლადის ან პლასტმასის ბაბთას, ცემენტსა და რკინა-ბეტონს.

მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **მოზაიკას**. გამოსახულებას ადგენენ ფერადი მინის ნაჭრებითა და სმალტით, ფერადი ქვებით, კერამიკული ფილებით. კომპოზიციის ე.წ. პირდაპირი აწყობისას მასალის ნაჭრები უშუალოდ კედელზე მაგრდება კირის, ცემენტის, მასტიკის (ცემენტისა და ზეთის ნარევის მეშვეობით, ხოლო უკუაწყობისას ქვის, სმალტის, მინის ნაჭრებს პირის მხრით აწებებენ ქალაღზე ან ქსოვილზე და შემდეგ პლასტმად ამაგრებენ სიბრტყეზე. არსებობს ორი ტიპის მოზაიკა: ერთი ტიპის ქვის ან სმალტის კუბებით და მეორე - შაბლონით გამოჭრილი ქვის კერამიკული, მაიოლიკური სხვადასხვა ფორმის ფილებით.

სმალტით შესრულებულ ანტიკურ ტექნიკას „რომაულს“ უწოდებენ, ხოლო ქვის ფილებით აწყობილს - „ფლორენციულს“.

თანამედროვე ინტერიერში ხშირად იყენებენ კერამიკულ პანოებს. კერამიკული პანოების აწყობის ტრადიციული ტექნიკა გამდიდრებულია კერამიკული მასალის პალიტრის გაფართოებით, კომპოზიციური ხერხების მრავალფეროვნებით. ერთმანეთთან შკიდროდ დაწყობილი კერამიკული ფილების გარდა არსებობს ცალკეული ნაჭრებით აგებული და ლიად დატოვებული ნახატი. კომპოზიციაში ხაზგასმულად აქტიურად ჩართულია ნაჭრები და ორნამენტური გამოსახულებანი. ბოლო ხანს სულ უფრო

ხშირად იყენებენ ფერადი კერამიკული ფილებით მოპირკეთებულ ბეტონის რელიეფს.

ბრწყინვალე მოზაიკური პანოები იქმნება ინტარსიის გამოყენებით. ინტარსია სხვადასხვა ჯიშის ხის სოგმანებთან ფირფიტების გამოყენებით მოზაიკაა. მისი ფონია ხის ფარი, რომელზედაც აკრავენ ხის ფირფიტებს ან სოგმანებს. ტექნიკა არაჩვეულებრივი სიფაქიზით, მოხდენილობით გამოირჩევა და ხის ფერწერულ თვისებებს ავლენს.

არანაკლებ ეფექტს იძლევა მერქნის სკულპტურული დამუშავება. ორნამენტული ხასიათის პანო იქმნება მაღალი და დაბალი რელიეფის მოხმარებით.

მონუმენტურ-დეკორატიულ სამუშაოებში ლითონის გამოყენებისას ნაირსახა კომპოზიციებს ვხვდებით. გამოსახულების ხასიათზე დამოკიდებულია კომპოზიციის სახეობები: ხაზოვანი (კონტურული) და ფირფიტაანი.

## 2. მასალა და შაბურა

ფორმა ყოველთვის მატერიალურია. არქიტექტორი შევსებით იყენებს ინტერიერში მასალების მხატვრულ თვისებებს და მათ შესაძლებლობებს, როგორც ინტერიერის გამომეტყველი სახის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას. იგი იყენებს იმ რთულ შეგრძნებათა სიმდიდრეს, რომლებიც წარმოიქმნება ლითონის, ხის, ქვისა და სხვა მასალების აღქმისას.

მასალების თვისებებთან არის დაკავშირებული ისეთი შეგრძნებები, როგორცაა სითბო, სიცივე, წონა და სიმკვრივე, სიხისტე და სირბილე, ფაქტურა და ფერი. რთული ასოციაციის წარმომქმნელი მახასიათებლების კომპლექსი ბუნებრივი მასალის ინტერიერში გამოყენებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ინტერიერში გამოყენებული მასალები შეიძლება იყოს ბუნებრივი წარმოშობის და ხელოვნური. მასალის ამ ორ დიდ ჯგუფად დაყოფა რამდენადმე პირობითია. მაგალითად, ბეტონი და ლითონი სუფთა სახის ბუნებრივ მასალას არ წარმოადგენს. ისინი იმდენად საფუძვლიანად არის ადამიანის მიერ გადამუშავებული, რომ მიღებულია ახალი თვისებები, მაგალითად, მდგრადობა, ამისდა მიუხედავად, ეს მასალები ადამიანისათვის ინარჩუნებს ბუნებრივ საწყისებს. ბეტონის ფაქტურა შედგება ხრეშის, ქვიშისა და ცემენტის ნარევისაგან. ამ შემადგენელი ნაწილებით იგი ცნობილია ადამიანისათვის. იგი აღიქვამს ბეტონის სიმძიმეს, სიმკვრივეს, მის განსაზღვრულ სიცივეს, ხორკლიან ზედაპირს, ხის ყალიბების ანაბეჭდებს.

ბუნებრივი ქვა და ხე გამოშახველია თავისი ნატურალობით, პირველქმნილებით. გრანიტის, მარმარილოს, ტუფის, კირქვის აღნაგობა ინარჩუნებს ბუნების მთელ სირთულეს, მრავალფეროვნებას, გამოშახველობასა და ძალას. ხეს კი, რომლის განივი თუ გრძივი ქრა ზრდის მაჩვენებელია, განსაკუთრებული სილამაზე, ბუნებრიობა და სითბო ახასიათებს.

საზოგადოებრივი შენობების ინტერიერებში ბუნებრივი მასალის ვარა და ფართოდ გამოიყენება ხელოვნური, როგორცაა პლასტიკები, ფისე;

ბი, ხელოვნური საღებავები, სხვადასხვა სახის შენადნობები, მუჟაო, უღი-  
დესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ შესაძლებელი გახდა ხელოვნური მასალის ისეთი თვისებების რეგულირება, როგორც ნაფერო, მდგრადობა, წონა, სიხისტე, სირბილე, ფაქტურა და ა.შ.

ამჟამად ხელოვნური მასალები ხასიათდება ადამიანისათვის გასაგები და აღსაქმელი თვისებებით: პრიალა სარკისებრი, რბილი, მჭრქალი, ნებისმიერი ნახატის მსხვილმარცვლოვანი ფაქტურით და ფაქიზ ნიუანსებში გამოსახული ნებისმიერი ფერით. ამ თვისებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ინტერიერებში გამოყენების თვალსაზრისით.

საშენი მასალების წონა და მდგრადობა ორი ურთიერთდაკავშირებული უმნიშვნელოვანესი თვისებაა, რომლებიც თავის გამოხატულებას პოულობს კონსტრუქციებში, მათ რაციონალურ, ლოგიკურ წყობაში.

არსებობს მასალები, რომლებიც სითბოს შევრძნებას იწვევს - ხე, ბუნებრივი ტუფი, კორპი და ცივი მასალები - გრანიტი, ლითონი, მარმარილო. ასეთი წარმოდგენები მასალებზე დაფუძნებულია კაცობრიობის უზარმაზარ გამოცდილებაზე, პირად შევრძნებებზე, ადრე ჩამოყალიბებულ შევრძნებებზე და არეკლავენ მასალის ფაქტიურ არსს, რომელიც ვლინდება ისეთ თვისებებში, როგორცაა წონა, თბოგამტარობა და სხვაგალითად, ინტერიერში გამოყენებული ხის მასალა ადამიანს გარკვეული აღქმით ანიჭებს სითბოს, სირბილეს. ხის ეს თვისება ხშირად არის გამოყენებული საქართველოში აშენებულ ნაგებობებში, სხვადასხვა სახის დარბაზებში, აუდიტორიებში, კაფე-რესტორნებში. უმრავლეს შემთხვევაში ხალხურმა ტრადიციებმა თანამედროვე ტრანსფორმაცია განიცადა.

იქ, სადაც ადამიანი სივრილეს ეძებს, ცდილობს ინტერიერში გამოიყენოს შევრძნებით ცივი მასალები - ბუნებრივი ქვა, მარმარილო, გრანიტი, აგური, და მუშავებელ ზედაპირიანი ბეტონი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერიერში მასალების ისეთი თვისებების გამოყენებას, როგორცაა სირბილე და მასთან დაკავშირებული ხმაურის ჩახშობის შესაძლებლობა ან პირიქით, მასალის სიხისტე.

ისეთ მასალებს, როგორცაა, ტყავი, ხე, კორპი, მოსაპირკეთებელი ფანერი იყენებენ დასვენებისათვის გამოიზნულ სათავსებში, -სადგურებში, სადაც უნდა სუფევდეს სეწყნარე, სიმშვიდე, სადაც გარემოცვის უშუალოდ უნდა მოხსნას დაძაბულობა, დააწყნაროს ადამიანი. ხისტი მასალები კი-გრანიტი, ბეტონი, ლითონი, მინა, გამოიყენება ოფიციალურ სათავსებში, დიდი ზომის ვესტიბიულებში, პოლებში, სადაც ადამიანი მოკლე დროს დაჰყოფს და გარემომცველი სივრცე არ ღლის მას, უფრო მეტად კი ხაზს უსვამს კონტრასტებს, აძლიერებს შთაბეჭდილებას.

ინტერიერში მასალების გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

პირველ ყოვლისა, საჭიროა მასალის შესატყვისობა ინტერიერთან. ისინი უნდა შეესაბამებოდეს შენობის შიგნით მიმდინარე პროცესებს. ამავე დროს მათი გამოშახველობა და თვისებები ხელს უნდა უწყობდეს არქიტექტორის ჩანაფიქრის გამოვლენას.

ვესტიბიულებს განსაკუთრებით შეესაბამება უხეშად თლილი ქვა, რომელსაც გადავყავართ ქუჩიდან შიგა სივრცეში, ხოლო სამუშაო ოთახებსა და აუდიტორიებში მართებულია რბილი ნათელი ფერის, ნეიტრალური შელესვა, რომელიც ხელს უწყობს ყურადღების გამახვილებას. საჭიროა საუბარზე, ლექციაზე, რა თქმა უნდა მოტანილი მაგალითები სადისკუსიოა.

საჭიროა მიგნებულ იქნეს სხვადასხვა მასალის პარმონიული შეთავსება, ინტერიერში მთავარი, წამყვანი მასალის ხაზგასმა. შესაძლოა ეს იყოს ხით მოპირკეთება, აგურის წყობა და ა. შ. მეორეხარისხოვანი მასალა უნდა შეირჩეს მთავართან შესაბამისობაში. ეს შეიძლება გამოიხატოს მასალების კონტრასტულ დაპირისპირებაში, მაგალითად, ხის დაპირისპირება ლითონთან, აგურთან, ქვასთან ან სხვადასხვა ჯიშის ხის, სხვაგვარად დამუშავებული ქვის, პლასტიკატების ნიუანსურ შეჯერებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მასალის შერჩევას, არამედ მისი რაოდენობის დადგენას გადაქარბების გარეშე, საჭიროების ფარგლებში.

### 3. დეკორატიული ქსოვილები

ქსოვილი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, მონაწილეობს ინტერიერის არქიტექტურულ-გეგმარებით ორგანიზაციაში, გავლენას ახდენს მის ემოციურ წყობაზე, ფერზე. ქსოვილის ინტერიერში ჩართვისას მხატვრული ამოცანები უტილიტარულთან ერთიანობაში წყდება. ქსოვილის უტილიტარული დანიშნულება, მაგალითად, ის რომ ფანჯრის დიდ ლიობებში ის არეგულირებს სინათლისა და სითბოს რაოდენობას, შესაძლოა მათი გამოყენება დასაყვე ტიხრებში, ავეჯის, იატაკის, კედლების შესაბამისად. ქსოვილებისადმი წაყენებული მოთხოვნები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკურია.

გობელენები, ხალიჩები, ფარდის ქსოვილები, ავეჯის შესამოსი ქსოვილები გამოირჩევა ფაქტურული მახასიათებლებით, განსხვავებული ფერით, მეტ-ნაკლები გრაფიკულობით. ყოველივე ეს ქსოვილის აქტიური გამოყენების საშუალებას იძლევა ფუნქციური ზონირებისათვის, ინტერიერის კომპოზიციის დასრულებული სახის მიღწევისათვის, აქცენტების გამოსაყვანად. ქსოვილი აქტიურად მონაწილეობს შიგა სივრცის ილუზორულ ტრანსფორმაციაში. შორიშორს განაწილებულნახატიან იატაკზე დაგებული ხალიჩა ილუზორულად ზრდის სათავსის სივრცეს. ხშირნახატიანი მცირე ხალიჩა საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა. შესაძლოა ვიწრო სათავსის გაფართოება, თუ გამოვიყენებთ განივზოლიან ხალიჩას. ტორსის კედელზე დამაგრებული ვერტიკალურზოლიანი ფარდა მხედველობით ზრდის სათავსის სიმაღლეს. იმავე ილუზიას ქმნის იატაკამდე ჩამოსული ფანჯრის ფარდა. ოთახის სივანეს კი ზრდის ფანჯრის ფარდა, რომელიც იატაკამდე არ აღწევს.

ფერადი ქსოვილები ინტერიერის კოლორიტული გადაწყვეტის საშუალებაა. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ქსოვილის ნახატის სიდიდე და





კონტრასტულობა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასშტაბის მიჩვენებად.

ავეჯის გადასაკრავად უშვებენ ფაქტურით და ფერით გახსენავებულ ქსოვილებს. საავეჯო ქსოვილების კატალოგებში ნაჩვენებია ნეიტრალური, აქრომატული ნიმუშები და სუფთა ფერით გაჯერებული ქსოვილები. ფერით გაჯერებული, დიდნახატიანი ქსოვილების გამოყენებას შეუძლია ავეჯი აქციოს ინტერიერის მნიშვნელოვან და ზოგჯერ კი წამყვან ელემენტად. ამგვარი საავეჯო ნაკეთობანი ადვილად ერთვის ინტერიერის ანსამბლში იმ შემთხვევაში, თუ ავეჯის შესაბამისი ქსოვილის ნახატი თანამასშტაბურია თანამედროვე სტანდარტული ავეჯისადმი. ყველაზე მეტად გავრცელებულია ერთტონიანი ან ფაქტურული გადასაკრავი ქსოვილები.

იატაკის ხალიჩა მხოლოდ დეკორატიულ ელემენტს არ წარმოადგენს, მას პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. იგი ათბუნებს იატაკს, ახშობს ფეხის ხმას, საცხოვრებელ სათავსებს ანიჭებს ინტიმურობას და მყუდროებას. ხალიჩები გამოყოფს ფუნქციურ ზონებს, აერთიანებს ცალკეულ საავეჯო ნაკეთობებს. ხალიჩის ხარისხსა და ნახატს ირჩევენ სათავსის ზომებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

თანამედროვე ხალიჩებზე რთული გამოშახველობითი და ორნამენტული ნახატი შეიცვალა მსუბუქი პირობითი ნახატებით, ლაქების თავისუფალი ასიმეტრიული განლაგებით, აღარ იყენებენ ჩარჩოსა და ცენტრალურ კომპოზიციებს. ფართოდ გავრცელდა ხალიჩები, რომლებიც მთლიანად ფარავს სათავსის იატაკს. კედლისა და იატაკის ხალიჩები ინტერიერის აქტიური დეკორატიული ელემენტებია.

ინტერიერში ქსოვილების გამოყენებისას ანგარიშს უწევენ მათი გრაფიკული თანაფარდობის კანონს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრებლის ინტერიერში, სადაც ავეჯის გადასაკრავი, იატაკზე დასაფენი ქსოვილი, ფარდის ლაქა ერთდროულად ხედება ხედვის არეში. საჭიროა, რომ ძირითადად ორნამენტულ დატვირთვას ერთი ელემენტი იღებდეს თავის თავზე. ასე, მაგალითად, თუ ავეჯის გადასაკრავ ქსოვილზე მსხვილი ნახატია დატანილი, საჭიროა ერთი ტონის ხალიჩა და ფარდების რაც შეიძლება წყნარი ნახატი. პირიქით, თუ ავეჯის გადასაკრავი ერთ, გლუვ ტონშია შესრულებული, მაშინ საჭიროა ფარდებისა და ხალიჩის დეკორატიული ლაქის შეყვანა ინტერიერში.

დეკორატიული ქსოვილი, რომელიც კომპოზიციის ძირითადი ელემენტია, ინტერიერში ჩაირთვება ფერადოვანი გამისადმი დაპირისპირებით ან ნიუანსური პარმონიის პრინციპებით. შესაძლებელია მესამე გზაც, როდესაც დეკორატიული ქსოვილი ინტერიერის დანარჩენი ელემენტების შემაკავშირებელ რგოლად იქცევა.

საინტერესოა ხალხურ მოტივებზე შექმნილი თანამედროვე ქსოვილები. ნაციონალური ტრადიციების გამოყენების გზები მრავალნაირია, მათ შორის - ხალხური ქსოვის ხერხების იმიტაცია, მისი ფერადოვანი, ორნამენტული და რიტმული წყობის შენარჩუნებით. ფართოდ გამოიყენება სხვა ხერხებიც, როდესაც ტრადიციული მასალისა და ტექნიკის საფუძველზე იქმნება თანამედროვე მონუმენტური ხელოვნების კანონებს დამორჩილებული.



ბული კომპოზიციები. ასეთ მაგალითს იძლევა თბილისის სასტუმრო "ივერიის" კაფე და საბანკეტო დარბაზი, რომელთა ინტერიერებს თვითმყოფადი კოლორიტი შესძინეს იქ გამოყენებულმა ქეჩამ და ჯობილებმა. შესრულების ხასიათით განსხვავებული დეკორატიული ქსოვილები ითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას მათი ინტერიერის ტექნიკურ სისტემაში ჩართვისას.

#### 4. ინტერიერის გამწვანება

თანამედროვე ინტერიერისათვის დამახასიათებელია გამწვანების ელემენტების აქტიური ჩართვა, მათი ესთეტიკური და პიგიურული თვისებების გამოყენება. ზოგიერთ ინტერიერში გამწვანებას ნეიტრალური მდგომარეობა აქვს, ხოლო ბუნებრივი კომპოზიციის მნიშვნელობის გაზრდისას და მისი სხვა ელემენტებთან თანასწორობის შემთხვევაში გამწვანება შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი ვახდეს: გამწვანების როლის გაზრდისას თავს იჩენს მისი მზარდი აქტიურობა ინტერიერის ხასიათის ჩამოყალიბებაში.

გამწვანების ჩართვა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერებში ისახავს შემდეგ მიზნებს: შექმნას ოპტიმალურად კომფორტული პირობები; გააუმჯობესოს შიგა სივრცის მხატვრული გამომსახველობა; ხელი შეუწყოს ფუნქციურ ორგანიზაციას. ადამიანის ორგანიზმზე გამწვანების გავლენის ამგვარი კომპლექსური შეფასება გამწვანების რაციონალური სისტემის არჩევის საშუალებას იძლევა.

ინტერიერის კომფორტული პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება გამწვანების არჩეული სისტემა აქ მიმდინარე ადამიანის საქმიანობას. ითვლება, რომ ნეიტრალური ბუნებრივი გარემო სათავსებში გამართლებულია გონებრივი მუშაობისა და ძილისათვის. აქტიური დასვენებისათვის მეტად მიზანშეწონილია კარგად გამწვანებული ინტერიერები.

გამწვანების ელემენტების ინტერიერში ჩართვის რამდენიმე მეთოდი არსებობს: ცალკეული მცენარეების გამოყენება; მწვანე ჭვავების ჩართვა; ბუნებრივი კომპოზიციების შექმნა.

1) ცალკეული მცენარეების ან მათი კომპოზიციების ინტერიერში ჩართვისას იყენებენ ლარნაკებს, სხვადასხვა სახის დამკერებს, სხვადასხვა ფორმის ქვესაღამებს. მრავალნაირია მათი ინტერიერში განთავსების ხერხებიც. მათ ათავსებენ იატაკზე ან საგანგებო პოდიუმებზე. პოდიუმები სხვადასხვა მასალისა და ფორმისაა. მათ აკეთებენ კერამიკის ან პლასტმასის ფილებისაგან აგურით, ხით, ბუნებრივი ქვით. პოდიუმებზე იქმნება კერამიკული ან მინის ვაზებში მოთავსებული დეკორატიულ-ფოთლოვანი ან ყვავილოვანი მცენარეების კომპოზიციები.

ფორმით, მასალითა და კონსტრუირების მეთოდით მრავალფეროვანია ვაზები და ყუთები, რომლებსაც ამზადებენ კერამიკისაგან, მსუბუქი ბეტონისა და ბუნებრივი მერქნისაგან. ყუთები კეთდება როგორც მასიური, ასევე მსუბუქი, მოძრავი (სასადილოებში, სკოლების რეკრეაციებში, საცხოვრებელ ინტერიერებში). გავრცელებულია თავისებური მაგიდა-ყუთე-



ბის გამოყენება მცირე ზომის სათავსებში, სამუშაო ოთახებში, სათავსებში, სადაც ხალხის ინტენსიური მოძრაობაა, მიზანშეწონილია მცენარეულობის კედელზე შეკიდული განლაგება. ისინი მაგრდება ცელსულოზის ჩგუფებად და შესაძლებელია მათი შეთავსება მერქნის, ბამბუკის თუ ლერწმის კომპოზიციებთან. გამწვანებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვერტიკალურ კომპოზიციებში. საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში ხშირად საჭირო ხდება ფუნქციური ზონის გამოყოფა ერთიან, განუყოფელ შიგა სივრცეში. სხვადასხვა სახის ეკრანების, შირმების, გამკვირვალე და ნახევრად გამკვირვალე ტიხრების მოწყობისას ხშირად იყენებენ ყვავილებსა და მცენარეებს. მუდმივად სახეცვალეხადი, ცოცხალი, მოძრავი მწვანე ელემენტი ხაზს უსვამს ხისა და ლითონის ცხაურების სიმარტივეს, კონტრასტს ქმნის თანამედროვე ინტერიერების გეომეტრიულ სიმბრტყეებთან და სივრცით ფორმებთან დაპირისპირებისას. მწვანე ტიხრების მოწყობისას არქიტექტორის წინაშე გამწვანების, ცხაურის ნახატისა და მისი ტირაჟირების თანაფარდობის ამოცანა დგას.

თანამედროვე ინტერიერებში გამწვანების ფართო გამოყენება იმით აიხსნება, რომ უტილიტარული და მხატვრული ფუნქციების გარდა იგი ხელს უწყობს ადამიანის დასვენებას, მის ფსიქოლოგიურ განმუხტვას. ინტერიერის გამწვანება ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადამიანის მისწრაფებას შეკეტილი სივრციდან ღია ჰაერისაკენ, ბუნებისაკენ. ამ მისწრაფებას ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ზამთრის ბაღებისა და ღია შიგა ეზოების მოწყობა. ასე, მაგალითად, მოსკოვის პიონერთა სასახლის ვესტიბიულთან შეთავსებული ზამთრის ბაღი კომპოზიციის ნამდვილი ბირთვია.

### 5. შპრი

ფერი საზოგადოებრივი შენობების ინტერიერში სერიოზული პრობლემაა. ფერთა შეხამება, ფერის მონაწილეობა ინტერიერის კომპოზიციაში, საერთოდ ინტერიერისა და განსაკუთრებით საზოგადოებრივი შენობის ინტერიერში, სადაც ადამიანი პერიოდულად იმყოფება, სადაც გამოირიცხულია მათი შერჩევა-ინტერიერის კომპოზიციის შექმნის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია.

ფერი ყველა ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და აქტიურად მონაწილეობდა არქიტექტურული კომპოზიციის ჩამოყალიბებაში. ფერის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა თანამედროვე არქიტექტურაში მისთვის დამახასიათებელ მოცულობის ლაკონიზმისა და პლასტიკურ დანაწევრებას მოკლებული სიმბრტყეების დომინირების გამო.

თანამედროვე ინტერიერის ფერთა კომპოზიციები მრავალფეროვანია. იმის მიხედვით, თუ რა ჩანაფიქრი აქვს არქიტექტორს, კომპოზიციის ფერადი ბირთვი შეიძლება გახდეს ინტერიერის ნებისმიერი ელემენტი. განსხვავებულია სხვადასხვა ფერის მქონე მოსაპირკეთებელი მასალის შერჩევაც, რომლის ერთი ნაწილი რბილ კოლორიტს ქმნის, ხოლო მეორე ინტერიერს ფერით აჭერებს.



არქიტექტორმა უნდა იცოდეს, რომ მის მიერ შერჩეული ინტერიერის ფერთა კომპოზიცია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანს, მზღმისუნარიანობაზე, განწყობაზე, ინტერიერის ფერადოვანი სქემა უნდა იყოს მეცნიერების მიღწევების საფუძველზე. დამპროექტებლების განკარგულებაში არსებული თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალების მდიდარი ფერთა ვაშა საშუალებას იძლევა ყოველმხრივ გავითვალისწინოთ დასახული ამოცანები - სათავსის დანიშნულება, ზომები, ბუნებრივი განათება, ორიენტაცია, ადამიანის სათავსოში ყოფნის ხანგრძლივობა და სხვა პირობები.

ფერების შრავალსახეობა პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. აქრომატული ფერები, რომლებსაც ეკუთვნის თეთრი, შავი და შავისა და თეთრის შერევით მიღებული რუხი ფერის ყველა გრადაცია;
2. ქრომატული - სპექტრის ყველა ფერი და მათი ერთმანეთის ნარევი და თეთრისა და შავის დამატებით მიღებული ფერები.

ცალკეული სათავსების ან მთლიანად არქიტექტურული ნაგებობის ფერადი სქემის შერჩევისას მხედველობაში ღებულობენ ფერის ფსიქოლოგიურ გავლენას ადამიანზე. სხვადასხვა ფერზე ადამიანის ორგანიზმის რეაქცია არქიტექტორს ეხმარება ინტერიერში ოპტიმალური ფერადოვანი კლიმატის შექმნაში. ფერის აღქმით გამოწვეული ემოციური რეაქცია აიხსნება ადამიანის მიერ დაგროვილი გამოცდილებით, მისი ასოციაციური უნარით, მეხსიერებით. ზოგიერთი ფერი ალაგზნებს ადამიანს, ზოგიც აწყნარებს. პირველებს ეკუთვნის წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, აწყნარებენ ლურჯი, ცივი მწვანე ფერები.

ასოციაციები საფუძვლად უდევს სპექტრის თბილ და ცივ ფერებად დაყოფას. ასე, მაგალითად, ცივ ფერებს განეკუთვნება მწვანე, მომწვანო-ციცინფერი, ლურჯი; თბილებს - მოყვითალო-მომწვანოდან მეწამულ-წითლამდე.

სხვადასხვაგვარად დაფერილი ერთი და იმავე ზომის საგნები განსხვავებული სიდიდის ჩანს, ე.ი. შესაძლებელია ვიმსჯელოთ ფერებზე, რომლებიც ილუზორულად აღიღებენ ან ამცირებს საგანს სივრცეში. ორი ერთი და იმავე ზომის საგნიდან, რომელთაგან ერთი ნათელი, ხოლო მეორე მუქი ფერითაა შეღებილი, ნათელი საგანი უფრო მოზრდილად ჩანს. კიდევ უფრო მცირედ გამოიყურება რამდენიმე ფერად შეღებილი საგანი.

საგნის სიდიდე ილუზიასთან არის დაკავშირებული მისი წონის შეგრძნებაც. ნათელი საგანი მუქზე მსუბუქი გვეჩვენება. ამგვარად შეიძლება გამოიყოს მსუბუქი და მძიმე ფერები.

ხედვითი ილუზიით აიხსნება სიბრტყის მოახლოების ან დაშორების ეფექტიც. ამ ეფექტს იყენებენ სათავსის პროპორციებისა და ზომების ილუზორული შეცვლისათვის. ფერით მეტად გაჯერებული სიბრტყე უფრო ახლოს მდებარედ ჩანს, ვიდრე ნაკლებად გაჯერებული. ნათელი ცივი ტონალობა მხედველობით აღიღებს სივრცეს, ხოლო გაჯერებული თბილი ფერები - ამცირებს. ფერის აღქმის თავისებურება მუდმივი არ არის. იგი იცვლება ფერის ზეგავლენისადმი ადამიანის ადაპტაციასთან ერთად.

ინტერიერის ფერადოვანი კომპოზიციის თავისებურება ისაა რომ დაფერილია სივრცის შემომფარგვლელი არქიტექტურული ელემენტები (იატაკი, ქერი, კედლები, ავეჯის განლაგება). გარდა ამისა, ინტერიერის ფერის აღქმაზე ზემოქმედებას ახდენს ბუნებრივი განათება, სათავეს სიდიდით ხოლო საღამოს - ხელოვნური განათების წყაროები. თანამედროვე ინტერიერში ფერის როლი იმიტომაც გაიზარდა, რომ ქერიდან და კედლებიდან გაქრა პლასტიკური დანაწევრება (კარნიზები, ორნამენტული ფრიზები, სხვადასხვა სახის პროფილები და ა. შ.) და მათი ზედაპირები საერთო არქიტექტურულ კომპოზიციებში ახსკეროდ აღიქმება ფერის, ფაქტურის, მოხუნტებული დეკორატიული ელემენტების წყალობით. ინტერიერის ფერადოვანი კომპოზიციის სრულიად ახლებურად აისახება იატაკი, რომელიც აქამდე ნეიტრალურ ხასიათს ატარებდა, რაც მასობრივ მშენებლობაში განპირობებულია ხის პარკეტის ბუნებრივი ფერით ან ზეთის საღებავის ტრადიციული ფერებით ფიცრულ იატაკზე.

სხვადასხვა სახის პლასტიკური დანაწევრებისა და მაღალი ავეჯისაგან განთავისუფლებულ კედლებს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ინტერიერის ფერადოვან ანსამბლში. ასე, მაგალითად, ზოგჯერ განათების სხვადასხვა პირობებში მყოფ კედლებს განსხვავებულად დაფერავენ. ზოგიერთ შემთხვევაში ინტენსიური ფერით გამოყოფილია ერთი კედელი, რომელსაც წამყვანი კომპოზიციური ადგილი ენიჭება იმ დროს, როდესაც დანარჩენი კედლები შედარებით ნეიტრალურად არის დაფერილი.

ფერი შიგა სივრცის სახეცვლილების, პროპორციების კორექტირების საშუალებას იძლევა. მეტისმეტად გრძელი კორიდორის "დამოკლება" შესაძლებელი ხდება ტორსული კედლის სათანადოდ შეღებვით და პირიქით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მქრქალი ტონები მხედველობით აფართოებს სათავეებს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ოთახში ჩნდება ლოკალური კაშკაშა ფერადოვანი ლაქა.

მცირე სათავეების კედლებისა და ქერის ერთიანი ნათელი ტონი მხედველობით ზრდის მის სიმაღლეს, თუკი სათავეს მეტისმეტად მაღალია, მისი „დადაბლება“ შესაძლებელია, თუ ქერი და კედლების ზედა ნაწილები ერთ ფერში შეიღებება, ხოლო კედლების დანარჩენი ნაწილი - კონტრასტულ ფერში. კედლის სიმაღლეზე ფერით დაყოფა ამცირებს სათავეს სიმაღლეს. ამიტომ - მხოლოდ ეკონომიური მოსაზრებებით დასაბუთებულ პანელებს შეუძლია მნიშვნელოვნად დაამახინჯოს ოთახის პროპორციები.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ სიბრტყეები, რომლებიც სივრცეს ერთდროულად შემომფარგლავენ, არ ზედება ადამიანის ხედვის არეში. ქერი თითქმის არ იქცევს ყურადღებას, ხოლო იატაკი და კედლები თითქმის მუდმივად აღიქმება. ამასთან, ქერს მხოლოდ შემომზღუდავი და ფერადი სიბრტყის როლი კი არა აქვს, იგი ამავე დროს ბუნებრივი და ხელოვნური სინათლის ამრეკლავი სიბრტყეა. ამიტომ იმ სათავეებში, სადაც განათების მაღალი დონეა საჭირო, ქერს ნათელ ტონებში ღებავენ (ტონირებული თეთრი ფერი მაქსიმალურად არეკლავს სინათლის სხივებს).

დაფერვის სქემები მეტწილად სათავეების დანიშნულებაზეა დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ინტელექტუალური მუშაობისათვის გათვალისწინ-

ნებულ სათავსებში რეკომენდებულია მიხლოვებულ ფერებზე ყვითელ - ნარინჯისფერიდან მომწვანო-ცისფერ ტონამდე-აგებული სქემის გამოყენება. ცივი ფერების გამას ფართოდ იყენებენ სამუშაოების სრულყოფილად დაკავშირებულ საწარმოო საამქროებში და დაძაბულ მხედველობით აქტივობასთან დაკავშირებულ სათავსებში. ფერებით მეტნაკლებად გაცხერება დამოკიდებულია სათავსებში ადამიანთა ყოფნის ხანგრძლივობაზეც. დროის გასატარებლად და აქტიური დასვენებისათვის განკუთვნილ სათავსებში, სადაც ხალხი მკირე ხნით იყრის თავს (კაფე, საცეკვაო დარბაზი, კინოთეატრის, კლუბის ფოიეები), ხშირად იყენებენ კაშკაშა და კონტრასტულ კომპოზიციებს, ფერებს, რომლებიც ხელს უწყობს განსაზღვრულ ნერვულ აგზნებას. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ უნდა მიემართოთ მყვირალა კრულ შეხამებას და დაეარღვიოთ ფერადი პარმონიის მხატვრული პრინციპები.

ამა თუ იმ სათავსის საერთო კოლორიტის არჩევისას მეტად მნიშვნელოვანია მისი ქვეყნის მხარეების მიხედვით ორიენტაციის გათვალისწინება. ორიენტაციის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა საცხოვრებელი ოთახების შესაღები ფერების არჩევისას. ჩრდილოეთისაკენ გაშვებული ოთახის დაფერვა რეკომენდებულია თბილ ტონებში. თუ მოყვითალო ან მონარინჯისფერ ტონებია შერჩეული, ოთახი უფრო ნათელი მოჩანს. საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ განათების წყაროს შეცვლისას ზოგიერთი ფერი საგრძობლად იცვლება. მაგალითად, მზით განათების ხელოვნური სინათლით შეცვლისას თბილი ფერები ნათელი ხდება, ხოლო ცივი ფერები მუქდება. თბილი მომწვანო ფერები არ იცვლება, წითელი კი უფრო გაცხერებული ხდება. ხელოვნური განათებისას ღია ყვითელ ფერს თითქმის ვერ გააჩნევთ თეთრისაგან, ნარინჯისფერი წითლდება, ლურჯი ფერი ნაკლებად გაცხერებული ხდება, ცისფერი მწვანდება, მუქი ლურჯი ფერი შავისკენ მიისწრაფვის, იისფერი მეწამულს უახლოვდება, ე.ი. მეტად თბილი ხდება.

ზოგიერთი ფერი იცვლება აღქმის მანძილის შეცვლით: მეწამული, ლურჯი და იისფერი მუქდება, ყველა დანარჩენი ფერი კი დაცილებისას ნათელი ხდება.

არქიტექტორის მიზანია ერთიანი ფერადოვანი ანსამბლის შექმნა, სადაც გამოვლენილია მთავარი, წამყვანი ფერადოვანი თემა, რომელსაც მეორეხარისხოვანი შემადგენელი ფერები ემორჩილება. ინტერიერის ფერადოვანი კომპოზიცია შესაძლებელია შეიქმნას ნიუანსური შეხამებით ან კონტრასტული დაპირისპირებით.

ფერების ამა თუ იმ პარმონიული წყობის გამოყენება დამოკიდებულია სათავსის დანიშნულებაზე, ზომებსა და პროპორციებზე, იმ ადამიანების ხასიათსა და მოღვაწეობის ხასიათზე, რომლებიც ამ სათავსით სარგებლობენ. მკირე ზომის სათავსებში სასურველია ნათელი ფერებით შექმნილი ნიუანსური პარმონიის გამოყენება. საპირისპირო ფერების კონტრასტები დიდ სივრცეს მოითხოვს.

ფერის აღქმის ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მოთხოვნები და, აგრეთვე, ფერადოვანი პარმონიის თეორია საფუძვლად უნდა დაედოს ინტერიერის შექმნას და, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ნაგებობის ინტერიერებს. ფერის ფუნქცია ინტერიერში მეტად რთულია. ადამიანის

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ფერადოვანი კომპოზიცია შესაძლებელია სიმალურად უნდა გამოხატავდეს ობიექტის შინაარსს.






## 6. ბანათება

სინათლე ინტერიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, სინათლის მნიშვნელობა ინტერიერისათვის ცილდება კომფორტის მოთხოვნილებების საზღვრებს. სინათლეს განწყობილების სრულიად განსხვავებული ელფერის შექმნის უნარი შესწევს. იგი შეიძლება იყოს მოლუშული და საიდუმლო, ინტიმური და განმუხტავი, ავზნებადი და გამამხნევებელი. სინათლის ემოციური ზემოქმედების თვისებები ძველთაგან იყო ცნობილი. სინათლის ყველა წყაროს - ღამე დაღთებულ კოცონს, მზის სხივს, სინათლის აღს თავისებურად იყენებდნენ ინტერიერში.

სათავისი განათებისადმი წაყენებული მოთხოვნები და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებები კარდინალურად იცვლებოდა ისტორიის მანძილზე. ჩვენ დროში ჩამოყალიბდა სამშენებლო ფიზიკის დარგი - შუქტექნიკა, რომელიც შეისწავლის ოპტიმალური განათებულობის მეცნიერულ კრიტერიუმებს. შუქტექნიკა ეყრდნობა თანამედროვე განათების მაღალ ტექნიკურ შესაძლებლობებს და განათებულობის საუკეთესო კლიმატის შექმნის პირობებს ასაბუთებს.











შედარებით რთულია ინტერიერში სინათლის მხატვრული თვისებების ნორმირება, რადგან ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ხელოვნების ყველა დარგში, სუბიექტური ფაქტორების როლი სკარბობს, რაც ზუსტი კრიტერიუმების დადგენას გამორიცხავს. აუცილებელია, რომ ინტერიერის განათების უმდიდრესი თანამედროვე პრაქტიკით ვისარგებლოთ და გიმოვიმუშაოთ ზოგიერთი განზოგადება და დასკვნები სინათლის მონაწილეობაზე მხატვრული სახის შექმნაში. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სინათლის ხარისხობრივი მაჩვენებლები (პირდაპირი, გაბნეული და არეკლილი სინათლე). ამ პოზიციებიდან შეისწავლება განათების ზოგიერთი ხერხი თანამედროვე პირობებში.

ბუნებრივ განათებას ყოფენ გვერდით და ზემო განათებად, ხოლო მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები დაკავშირებულია ორიენტაციასა და ბუნებრივ გარემო მახასიათებლებზე. ფანჯრიდან პირდაპირი მზის სხივები მიიღება ფანჯრის ლიობის სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორიენტაციისას. ზემოდან პირდაპირი სხივების მიღება შესაძლებელია საგანგებოდ მოწყობილი ლიობების მეშვეობით, სადაც მიმმართველი კონტურები თანხვედება მზის სხივების მიმართულებას, მზის პირდაპირი სხივები ხელს უშლის მეცადინეობას, აბრმავებს და ამასთან ერთად, ქმნის საზეიმო განწყობას. აქედან მომდინარეობს მისდამი გაორებული დამოკიდებულება. მზის სხივს იქერენ შუქრდილის ცხოველხატული დაპირისპირების მისაღებად იქ, სადაც ის ხელს არ უშლის მეცადინეობას და პირიქით, შრომისა და სწავლისათვის განკუთვნილ სათავსებში აწყობენ საგანგებო მზის საცავეებს.



ნახ.37. განათების წყაროების ტიპები: 1-ჩვეულებრივი ნათურები; 2-მეტალოჰალოგენური ნათურები; 3-ლუმინესცენციური ნათურები; 4-სანათების ტიპები.

4

შანიონი	ფარის	საღრმე ანუ კარბ	პარიონი	ბეჭათი
				
მალაქი	ბეჭათები	მეშენებელი		
				



არეკლილი ბუნებრივი სინათლის მიღება შესაძლებელია საგანგებო ამრეკლავი სიბრტყეების მოწყობით. ამ გზით მიღებული წყნარი და თანაბარი სინათლე მეტწილად მისაღებია სასწავლო და სამუშაო ოთახებში. იგი საგრძობლად ზრდის განათებულობას და ამავე დროს გამოიციხავს დაამბრმავებელი მზის ათინათებს.

გაბნეული სინათლე ცის გუმბათიდან არეკლილი სინათლეა. იგი ყველაზე რბილი, წყნარი და მოდუნებულოც კი არის, რომელიც ფორმებს არ ავლენს და ამდენად მიზანშეუწონელია ძლიერი პლასტიკის არსებობისას. ამასთან იგი მეტად ხელსაყრელია შრომისათვის, ვინაიდან არ ღლის თვალს. მისი მიღწევა ასევე შესაძლებელია ლიობებიანი მინის ბლოკებით და მქრქალი მინით შევსებით.

**ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი გ ა ნ ა თ ე ბ ა.** ბუნებრივისაგან განსხვავებით, სინათლის საგანგებო წყაროს შექმნას მოითხოვს, ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით. მან ისტორიული განვითარების რთული გზა განვლო. კოცონი გამოქვაბულში, კვარი ქოხში, სანთლები სახლში, ელექტრული ნათურა ბინაში, ლუმინესცენციური სინათლე - ყოველ ისტორიულ მონაკვეთზე აღმოცენდებოდა როგორც სინათლის ახალი წყარო და ახალი ფორმის ძიებისა და ჩამოყალიბების გზას გადიოდა.

დიდი საზოგადოებრივი შენობების თანამედროვე ხელოვნურ განათებაში გამოძვლავნდა განათებისადმი ახალი, წარსულისაგან განსხვავებული დამოკიდებულება.

ჩაშენებული სანათი ხელსაწყოები, მანათობელი ქერი, განათებული არქიტექტურული ელემენტებიდან (ქერიდან და კედლებიდან) არეკლილი სინათლე გვარწმუნებს ინტერიერში ხელოვნური განათების ორგანულ ჩართვაში.

ახალი განვითარებადი ტენდენციების შესაბამისად აღმოცენდა განათების ახალი ხერხები.

ერთ-ერთი პერსპექტიული და ახალი ხერხის მაგალითად შეიძლება დავსახელოთ მანათობელი სიბრტყეების - ქერის, კედლების, ცალკეული ზოლების შექმნა, ნებისმიერი მოხაზულობის ნაწილობრივი განათება. ჩაშენებული სანათი არმატურის შექმნით მიღწეული ეს უკანასკნელი ხერხი მეტად ეფექტურია გამოყენების კოეფიციენტის თვალსაზრისით რაციონალური სათავსების დაბალი ქერისას, ლაკონიური ფორმით და უახლოვდება თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნებს.

მანათობელი სიბრტყის სიმკვეთრე და განსაზღვრულობა შედარებით ბნელი ზედაპირის ფონზე, ფორმის აქტიურობა მრავალ მხატვრულ შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, ამავე დროს, არქიტექტორს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის სინათლის ლაქის ნახატის, ზომისა და ფერის დადგენისას. მანათობელი ქერის ან კედლის ნახატის შექმნა, ცალკეული ელემენტების ფორმისა და ზომების დადგენა რთული მხატვრული და კონკრეტული ამოცანაა. იგი უნდა გადაწყდეს საერთო ჩანაფიქრის შესაბამისად.

ქერიდან, კედლებიდან, სხვადასხვა კონსტრუქციული ელემენტიდან არეკლილ შუქს გამოსახულების განსაკუთრებული თვისებები აქვს. იგი წარმოქმნის რბილ, მაგრამ საკმაოდ აქტიურ გადასვლას ნათელიდან ბნე-



ლისაკენ, იწვევს სირბილის, ინტიმურობის შეგრძნებას, ხსნის კაშკაშა პირდაპირი სინათლის დაძაბულობას, ხელს უწყობს ახალი წარმოდგენის შექმნას ტექნიკაზე, ქმნის სიმსუბუქის ილუზიას.

თანამედროვე არქიტექტურაში ამ ხერხს ხშირად მიმართავენ. არეკლილი განათება მეტროს სადგურებში ამსუბუქებს თაღებსა და კამარებს, ილუზორულად ზრდის სივრცეს. ამასთან, არეკლილი სინათლე არაეკონომიურია მარგი ქმედების კოეფიციენტის სიმკირის გამო. მიუხედავად ამისა, მას ხშირად მიმართავენ ინტერიერებში ინტიმურობისა და სიმყუდროვის მისაღწევად. მეტად დამახასიათებელია პირდაპირი და არეკლილი სინათლის თანაფარდობა, რაც კომბინაციების მრავალფეროვნების შექმნის საშუალებას იძლევა.

არეკილ სინათლესთან და ჩაშენებულ სანათ არმატურასთან ერთად ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ფორმის სათანადო მოწყობილობები, მარტივი ლიუმინესცენციური სანათურებით დაწყებული, რთული ფორმის ქაღებით დამთავრებული. ფორმების მრავალფეროვნება შემთხვევითი როდია. იგი შეგნებული შემოქმედებითი ძიების შედეგია. თუკი მასიური შენობების ინტერიერებში სანათურები ფორმით მაქსიმალურად რაციონალური უნდა იყოს, უნიკალური ინტერიერების ქაღები სრულიად მოულოდნელი ფორმის აბსტრაქტული ქანდაკების ხასიათს ატარებს.

მიგნებული განათების სისტემები არქიტექტურული ჩანაფიქრის განხორციელებაში მეტად მნიშვნელოვანი მხატვრული ამოცანების გადაწყვეტას უწყობს ხელს. ერთ-ერთი ასეთი ამოცანათაგანია სინათლის აქცენტის შექმნის მეშვეობით კომპოზიციურად წამყვანი ელემენტის გამოყოფა და ამასთან ფუნქციური და მხატვრული ასპექტების ერთდროული გათვალისწინება.

## 7. მოსაპირკეთებელი მასალები

ინტერიერის კომპოზიციურ ღირსებას განსაზღვრავს გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალები, შესრულებული სამუშაოების ხარისხი. მოსაპირკეთებელი მასალების, მათი დეკორატიული თვისებების ცოდნის გარეშე შეუძლებელია პროექტისა და მისი ნატურაში განხორციელების მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევა. ამასთან, საჭიროა არა მხოლოდ გამოსაყენებელი მასალის თვისებების ზედმიწევნით ცოდნა, არამედ მათი დამზადების ტექნოლოგიის თვისებებზე. რაც მოსაპირკეთებელი მასალების მიზანშეწონილი გამოყენებისა და მაქსიმალური ეფექტის მიღწევის საშუალებას იძლევა.

მოსაპირკეთებელ მასალებს განსხვავებული დეკორატიულ-მხატვრული თვისებები, მდგრადობა, ხანგამძლეობა და ეკონომიურობა ახასიათებს. ეს განსაზღვრავს ინტერიერებში მათი გამოყენების სფეროს. მოსაპირკეთებელი მასალების თვისებები უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნათა კომპლექსს, რა დანიშნულებისთვისაცაა სათაფსი. მოსაპირკეთებელი მასალებისადმი წაყენებული მოთხოვნები შემდეგნაირადაა დაჯგუფებული: ფიზიკოლოგიური, საექსპლუატაციო-ტექნიკური, ესთეტიკური, ინდუსტრიული.



**ფიზიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად** შესაძლებელი უნდა იყოს ინტერიერში გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალის ადვილი გაწმენდა, ჩამორეცხვა, დეზინფიცირება, აგრეთვე იოლად, სწრაფად და შესაძლებლობის მიხედვით მექანიზებულად სათავისი გაწმენდა-გასუფთავება. მეტად მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური მოთხოვნაა მასალის თბოგამტარობის დაბალი კოეფიციენტი და ხმის მალალი საიზოლაციო თვისებები. ამ მოთხოვნებს პასუხობს ხე, კერამიკა, მრავალი პოლიმერული მასალა. მაგრამ პოლიმერული მასალის გამოყენებისას დამატებითი მოთხოვნები ჩნდება: ეს მასალები ტექნიკური არ უნდა იყოს, ე. ი. არ უნდა გამოყოფდეს მანვე აქროლად ნივთიერებებს. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში დაწესებულია მკაცრი კონტროლი პოლიმერული მასალის ხარისხზე, მათ შესაბამისობაზე სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებთან. ზოგიერთი პოლიმერული მასალის ნაკლია მის ზედაპირზე სტატიკური ელექტრობის წარმოქმნა. მაგალითად, სტატიკური ელექტრობის მოსაპობის მიზნით რეკომენდებულია პოლივინილქლორიდული ლინოლეუმისა და ფილების უფერული ცვილით გაპრიანება. ზოგიერთი სპეციფიკური ინტერიერიც აყენებს დამატებით მოთხოვნებს. სამკურნალო-პროფილაქტიკური, საბავშვო და სხვა სათავსები მოითხოვს ბაქტერიციდული მასალების-პოლივინილქლორიდისა და ქლორკაუჩუკის პოლიმერების გამოყენებას, რომლებიც ანტიმიკრობული თვისებების მქონეა.

**საექსპლუატაციო-ტექნიკური** მოთხოვნები საშუალებას გვაძლევს ყოველი სათავისათვის შევარჩიოთ შესაბამისი ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების მქონე მასალები. მასალებს უნდა ახასიათებდეს კარგი თბო და ხმის საიზოლაციო თვისებები, მდგრადობა მექანიკური და ქიმიური ზეგავლენის წინააღმდეგ, არ უფერულდებოდეს და არ ცვდებოდეს. მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებელია მასალების, ხანგამძლეობა ე. ი. მასალის თვისება ძირითადი თვისებების დაკარგვის გარეშე განსაზღვრული დროის განმავლობაში გვემსახუროს ექსპლუატაციის პირობებში. მასალების სამსახურის ვადა სხვადასხვაა ისევე, როგორც განსხვავებულია მათი როლი ინტერიერში.

**ესთეტიკური მოთხოვნები** განსაზღვრავს მოსაპირკეთებელი მასალების მხატვრულ-დეკორატიულ თვისებებს: (ფორმას, ფერს, ზომებს, ფაქტურას, ტექსტურას, ნახატს). მასალების ერთი ნაწილი აუმჯობესებს ინტერიერის საექსპლუატაციო და ესთეტიკურ თვისებებს (საექსპლუატაციო-მოსაპირკეთებელი მასალები), სხვები კონსტრუქციებს იცავს გარემოს გავლენისაგან (კონსტრუქციულ მოსაპირკეთებელი მასალები). ინტერიერისათვის მასალა შეირჩევა მოცულობით-სივრცითი აღნაგობის, არქიტექტურული კომპოზიციის გათვალისწინებით.

მოსაპირკეთებელი მასალების ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ინტერიერში კომპოზიციურად დანაწევრებული, საშუალო ან მსხვილი მასშტაბური წყობის შექმნის საშუალებას იძლევა. ესთეტიკურ მოთხოვნებს პირობით შეიძლება მივაკუთვნოთ ფსიქოლოგიური მოთხოვნებიც. ისინი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს არქიტექტურის კომპოზიციურ ხერხებსა და ფერთა გამას, რაც უფრო ფართოა მოსაპირკეთებელი მასალების ფერა-



დოვანი გამა, რაც უფრო მდიდარია მათი ასორტიმენტი, მით უფრო ადვილია ყოველი ინტერიერისათვის მაქსიმალურად რაციონალური და რაღაც კლიმატის შექმნა.

ინდუსტრიულობისა და ტექნოლოგიურობის მოთხოვნები გულისხმობს მოსაპირკეთებელი მასალებისა და სამშენებლო წარმოების მეთოდების შესაბამისობას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსაპირკეთებელი მასალები არ მოითხოვდეს შრომატევად სველ პროცესებს, რომ მასალის დაწებება და დამაგრება შესაძლებელი იყოს ქარხნის პირობებში ან მექანიზებული საშუალებებით. ეს პროცესები გაიოლებულია, თუ მასალები საემარისად დიდი განზომილებისაა, ემორჩილება უნიფიკაციის მოთხოვნებს და აქვს მოდულური ზომები.

იმ მოსაპირკეთებელ მასალებს შორის, რომლებსაც ძველთაგან იყენებენ არქიტექტურაში, გამოირჩევა ბუნებრივი ქვები, ხის ძვირფასი ჯიშები, კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები, სხვადასხვა ფაქტურის, გამჭვირვალობისა და ფერის მქონე მინა, შავი და ფერადი ლითონი, საღებავები.

ერთ-ერთი პირველი ადგილი ხეს ეკუთვნის. ამ უძველეს საშენ მასალას ახასიათებს მთელი რიგი ძვირფასი თვისებები. ტექსტურის სიმდიდრის, კეთილშობილების, სხვადასხვა ჯიშის განსხვავებული ელფერის გამო მეტად ლამაზია ხე. იგი გამძლე მასალაა, ბრწყინვალე კონსტრუქციული თვისებებით, კარგად ეხამება სხვა სამშენებლო-მოსაპირკეთებელ მასალებს. ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხის მერქნის დასამუშავებლად და მისი მხატვრული ხარისხის გამოსამჟღავნებლად იყენებდნენ დამუშავების განსხვავებულ მეთოდებს. ზედაპირს ლებავდნენ, მოაოჭროვებდნენ. ფარავდნენ ფერწერით, ინკრუსტაციით. მეტად გავრცელებული ხერხი იყო ხეზე კრა. საქართველოში ხეზე კრით ამშვენებდნენ კერს, სვეტებს, სკოვრებს, სკამებს, თაროებს. ხის დამუშავების მეთოდებს დროთა განმავლობაში სრულყოფდნენ მარტივსახიანი კრიდან ხის ღრმა, სკულპტურულ დამუშავებამდე.

ხის ინტერიერში გამოყენების სფერო მეტად ფართოა. მას იყენებენ კედლების, კერის, ავეჯის მოსაპირკეთებლად, ხისგან ამზადებენ დიდ დეკორატიულ პანოებს და მცირე დეკორატიულ დეტალებს. იყენებენ ხის გლუვ კოჭებსაც, რომლებიც კონტრასტულად და მკაფიოდ გამოიყოფა გლუვ, შეღესილ ზედაპირზე. ინტერიერს ცხოველხატულობას და პლასტიკურობას ანიჭებს ადგილობრივი ხალხური ტრადიციების გამოყენება. ხის მერქანს სხვადასხვაგვარად იყენებენ კედლებისა და სვეტების მოსაპირკეთებლად. ამ მიზნისათვის იყენებენ ხის ძვირფასი ჯიშების შპონს, ფანერს, ლარტყებს, ფიცრებს. კომპოზიციური მოთხოვნების მიხედვით ფიცრები და ლარტყები შესაძლებელია პროფილირებული იყოს, რაც პლასტიკურად ამდიდრებს ხის მოპირკეთებულ ზედაპირს.

დიდი სიბრტყეების ხით მოპირკეთების ფართო გავრცელება აიხსნება თვით მასალის ბუნებრივი სილამაზით, მისი ფერით, ტექსტურით. ხის მერქნის ტექსტურა განისაზღვრება მისი აღნაგობით და დამოკიდებულია ხილული ელემენტების - წლიური რგოლების, ბოჭკოების მიმართულების

ხასიათზე, ნივარების არსებობაზე აქედან გამომდინარეობს ტექსტურის სიმდიდრე და თავისებურება.

ინტერიერში ხშირად იყენებენ გამომწვარ ხეს, ხის მერქნის ზოგიერთი ჯიშში გამოწვა უფრო მკვეთრად ავლენს ტექსტურის ნახატს.

თანამედროვე ინტერიერში ყველაზე ხშირად იყენებენ ალუმინს, ფოლადს, სპილენძს, თითბერსა და მათ შენადნობებს. მათ უმეტესობას იყენებენ კონსტრუქციული მოსაპირკეთებელი მასალის სახით (ფოლადი, ალუმინი), სხვებს კი (სპილენძს, თითბერს) ინტერიერში უმეტესად ჩართავენ წინასწარ დეკორატიულად დამუშავებული საექსპლუატაციო მოსაპირკეთებელი მასალის სახით. ინტერიერში ლითონის გამოყენების სფერო მეტად ფართოა: პროფილირებული ნაკეთობები ალათებისათვის, კარის მოსაჩარჩოებლად, შიგა ძვიდების მოსაწყობად, სახელურებისა და ალუმინის პროფილირებული დამკველების მოსაწყობად. ლითონს იყენებენ ქერისა და ტიხრების კონსტრუირებისათვის, კედლებისა და სვეტების მოსაპირკეთებლად, ავეჯში, სანათურებში, სხვადასხვა სახის მოწყობილობებში. ყოველივე ეს მოწმობს მასალის დიდ შესაძლებლობებზე, მისი გამოყენების უნივერსალურობაზე.

როგორც ყოველმა ახალმა მასალამ, ლითონმა ინტერიერს ახალი ესთეტიკა, ზედაპირის დამუშავების ახალი ხასიათი შესძინა. ამ მოსაპირკეთებელი მასალის კიდევ ერთი თავისებურებაა შემდეგი: იმ შემთხვევაში, როდესაც ლითონს კონსტრუქციულ მასალად იყენებენ, მას მალალი მხატვრული თვისებები გააჩნია. დიდმალიანი სათავსების ღია ლითონის კონსტრუქციები შესაძლებელია გამოიყენონ ინტერიერის გამომსახველობით ელემენტებად.

მრავალფეროვანია ლითონის ბუნებრივი ფერადოვანი გამა: ალუმინის ცივ ნაცრისფერ-ცისფერიდან სპილენძისა და თითბრის ღრმა, თბილ ტონებამდე. ფერადოვანი გამა კიდევ მეტად ფართოვდება ლითონდენების მექანიკური, ორგანული და არაორგანული დამუშავებისას. ლითონის ზედაპირს მექანიკურად ამუშავებენ მავთულის ჯაგრისით, სილაკავლური აპარატით, თეგით, თეგჩაქუჩით, რის შედეგადაც ლებულობენ ზედაპირების მრავალ ნაირსახეობას: მქრქალს, ბრკყვიალას, ხორკლიანს, დაღარულს და ა. შ. ალუმინის არაორგანული დამუშავებისას ზედაპირი ქრომით იფარება (ეს იძლევა რუხ, შავ და მწვანე ფერებს), ხდება მისი დაანოდება, გალვანიზაცია. ფოლადს არაორგანულად ამუშავებენ ელექტროპოლირებით, ელექტროლიზური მეთოდით ნახჭის ამოქრით, მოსავადებით (მქრქალი შავი ფერის აფსკით დაფარვა). ორგანული მოპირკეთება გულისხმობს ლითონის ზედაპირის შეღებვას სინთეზური ემალით ან ლაქით, ფაიფურის მინისმაგვარი ემალით, რაც პრაქტიკულად განუსაზღვრელი რაოდენობის ფერების გამოყენებისა და მდგრადი ზედაპირის წარმოქმნის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე არქიტექტურამ ააღორძინა კერამიკის უძველესი ხელოვნება: მრავალფეროვანი, მშვენიერი ფაიფური და ქაშანური, ტერაკოტა და მაიოლიკა, ქვის მასა და შამოტი. ყოველ მათგანს საკუთარი თვისებები,

პირველადი ნედლეულის მახასიათებლები, განსხვავებული სტრუქტურა და ფერი აქვს.

ინტერიერისათვის წარმოებული მოსაპირკეთებელი კერამიკის საშუალოდ მრავალფეროვანია. ჩვენი მრეწველობა უშვებს სხვადასხვა ფორმისა და მასალის კერამიკულ ფილებს, რომლებიც განსხვავდება დეკორის ხასიათისა და დამაგრების მეთოდებით. მათ მრავალფეროვნებას აღწევენ ფერის ნომენკლატურის გაფართოებით, ფერწერის გამოყენებით ქარხნული წესით დამზადებულ სტანდარტულ ფილებზე. ზედაპირული დამუშავების მიხედვით განსხვავდება კრიალა და მჭრქალი, თეთრი და ფერადი ფილები. მოსაპირკეთებელი ფილებისა და კერამიკული ნაწარმის ფერს განსაზღვრავს თიხის ფერი, მათი ზედაპირული შრის შემქმნელი ემალისა და კიქურის ფერი.

კერამიკულ ფილებს ფართოდ იყენებენ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დამხმარე სათავსებში, მაღაზიებში, საცურაო აუზებში. ჩამოყალიბდა განსაზღვრული კომპოზიციური ხერხები: კედლის მთლიანი მოპირკეთება თეთრი ან ერთფეროვანი ფილებით იატაკიდან ქერამდე, მოპირკეთებაში კონტრასტული ფერის ფილების ჩაწინწკლა, მოპირკეთების შეთავსება შელესვისთან და ა. შ.

აგურსა და ფასადურ კერამიკულ ფილებს იყენებენ საზოგადოებრივ ინტერიერებში, რითაც მაღაზიების, კაფეების, ვესტიბიულების შიგა სივრცეს გარემოს უკავშირებენ. იატაკისათვის კერამიკას იმ სათავსებში იყენებენ, სადაც მაღალი ჰიგიენური მოთხოვნებია წაყენებული. იატაკის მოსაწყობი კერამიკული ფილები გამოირჩევა ხანგამძლეობით, სიმკვავებისა და ტუტეებისადმი წინააღობით.

ინტერიერის აქტიური ელემენტი დეკორატიული შელესვაა. მისი მრავალფეროვნება დამოკიდებულია ზედაპირის დამუშავების მეთოდებზე, შემვსების ხასიათზე, შემაკავშირებელი შემვსებისა და ჰიგმენტების ფერზე. შელესვის დამაკავშირებელი მასალაა ცემენტი, თაბაშირი, კირი. მათ საფუძველზე იქმნება დეკორატიული შელესვის სხვადასხვა სახე.

მოსაპირკეთებელ მასალად საკმაოდ ფართოდ იყენებენ პლასტმასებს. ამგვარი მოსაპირკეთებელი მასალის გამოყენება საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და სამრეწველო შენობებში მომავალში უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოპირკეთების ხარისხის გაზრდას, მისი ინდუსტრიალიზაციის უზრუნველყოფას, არამედ ამცირებს მის ღირებულებასა და სამუშაოთა წარმოების ვადებს.

მოსაპირკეთებელი პოლიმერული მასალის ან ნაკეთობების მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა სინთეზური ფისის შედარებით მცირე ხარჯი. პოლიმერული მასალის გამოყენებისას არქიტექტორმა არ უნდა გამოიყენოს ტრადიციული ნატურალური მასალის იმიტაცია, ე.ი. თავი აარიდოს პლასტმასის ნაკეთობებზე ხის ან მარმარილოს სტრუქტურის გამოსახვას. პოლიმერულ-მოსაპირკეთებელ მასალებს თავისი საკუთარი თვისებები აქვს. არქიტექტორებმა უნდა გამოანახონ მათთვის ახალი არქიტექტურული ფორმები და მხატვრული გამომსახველობა. ასეთ მასალებს შეიძლება

მიენიჭოს სასურველი თვისებები: ფერი, ფაქტურა, გამჭვირვალობის ხარისხი და ა.შ.

პოლიმერული მასალები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ძირითად ჯგუფებად: პლასტმასები (პლასტიკატები და ელასტიკები), ბოქკოები; წებო და მასტიკები, ლაქები და საღებავები.

ჩამოთვლილ სინთეზურ მასალებს შორის ყველაზე მეტად გამოიყენება პლასტმასები, რომლებიც დამზადების პროცესში ელასტიკურობას ღებულობს. მათგან ამზადებენ ფურცლოვან და ფილოვან მოსაპირკეთებელ მასალას-მრავალფეროვან პლასტიკებს, პოლისტიროლოვან ფილებს, აზბესტფისოვან ფილებს, სხვადასხვა სახის დაშტამპულ ნაკეთობებს და ა. შ. ელასტიკებისაგან მზადდება ნაირ-ნაირი აკეები (პოლიეთილენური, პოლივინილქლორიდული და სხვ.) პოლიმერული მასალების ნედლეულისა და დამზადების ტექნოლოგიის შესახებ ცნობები მოიძებნება სპეციალურ ლიტერატურაში.

## 8. აპეჯი

ავეჯს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ინტერიერში. არქიტექტურული სტილის შეცვლასთან ერთად იცვლებოდა ავეჯის ფორმები, ზომები და დამზადების ტექნოლოგია.

მთელი რიგი ნიშანდობლივი თვისებების მიხედვით საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ავეჯის ქვემოთ მოცემული კლასიფიკაცია შესაძლებელია ფუნქციური და არქიტექტურული გვემარებიოთი ნიშნებით.

**I. ფუნქციური დანიშნულების** მიხედვით არსებობს შემდეგი სახის ავეჯი: სამუშაო, ძილისა და დასვენებისათვის, საგნების შესანახად და ექსპონირებისათვის, თამაშობებისა და სპორტისათვის, ტიხრების მოსაწყობად განკუთვნილი.

**II. არქიტექტურულ-გვემარებიოთი ნიშნების** მიხედვით ავეჯი კლასიფიცირდება ასე: ცალკე მდგომი (ცალკეული ავეჯეულობა, გარნიტურები, სექციური, სტელაეები, უნივერსალური ასაწყობ-დასაშლელი, ტრანსფორმაციის შესაძლებლობით), ჩაშენებულ-კონსტრუქციულად კედელთან დაკავშირებული (კედლის კარადები, კარადები-ტიხრები, გასახსნელი და გადასატანი ტიხრები, წალოებში ჩაშენებული, შეკიდული).

ც ა ლ კ ე უ ლ ი ა ვ ე ჯ ი ს ნაკეთობანი განკუთვნილია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გაწყობისათვის, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციური პროცესები და ადამიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა. ავეჯის ნაკეთობანი შეიძლება გაერთიანდეს კომპლექტებად ან გარნიტურებად კონსტრუქციული ნიშნით, ფორმისა და მოსაპირკეთებელი მასალის ერთგვარობით. დამზადების ტექნოლოგიით. ავეჯის გარნიტური წარმოადგენს ავეჯის ნაკეთობების ჯგუფს, გათვალისწინებულს ერთი ოთახისათვის განსაზღვრული ფუნქციისათვის (საძინებელი, სამზარეულო და ა. შ.) ან ერთ-ორ-სამოთახიანი ბინისათვის. ავეჯის გარნიტურს აგრეთვე აპროექტებენ საზოგადოებრივი შენობების



ცალკეული სათავსებისათვის - დარბაზების, ვესტიბიულების, სასტუმროებისათვის და ა. შ.

ს ე ქ ც ი უ რ ი ა ვ ე ჯ ი წარმოადგენს მოცულობითი ელემენტების-სექციების შეთავსებას, რომელთა ბლოკირება შესაძლებელია რიგებად, ერთმანეთზე დაწყობით. შესაძლებელია მათი დამოუკიდებლად გამოყენებაც კომოდების, საწოლი საცვლის საწყობი ყუთების, ტელევიზორის ქვედა დგამის სახით. შესაძლებელია სექციების თავისუფალი შეუღლება განსხვავებული სიგრძის, სიმაღლის, კომპოზიციური სქემის ბლოკებად. ეს შესაძლებლობები ემყარება მოდულის არსებობას, რომელიც ზოგჯერ მცირე ელემენტს შეადგენს (მაგალითად, 60-80 სმ სიგანის წიგნის თარო), სხვა შემთხვევაში კი მსხვილ ელემენტს (ტანისამოსის შესანახი განყოფილება და ა. შ.).

სექციური ავეჯი თანამედროვე ავეჯის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გეგმარებასთან კავშირის ტიპური მაგალითია. ავეჯის ეს სახეობა წარმოადგენს კონსტრუქციულად და დეკორატიული მოპირკეთების ხასიათით გაერთიანებულ ერთი ან განსხვავებული სიმაღლისა და სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სექციებს. სექციები შესაძლებელია იყოს მცირეგაბარიტის (სიგანე 1200 მმ-მდე, სიმაღლე - 1000 მმ-მდე), საშუალო ზომების (1200 მმ-ზე მეტი სიგანისა და 1000 მმ-იანი სიმაღლის) და მრავალგანზომილებიანი (მათი სიგანე აღემატება 1200 მმ-ს, ხოლო სიმაღლე - 1000 მმ-ს).

ს ტ ე ლ ა ე ი ა ნ ი ა ვ ე ჯ ი წარმოადგენს დგარების სისტემას, რომლებსაც სხვადასხვა სახის თაროები და მოცულობითი ელემენტები ეყრდნობა. საყრდენი დგარები ჩაქედილია ჰერსა და იატაკს შორის, ან კედლებზე მაგრდება ან თავისუფლად დგას ფართო საყრდენებზე. შეკიდულ ელემენტებს შესაძლოა წარმოადგენდეს სექციები ღია ან დახურული ყუთების სახით, თაროები, ღია ან სეკრეტერის ტიპის გადმოსაკიდი დაფით.

უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ უ რ ი ასაწყობ-დასაშლელი ავეჯი ბრტყელი უნიფიცირებული ელემენტებით აიწყობა. თარაზული და ვერტიკალური ფირფიტები ერთმანეთთან ხის კონსტრუქციულ კარკასში ერთიანდება. ამ კარკასზე მაგრდება კარებები, გადმოსაკიდი მაგიდები, საჯდომები, ტახტები და ა. შ.

ტ რ ა ნ ს ფ ო რ მ ი რ ე ბ უ ლ ი ავეჯი წარმოადგენს ისეთ კონსტრუქციას, რომელიც შედარებით იოლად და სწრაფად იშლება და ყოველი ახალი ფორმისას ახალი ფუნქციური დანიშნულება აქვს. არსებობს ტრანსფორმირებული ავეჯის სისტემების დიდი მრავალფეროვნება დასაწოლი ადგილებისათვის, სამუშაო და სასადილო ყუთხეების მოსაწყობად და ა. შ. საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში ავეჯის დიდ ჯგუფს შეადგენს ჩაშენებული ავეჯი, რომელიც კონსტრუქციულად დაკავშირებულია სათავსების შემომშლულად ელემენტებთან. ასეთია, მაგალითად, კარადა-ტიხრები, რომელთაც ორი მუშა ფრონტი აქვს და ორ მუშობელ სათავსში იღება. ისინი მოხერხებულია ბაგა-ბაღებისათვის, სკოლებისათვის, ბიბლიოთეკებისა და სასტუმროებისათვის. ჩაშენებული



ავეჯის გავრცელება პირველ ყოვლისა აიხსნება ადგილის ეკონომიურად გამოყენებით, ამასთან ტიხრის სისქის ხარჯზე ამგვარი კარადის ტევადობა სათანადოდ გაზრდილია.

შეტად მრავალფეროვანია შეკიდული ავეჯი. ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, კონსოლური მაგიდები უშუალოდ კედელზე მაგრდება და ამასთან თავისუფლდება სათავსის ქვედა ზონა და შესაძლებელი ხდება იატაკის ფართობის რაციონალური გამოყენება.

ინტერიერის კომპოზიციური მთლიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ცალკეული ავეჯის ნაკეთობების სტილისტურ ერთიანობაზე, ნათელ პროპორციულ წყობაზე, ავეჯის სისტემების დანაწევრების ხასიათზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტერიერში არ უნდა ჩაირთოს შემთხვევითი საგნები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელშიც ჩართული იქნება ურთიერთდამაკავშირებელი ელემენტები. ცალკეული ავეჯის ნაკეთობანი დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. ისინი უნდა წარმოადგენდეს ერთიანი სისტემის ნაწილებს.



Б О Т Ы Р Ы Т Ы Р Ы

- Бархин Б. Т. Методика архитектурного проектирования. М., 1970.
- Бояр О., Блашкевич Р. Квартира и ее устройство. М., 1962.
- Буров А.К. Об архитектуре. М., 1960.  
Всеобщая история архитектуры.  
Всеобщая история искусств. М., 1956-1966.
- Галимов И., Кильне Т. Интерьер и мебель ресторана, кафе, столовой. М., 1968.
- Гусев Н.М., Климов П.П. Строительная физика. М., 1969.
- Делле В. Секционно-комбинированная мебель. М., 1960.
- Иконииков А.В., Степанов Г.П. Основы архитектурной композиции. М., 1971.
- Келер В., Лукхард В. Свет в архитектуре. М., 1961.
- Кирилова Л.И. Масштабность в архитектуре. М., 1961.
- Ле Корбюзье. Творческий путь. М., 1970.
- Лисициан М. В., Новикова Е. Б., Петрина З. В. Интерьер общественных и жилых зданий. М., 1973.
- Манкявичус И. К. Интерьер и монументально-декоративная керамика. М.-Л., 1967.
- Пономорёва Е. С. Интерьер и оборудование гражданских зданий, Минск, 1976.
- Риблицкий В. Встроенное оборудование в квартирах со свободной планировкой. М., 1968.

Руководство по проектированию цветной отделки интерьеров жилых лечебных и производственных зданий. АИИСФ Госстроя СССР. М., 1978.



Руководство по проектированию интерьера зданий курортно-оздоровительных и туристских учреждений. ЦНИИЭП лечебно-курортных зданий Госгражданстроя. М., 1979.

Р а н н е в В. Р. Интерьер. Москва. Высшая школа, 1987 г.

Ё д и к е Юр. История современной архитектуры. М., 1972 г.

ბ ე რ ი ძ ე ვ. ძველი ქართული ხელოვნების მემკვიდრეობა, 1974 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი .....	3
I. ინტერიერის არქიტექტურის განვითარების გზები .....	5
II. შიგა სივრცეების ორგანიზაციის თავისებურებანი .....	57
1. ფუნქციური მიზანშეწონილობა .....	57
III. სივრცეში სათავსების სისტემების განლაგების შესაძლებელი ვარიანტების დადგენა ფუნქციური მიზანშეწონილობისა და ესთეტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით .....	64
1. ინტერიერის სოციალური საფუძვლები .....	64
2. ბუნება და ინტერიერი .....	64
3. ადამიანის ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია და ინტერიერი ..	66
IV. შიგა სივრცის ორგანიზაციის ტიპოლოგიური საფუძვლები ..	69
1. მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის სახეობანი .....	69
2. შიგა სივრცის ტექტონიკური წყობა .....	84
3. რიტმი სივრცით სტრუქტურაში .....	85
4. ინტერიერის მასშტაბურობა .....	88
V. ინტერიერის მხატვრული და მატერიალური საშუალებები ...	91
1. ხელოვნების სინთეზი ინტერიერში .....	91
2. მასალა და ფაქტურა .....	96
3. დეკორატიული ქსოვილები .....	98
4. ინტერიერის გამწვანება .....	100
5. ფ ე რ ი .....	101
6. განათება .....	105
7. მოსაპირკეთებელი მასალები .....	108
8. ა ვ ე ჯ ი .....	113
ლიტერატურა .....	116

რედაქციის გამგე ც ა ნ დ ლ უ ლ ა ძ ე  
რედაქტორი ლ. ჩ ი კ ვ ი ლ ა ძ ე  
სამხატვრო რედაქტორი ო. მ ე ს ხ ი  
ტექნიკური რედაქტორი ნ. გ ა გ ნ ი ძ ე  
რედაქტორ-ოპერატორი ე. ქ ე ლ ი ძ ე  
უფროსი კორექტორი ც. ნ ო ზ ა ძ ე  
კორექტორი დ. უ ვ ა ვ ა ძ ე  
პროგრამისტი ზ. მ ო დ ე ბ ა ძ ე

აიწყო და მომზადდა დასაბეჭდად გამომცემლობაში კომპიუტერული ტექნოლოგიით.

ს.ბ.№4741 Учебное издание

ბელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.92. ქალაქის ზომა 60x90 1/16. საბეჭდი ქა-  
ლადი ოფსეტის. ოფსეტური ბეჭდვა. ნაბეჭდი თაბახი 7,6. საღებავვატარე-  
ბა 7,75. სააღრიცხვო - საგამომცემლო თაბახი 4,96.

ტირაჟი 1000

შეკვ 285

## ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „განათლება“, გ. ჩუბინაშვილის ქ. №50  
Издательство "Ганатлеба", ул. Г. Чубинашвили №50  
1993



Гурам Заалович Мирианашвили

**ИНТЕРЬЕР ГРАЖДАНСКИХ ЗДАНИЙ**

(на грузинском языке)

20 63 / 3/4 -

